# სარბიელი

სპორტული გაზეთი | სამშაბათი 8 თებერვალი 2000 №21 (1043) | ფასი 50 თეთრი


3

## ქინქლაძე: მზად ვარ!

გიოს ორმა პასმა „დერბი" წაგებას გადაარჩინა



8

## წააგო ბარსამ, წააგო რეალმა



ესპანეთის ჩემპიონატს კვლავაც „დეპორტივო" ლიდერობს

12

## სდასუ — გორი: ესეც ორი!

13

პრინციპულმა ფედერაციამ ვალგადაუხდელი გორელები შინ 0:20-ით გაისტუმრა

14

## რაო?

იტალია, შოტლანდია, სენსაცია!

# ÇA VA BIEN!

# ყველაფერი კარგადაა!



ბადრი ქეთილაძის ფოტო

კლოდ სორელი

## კლოდ სორელმა ქართველებს შური აძიებინა

**პორტუგალია 30:32 (16:12) საქართველო**

პორტუგალია: აგილარი, ამარალი, პორტელა, სოუზა, მატეუსი, ტეშეირა, პისარა, რანკინი, ბარბოსა (ანდრე სილვა, 55), კარდოსო, ნუნიესი, რიბეირო (დე მელო, 56), ფერეირა (კაპ.), კარვალო, და სილვა

10 ს — ტეშეირა

საქართველო: ურჯუკაშვილი, ხეხელაშვილი, ზიბზიბაძე, კაცაძე, ხამაშურიძე, ჯიმშელაძე, აბუსერიძე, ზედგენიძე, მჭედლიშვილი, ლაბაძე, ნადირაძე (ს.მოდებაძე, 67), პარწიკანაშვილი, ცაბაძე, გიორგაძე, შველიძე

4 ლ — ხეხელაშვილი, გიორგაძე, შველიძე (2); 3 გ. და 2 ს — ურჯუკაშვილი

გახარებულია საქართველოს მორაგბეთა ნაკრების ფრანგი მწვრთნელი კლოდ სორელი, სიხარულის საბაბიც აქვს. კვირას ლისაბონში მისმა ქართველმა შეგირდებმა ექვსი ერის პირველობის B ჯგუფის პირველ მატჩში პორტუგალიელებს 32:30 მოუგეს. ალალად ვთქვათ, ჩვენებურთა სტუმრად გამარჯვება ძალიან საძნელო იყო, მით უფრო, 26 იანვარს იტალიასთან ტესტ-მატჩში სასტიკად დამარცხების (7:51) მერე. თუმცა კლოდ სორელი იმედიანად იყო, გამარჯვებისა სჯეროდა.

ლისაბონის უნივერსიტეტის სტადიონზე გამართული შეხვედრის პირველი ტაიმი ქართველებს კარგს არაფერს უქადდა, ბორჯღალოსნებმა ეს ორმოცწუთეული 6:12 დათმეს. მერე კი... მერე, იცოცხლეთ, ხელი გამოიღეს: გოდერძი შველიძემ, ავქსენტი გიორგაძემ, ბადრი ხეხელაშვილმა ოთხი ლელო გაიტანეს, საჯარიმო-გარდასახვები ჩვეულად, ზუსტად დაარტყა მალხაზ ურჯუკაშვილმა და ფრანგი მსაჯის ჟან პიერ პელაპრის საფინალო სასტვენმაც პორტუგალიელები დაამწუხრა. ქართველებმა სამი წლის წინანდელი მარცხისთვის შური იძიეს.

კვირას B ჯგუფის კიდევ ერთ მატჩში ესპანეთმა მალიორკაში ჰოლანდიას 33:8 მოუგო.

## ძოძუაშვილმა კვიპროსიდან იმედი გამოგვიგზავნა



ბადრი ქეთილაძის ფოტო

საქართველოს ნაკრების დებიუტანტი ზურაბ მენთეშაშვილი (№2)

კაცია და გუნება, მწვრთნელია და ფეხბურთზე მისი შეხედულება — საქართველოს ნაკრების ერთ-ერთი მწვრთნელი რევაზ ძოძუაშვილი კვიპროსზე ეროვნული გუნდის თამაშით კმაყოფილი დარჩენილა.

კუნძულზე კვირას დამთავრებულ საერთაშორისო რვაგუნდიან ტურნირში საქართველომ მესამე ადგილი დაიკავა — ბოლო მატჩში მეზობელი სომხეთი დაამარცხა. იქამდე კი, იცით, ჩვენებურებმა ჯერ სლოვაკებს სძლიეს ქეცბაიასა და ყაველაშვილის გოლებით, მერე რუმინეთის კლუბების ნაკრებთან 1:1-ის მერე მატჩისშემდგომი პენალტების სერიით დამარცხდნენ. სამ თამაშში ეროვნულმა გუნდმა 5 ბურთი გაიტანა და საკუთარ კარში 2 მიიღო.

— მე კმაყოფილი ვარ. კვიპროსის ტურნირში მონაწილეობა, დარწმუნებული იყავით, ნაკრებს სამომავლოდ გამოადგება. აქ რამდენიმე ახალგაზრდა ფეხბურთელი საქმეში ვნახეთ, გამოვცადეთ, უკლებლივ ყველამ კარგი შთაბეჭდილება დატოვა. ძოძუაშვილი აიღეთ, მენთეშაშვილი, რომელმაც გოლიც გაიტანა, კვარაცხელია, ქემოკლიძე... ამ ბიჭებს სხვა ამხანაგურ მატჩებშიც მივცემთ თავის გამოჩენის საშუალებას — ეს გუშინ გვითხრა კვიპროსში მყოფმა რევაზ ძოძუაშვილმა, რომელიც ნაკრებს შინ არ გამოჰყოლია და თბილისის „ლოკომოტივის" სამ ფეხბურთელთან ერთად იქვე დარჩა. ისინი დანარჩენ თანაგუნდელებს ელიან ეროვნული ჩემპიონატის მეორე ეტაპისთვის მოსამზადებლად.

— როგორ ფიქრობთ, ეშველება ნაკრებს რამე? — ვკითხეთ რევაზ ძოძუაშვილს.

— რას ამბობთ — გაიკვირვა მწვრთნელმა — მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები დაიწყება და ნახავთ, როგორი გუნდიც გვეყოლება. ყველაფერი კარგად იქნება. ამას კვიპროსის ტურნირის შემდეგ გეუბნებით. ბიჭებმა მოინდომეს, თავი არავის დაუზოგავს, ასევე უნდა გავაგრძელოთ.

იხილეთ მეორე გვერდი

# ძოძუაშვილმა კვიპროსიდან იმედი გამოგვიგზავნა

დასაწყისი პირველ გვერდზე

— ბოსკამპის ნაკრების თამაში ნანახი გექნებათ, თქვენი და ყიფიანის ახლანდელი ტაქტიკა ძალიან თუ განსხვავდება მაშინდელისგან? — ვკითხე ძოძუაშვილს. აი, მისი პასუხიც:

— ყველა მწვრთნელს თავისი გზა აქვს, თავისი სავარჯიშო მეთოდი. მე და დათოს კი არაფერი ამოგვიჩემებია. ერთმანეთს ყურს ვუგდებთ, ვფიქრობთ, სწორი როგორ იქნება და ამის შემდეგ ვარიგებთ ფეხბურთელებს ვინ რა როგორ უნდა გააკეთოს მინდორზე. ასევე გაგრძელდება. ტაქტიკას მხოლოდ მატჩის წინ, მეტოქიდან გამომდინარე შევარჩევთ. დანარჩენი თქვენ თქვით, გნებავთ, ბოსკამპისას შეადარეთ, გნებავთ... — აღარ დაამთავრა მწვრთნელმა.

ახალი თავკაცების ხელში ერთი თამაშიც არ გვინახავს და, ბუნებრივია, ნაკრების ტაქტიკაზე ვერაფერს გეტყვით. აი, სასლოვაკეთო შემადგენლობა განლაგებითურთ კი ერთ-ერთმა ფეხბურთელმა ასე ჩამოგვითვალა. მეკარე გვარამაძე, მარჯვენა მცველი შეყილაძე, ლიბერო — ნემსაძე, სტოპერი — სილაგაძე, მარცხნივ — ჩიხრაძე; ნახევარმცველები: მარჯვნივ ჯამარაული, საყრდენი კვარაცხელია, მარცხნივ ყაველაშვილი, ოდნავ წინ არჩილ არველაძე და ქეცბაია; გამოკვეთილი თავდამსხმელი კი ზაზა ჯანაშია იყო. ეგებ იკითხოთ, გამთამაშებელი ვინღააო? ძოძუაშვილის პასუხი ასეთია:

— ნახევარმცველები ადგილებს ხშირად იცვლიდნენ, სულ მოძრაობდნენ, ფლანგიდან ფლანგზე, შუაში, წინ და უკან, გამთამაშებლობა კონკრეტულად არავის ევალებოდა. ამ ფუნქციას ის ასრულებდა, ვისაც მოუხერხდებოდა.

ალბათ დამეთანხმებით, აქამდე ნაკრების ყველაზე სუსტი რგოლი დაცვა იყო. თამაში ისე არ ჩამთავრდებოდა, მცველებს რამდენიმე უხეში შეცდომა არ დაეშვათ, სხვა საქმეა მეტოქის თავდამსხმელები ამას როგორ იყენებდნენ. ძოძუაშვილი ამბობს:

— მცველებმა ძალიან კარგად ითამაშეს. ჩინებულად შეასრულა ლიბეროს მოვალეობა ნემსაძემ, სილაგაძემაც იყოჩაღა, ჩიხრაძემ და შეყილაძემაც ნორმალურად ითამაშეს, ქომოკლიძე კი უდავოდ ნიჭიერი ფეხბურთელია, თუ მოინდომა, მისგან კარგი მცველი დადგება. რა თქმა უნდა, მცველები სამივე თამაშისას რამდენჯერმე შეცდნენ, მაგრამ ეგ არაფერი, ყველაფერს გამოვასწორებთ. სამ მატჩში მიღებული ორი გოლი მართალია, ცოტა არ არის, მაგრამ არც ბევრია.

საქართველოს ნაკრების ორივე მწვრთნელმა სლოვაკებთან და რუმინელებთან მატჩების შემდეგ ჯამარაულის, ყაველაშვილისა და ზაზა ჯანაშიას სათანადოდ მოუმზადებლობა აღნიშნეს. შვეიცარიაში იქაური ჩემპიონატის მეორე ეტაპი, რუსეთში კი ახალ სეზონი არ დაწყებულა და ყოველივე ამის ბრალიაო. მათ ქეცბაია და არჩილ არველაძე გამოყვეს, თუმცა ახლა, როცა ნაკრებმა მესამედაც ითამაშა, ძოძუაშვილმა გვითხრა:

— გამოყოფით, ვერავის გამოვყოფ, ბიჭებმა მოინდომეს და შესაძლებლობების ზღვარზე ითამაშეს. ნაკრების ბირთვი კი, მგონი, ყველასთვის ცნობილია. მათ ჯერ კიდევ ბევრის გაკეთება შეუძლიათ. მომავალ ამხანაგურ მატჩებისას, როგორც გითხარით, ახალგაზრდებსაც გამოვცდით, კიდევ დავაკვირდებით და ვინც ღირსი იქნება, ნაკრებშიც ითამაშებს. გარდა ამისა, საქართველოში მოთამაშეთაგან ორ გუნდს გავაკეთებთ, როგორც კვიპროსში წამოსვლამდე, ერთმანეთს გავაჯიბრებთ და ეროვნულისთვის გამოსადეგ ფეხბურთელთა გვარებს ჩავინიშნავთ.

დაბოლოს, იმედი. კაცი იმედით ცოცხლობსო. ძოძუაშვილმაც:

— იმედი არის, საქართველოს კარგი გუნდი ეყოლება. ისე არაა საქმე, ბევრს რომ ჰგონია — ჩვენ წყალწაღებულები როდი ვართ...

ვნახოთ... აგერ მწვრთნელები, ფეხბურთელები, მსოფლიოს ჩემპიონატის მომავალი შესარჩევი მატჩები, აგერ ჩვენ და აგერ თქვენ.

**ქობა ინასარიძე**

## კვიპროსის ტურნირი

### პირველი დღე

2 თებერვალი

**რუმინეთი 2:0 ლატვია**

1:0 როსუ (18), 2:0 ნიკულაე (69)

რუმინეთი: პრუნეა, ფ. დუმიტრუ, ლუპესკუ, ბატრანუ, კრივაცი, ფ. პეტრე (მუტიცა 76), ჰალდანი, მალდარაშანუ, როსუ (პ. სტოიცა 89), მიჰალჩეა, მ. ნიკულაე (მარა 88)

გაძევება: ლუპესკუ (72), ზემლინსკისი (74)

**სომხეთი 2:1 მოლდოვა**

დამატებით დროში

1:0 ნაზარიანი (45), 1:1 პოპოვიჩი (70), 2:1 დოჰოიანი (95ო.გ.)

**კვიპროსი 2:1 ლიტვა**

1:0 კონსტანდინუ (60), 1:1 ფომენკა (86), 2:1 კონსტანდინუ (88)

ლიტვა: პუშკუსი, შემბერასი (დაიდურასი 78), გლევეცკასი, ჟვირგჟდაუსკასი, სკინდერისი, დანილიჩევასი (გრაჟიუნასი 59), შკარბალიუსი, ჟუტაუტასი (ტერეშკინასი 43), ვენცევიჩიუსი (კშანავიჩიუსი 20), ბუიტკუსი (ჯიაუტსკასი 70), ფომენკა

ლარნაკა
2 თებერვალი
16.30 საათი
პაპადოპულოსი
400 (ტევადობა 11 000)

**სლოვაკეთი 0:2 საქართველო**

0:1 ქეცბაია (83), 0:2 ყაველაშვილი (86)

სლოვაკეთი (ახალგაზრდული): ჩონტოფალსკი, ჩიშოვსკი, ლერანტი, პლინკა, კრშკო, შუპკა (კლიმპლი 60), პეტრაში (პორაზიკი 80), ცინეგა ბარჩიკი (მინტალი 80), ს. ნემეტი (ლ. მესაროში 60), მ. ვისკოჩი (ბაბნიჩი 60)

საქართველო: გვარამაძე, შეყილაძე (ხიზანიშვილი 29), ნემსაძე, სილაგაძე, ჩიხრაძე, კვარაცხელია (სიჭინავა 38), ქეცბაია, ჯამარაული, ყაველაშვილი (ქემოკლიძე 89), ა. არველაძე, ზ. ჯანაშია (მენთეშაშვილი 55)

გაფრთხილება: ჩიხრაძე, ლერანტი

მსაჯები: თეოდოტუ, მავრისი, სტავრუ (ყველა კვიპროსი)

### მეორე დღე

4 თებერვალი

ნახევარფინალები

დამატებით დროში

**კვიპროსი 3:2 სომხეთი**

დამატებით დროში

1:0 მელენარკისტისი (36), 2:0 სპოლიარიჩი (43), 2:1 პეტროსიანი (50), 2:2 კარამიანი (74), 3:2 სპოლიარიჩი (114ო.გ.)

ლარნაკა
4 თებერვალი
16.30 საათი
ზენონი
150 (ტევადობა 14 000)

**რუმინეთი 1:1 საქართველო**

პენალტებით 4:2

0:1 ქეცბაია (41), 1:1 ჰილდანი (81)

1:0 ბატრინუ, 1:0 ნემსაძე, 2:0 დუმიტრუ, 2:1 ქეცბაია, 3:1 პეტრე, 3:1 ჯანაშია, 3:1 ნიკულესკუ, 3:2 შეყილაძე, 4:2 მარა

რუმინეთი: ლობონტი, დუმიტრუ, ბატრინუ, მუტიცა, კრივაცი (სტოიცა 55), ბოლოჰანი, ჰილდანი, მალდარასანუ (რადუჩანი 80), როსუ (მარა 61), მიჰალჩია (პეტრე 55), ნიკულაე (რ. ნიკულესკუ 61)

საქართველო: გვარამაძე, ხიზანიშვილი, შეყილაძე, ნემსაძე, ჩიხრაძე, მენთეშაშვილი (ზ. ჯანაშია 46), სიჭინავა, ყაველაშვილი (ძოძუაშვილი 91), ჯამარაული, ქეცბაია, ა. არველაძე (ქემოკლიძე 67)

გაფრთხილება: ნემსაძე (13), ყაველაშვილი (23), ნიკულაე (26), ჰილდანი (36), ჯანაშია (63), ქემოკლიძე (107), ნიკულესკუ (117), ნემსაძე (117), რადუჩანი (118)

მსაჯი: კ. კაპიტანისი (კვიპროსი)

### მეხუთე-მერვე ადგილებისთვის

**მოლდოვა 2:1 ლიტვა**

1:0, 2:0 როგაჩიოვი (14, 75) 2:1 ფომენკა (78)

**სლოვაკეთი 3:1 ლატვია**

1:0 კისელი (30), 2:0 მინტალი (47), 3:0 ბაბნიჩი (49), 3:1 შტოლცერსი (85)

### მესამე დღე

6 თებერვალი

მეშვიდე ადგილისთვის

**ლიტვა 2:1 ლატვია**

0:1 პელშისი (4), 1:1 ტრაკისი (54), 2:1 ფომენკა (89)

ლიტვა: პოშკუსი, გლევეცკასი, ჟვირგჟდაუსკასი (დანილიჩევასი 46), ჯიაუკშტასი, ტერეშკინასი, გრაჟიუნასი, ვენცევიჩიუსი, შკარბალიუსი (შკინდერისი 66), კშანავიჩიუსი (ბუიტკუსი 43), ტრაკისი (ჟვინგილისი 75), ფომენკა

მეხუთე ადგილისთვის

**მოლდოვა 2:0 სლოვაკეთი**

1:0 ტესტიმიცანუ (75), 2:0 პოპოვიჩი (80)

ფინალი

**კვიპროსი 3:2 რუმინეთი**

დამატებით დროში

1:0 ოკასი (5), 1:1 მარა (17), 1:2 სტოიცა (55), 2:2 პოგიაცისი (69), 3:2 აგათოკლეუსი (99)

კვიპროსი: პანაიოტუ, კარასი, იოაკიმი (კონსტანტინუ 46), ნიკოლაუ, თეოდოტუ (ელეფთერიუ 46), მალეკოსი (დემეტრიუ 74), მელანარკიტისი (თემისტოკლეუსი 46), სპოლიარიჩი, პოგიაცისი, კონსტანტინიუ (აგათოკლეუსი 46), ოკასი

რუმინეთი: პრუნია, ბოლოჰანი, ფ. დუმიტრუ (ბუტა 75), მუტიცა, ლუპესკუ, პ. სტოიცა, ფ. პეტრე (მალდარასანუ 81), ჰილდანი, როსუ (ნასტასე 88), მ. ნიკულაე (რ. ნიკულესკუ 69), მარა (მიჰალჩია 69)

მესამე ადგილისთვის

ლიმასოლი
6 თებერვალი
16.30 საათი
ცირიონი
300 (ტევადობა 20 000)

**საქართველო 2:1 სომხეთი**

1:0 ზ. ჯანაშია (7), 1:1 ხაჩატრიანი (44), 2:1 მენთეშაშვილი (55)

საქართველო: გრიშიკაშვილი, სილაგაძე, ქემოკლიძე, მენთეშაშვილი, ჩიხრაძე, სიჭინავა (შეყილაძე 22), ნემსაძე, ჯამარაული, ყაველაშვილი, ა. არველაძე, ზ. ჯანაშია (ძოძუაშვილი 46)

სომხეთი: აბრამიანი (ბერეზოვსკი 46), კაზანჯიანი (არა აკოფიანი 79), ხაჩატრიანი, ოვსეპიანი, აჩატრიანი, დოჰოიანი, პეტროსიანი, ნაზარიანი, არამ აკოფიანი (არუთინიანი 87), არტ. ქარამიანი, სარქსიანი (არმ. ქარამიანი 43)

გაფრთხილება: ყაველაშვილი

მსაჯი: კ. კონსტანტინისი (კვიპროსი)

# ყიფიანს ტორპედო ფსკერზე დაუხვდა

თურქეთიდან ბულგარეთში გადაბარგებული ქუთაისის „ტორპედო“ ალბენაში ჩასვლისთანავე რვაგუნდიან საერთაშორისო ტურნირში ჩაება. საქართველოს ვიცე-ჩემპიონები და თასის მფლობელები პირველ ჯგუფში მოხვდნენ სოფიის „ლევსკის“, უზბეკეთის „დუსტლიკსა“ და ყაზახეთის ნაკრებთან ერთად. მეორე ოთხეულში რუსეთის „კრილია სოვეტოვი“, რუმინული „ფარული“ და ბულგარული კლუბები — ვარნის „სპარტაკი“ და ბურგსის „ნეფტოხიმიკია“.

„ალბენა მობილტელ 2000“-ის ტურნირის პირველი დღის შეხვედრაში ქუთაისელებს ლევსკის „სოფია“ დაუპირისპირდა. მატჩი ბულგარელთა გამარჯვებით დასრულდა — 2:1. ამ ჯგუფის ორმა შუააზიურმა ბინადარმა კი ერთმანეთში უგოლო ფრე ითამაშეს.

მეორე ოთხეულში პირველობის უდავო ფავორიტმა სამარულმა „კრილიამ“ 2:0 მოუგო ვარნის „სპარტაკს“. რუსული კლუბის ქართველი წევრებიდან ფოფხაძემ და წიკლაურმა ითამაშეს. სხვათა შორის, „კრილიას“ მთავარმა მწვრთნელმა ალექსანდრ ტარხანოვმა მატჩის შემდეგ აღშფოთება გამოხატა ბულგარულ მსაჯთა არაობიექტური მოქმედებების გამო.

„ნეფტოხიმიკი“ და „ფარული“ დაზავდნენ — 1:1. პირველი ტურის შემდეგ „ტორპედო“ ჯგუფში ცხრილის ფსკერზე დამკვიდრდა და დარჩენილ ორ მატჩში მხოლოდ მოგებისთვის მოუწევს ბრძოლა. ნახევარფინალში პირველ-მეორე-ადგილოსნები გადიან.

დღეს ქუთაისელები ყაზახეთის გუნდს ეთამაშებიან და, წინა შეხვედრისგან განსხვავებით, მოედანზე მთავარი მწვრთნელის — დავით ყიფიანისგან დამოძღვრილები გავლენ. ნაკვიპროსევი ყიფიანი წუხელ შეუერთდა ტორპედოელებს.

**ხვიჩა სანიკიძე**



„ლოკომოტივის“ ორივე გოლი „ლინფილდს“ ლევან ქებაძემ (№9) გაუტანა

# ქებაძე სალონიკში, ოღონდ არა პაოკ-ში

1 თებერვალს საბერძნეთში, ისევე როგორც სხვა ევროპულ ქვეყნებში, სატრანსფერო პერიოდი დაიხურა და ქართული საფეხბურთო სამყაროსთვის ერთი საინტერესო ფაქტიც მოხდა. სალონიკის „ირაკლისმა“, რომელიც წლეულს ალმავლობის გზაზეა, 23 წლის თბილისის დინამოელი ლევან ქებაძე დაიმატა. ქებაძემ კარიერა კახეთში დაიწყო. მეორეჯგუფელი „ჭაბუკიანიდან“ მან ჯერ რუსთავის „გორდას“, მაშინდელ „მეტალურგს“ მიაშურა, მერე ზესტაფონის „მარგვეთში“, ქუთაისის „ტორპედოში“, შემდეგ კი თბილისის „დინამოში“ თამაშობდა.

შარშან ლევანი „დინამომ“ თბილისის „ლოკომოტივში“ გაანათხოვრა და სწორედ აქ მიიპყრო ქართველმა ბერძენი სელექციონერების ყურადღება. ქებაძემ ორივე მატჩში იასპარეზა სალონიკის პაოკის წინააღმდეგ, რომელიც „ლოკომოტივისთვის“ კატასტროფული გამოდგა.

ქებაძის გარდა „ირაკლისმა“ კიდევ ორი ფეხბურთელი დაიმატა: ჰოლანდიის „ალკმარიდან“ ამაგეუ და პაოკიდან ცაფეროსი. „ირაკლისი“ ახლა 29 ქულით მეხუთე ადგილზეა და შეუძლია, მეოთხე ადგილისთვის იბრძოლოს. პირველ სამეულს ალბათ, ვერ შესწვდება. „პანათინაიკოსს“ 47 ქულა აქვს, „ოლიმპიაკოსს“ — 45, კრეტის „ოფს“ — 42, ათენის აეკ-ს კი — 31. 13 თებერვალს „ირაკლისი“ სწორედ აეკ-ს მიიღებს.

გასაკვირია, რომ „ირაკლისის“ თავკაცმა ანასტასიადისმა ფორვარდის დამატება გადაწყვიტა, რომელთა ნაკლებობას კლუბი ნამდვილად არ განიცდის. გუნდის აშკარა ლიდერია კონსტანტინიდისი, რომელმაც 11 გოლი გაიტანა და ბომბარდირთა დავაში მესამეა.

„ირაკლისს“ 1976 წელს საბერძნეთის თასი მოუგია. კლუბი 45-ათასიან „კაფტაცოგლიოზე“ თამაშობს.

ქებაძე მეშვიდე ქართველია, რომელიც საბერძნეთის უმაღლეს დივიზიონში ითამაშებს. აქამდე აეკ-ში თემურ ქეცბაიას, „ქსანტიში“ ნუგზარ ლობჟანიძეს, პაოკ-ში დავით კარიაულს და ახლაც პატრას „პანაჰაიკის“ ნახევარმცველ გოდერძი ნატროშვილს უასპარეზიათ.

**სიმონ მენაბდე**

# კოლხებმაც დაიწყეს

ფოთის „კოლხეთმა“ გუშინ ბულგარეთში პირველი მატჩი გამართა. მეტოქე უკრაინის პირველი ლიგის ერთ-ერთი ლიდერი ალექსანდრიას „პოლიგრაფტეხნიკა“ გახლდათ. ჩვენებურებმა შეხვედრა 2:1 მოიგეს. ანგარიში 51-ე წუთზე ლევან შავგულიძემ გახსნა. მატჩის დამთავრებამდე ოთხი წუთით ადრე უკრაინელებმა გაათანაბრეს, 89-ეზე კი შეტევაში მცველი ამირან კედელაშვილი ჩაერთო და გამარჯვების მომტანი ბურთიც გაიტანა. ერთი სიტყვით, „კოლხეთმა“ 2:1 მოიგო.

ფოთელებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშეს: ქვაჩახია, გოროზია, ჯღამაძე (ჩხენკელი), შალამბერიძე, ფანჩულიძე, კედელაშვილი, ლაღანიძე, კიკლიაშვილი, შავგულიძე (კვირკველია), ხუჭუა, ე. გვასალია (რ. ახალკაცი)

სამივე ფეხბურთელი გია ტყებუჩავამ მეორე ნახევარში შეცვალა. ალბათ, შეამჩნევდით, რომ ელდარ გვასალიას ნაცვლად რომან ახალკაცმა ითამაშა. ეს ფეხბურთელი ბულგარული „შუმენიდან“ მობრუნების შემდეგ ერთხანს რევაზ ძოძუაშვილთან ვარჯიშობდა „ლოკომოტივში“, მაგრამ, ახალკაცმა თბილისურ გუნდს „კოლხეთი“ ამჯობინა.

„პოლიგრაფტეხნიკა“ უკრაინის პირველ ლიგაში ალჩევსკის „სტალთან“ ერთად ლიდერობსო, წუხანდელი სატელეფონო საუბრისას გვითხრა კოლხთა თავკაცმა, რომელიც, ჩანს შეცდომაში შეუყვანიათ. „სტალს“ „პოლიგრაფტეხნიკასთან“ 11 გუნდი და ერთი იმდენი ქულა აშორებს, რამდენიც ალექსანდრიელებს სულ აქვთ — 19. ესენი ბევრად ახლომეზობლობენ გასავარდნ გუნდებთან.

დღეს ფოთელები ისევ გუშინდელ მეტოქეს შეხვდებიან მეორე შემადგენლობით, ხვალინდელი მოწინააღმდეგე, სტავროპოლის „დინამო“, რუსეთის ჩემპიონატის პირველლიგელია, 10 თებერვალს კი „კოლხეთი“ „სტალს“ ეთამაშება. შემდეგი შეხვედრა ფოთელებს 15-ში აქვთ დაგეგმილი, ისევ სტავროპოლელებთან. ალბათ 17-შიც ითამაშებენ და იმდღესვე უკან დაბრუნდებიან. არაა გამორიცხული, დონეცკის „შახტარსაც“ შეხვდნენ. ეს გუნდი წუხელ ჩაფრენილა ნესებრს, კოლხებსაც უკითხავთ, ხომ არ გვეთამაშაო. მოვიფიქრებთ და დილით გაცნობებთო — ასეთი ყოფილა დონეცკელთა პასუხი. ერთი სიტყვით, „კოლხეთი“ ან ეთამაშება მიხეილ ფოცხვერიას გუნდს, ან — არა.

— პირველი მატჩით კმაყოფილი ვარ, ბიჭებმა ძალები არ დაზოგეს. მატჩის წინ მათ ვუთხარი, შედეგი მეორეხარისხოვანია, მთავარია, სწორი, გამართული ფეხბურთი ითამაშოთ-მეთქი. დავალებაც ჩინებულად შემისრულეს. აქ ჩამოსვლიდანვე გუნდს დღეში სამჯერ ვავარჯიშებდი, დილით 8-ზე, შემდეგ 11-ზე და საღამოს 5-ის ნახევარზე. ახლა კი თამაშები თითქმის ყოველ მეორე დღეს გვიწევს და ორჯერად ვარჯიშებზე გადავიყვანე — გვითხრა ტყებუჩავამ.

მწვრთნელს გიორგი დავითნიძეზეც შევეკითხეთ, მოსკოვის „ტორპედოდან“ წამოსული ხომ არ დაგბრუნებიათო. არაფერი ვიცი, ეს ამბავი პირველად თქვენგან მესმისო. ის კი დასძინა, თუ რაიმე სხვა ვარიანტი არ გამოჩნდა, ჩვენ დაგვიბრუნდება, კონტრაქტით „კოლხეთს“ ერთი წლით ეკუთვნისო. ასევეა ტრაპაიძის საკითხიც. თუ იგი „შერიფმა“ არ დაიტოვა, ფოთს დაუბრუნდება.

რაც შეეხება „კოლხეთის“ ვეტერან ნახევარმცველ გია გიორგაძეს, იგი გუნდიდან და საერთოდ საქართველოდან, ოჯახთან ერთად, ისრაელში საცხოვრებლად წასულა.

**გიორგი ვაშაკიძე**

# ქინქლაძე უკმაყოფილო არ არის



დაპირების მიუხედავად, „დერბის“ მენეჯერმა ჯიმ სმიტმა მხოლოდ 30 წუთი ათამაშა გიორგი ქინქლაძე „შეფილდის“ წინააღმდეგ. შეგახსენებთ, რომ სმიტმა იმ საბაბით, რომ გიოს ამ მატჩში ძირითადში უპირებდა დაყენებას, ქართველი კვიპროსზე ნაკრებში არ გაუშვა.

61-ე წუთზე იტალიელი ერანიოს ნაცვლად შესული ქინქლაძე კვლავაც ჩვეულად გაისარჯა და მატჩის ბოლო წუთზე 2 საგოლე პასიც გააკეთა.

„სანმა“ ზედიზედ მეორედ დაასახელა იგი მატჩის საუკეთესო მოთამაშედ და ამჯერად 8-იანი დაუწერა (ყველაზე დიდი შეფასება გუნდში), „მირორიც“ იგივე აზრისა იყო (მანაც 8-იანი მოხაზა), აი, „სანდი მირორმა“ კი საუკეთესოდ შეფილდელი სიბონი მიიჩნია, ქინქის მხოლოდ 6-იანი არგო.

მატჩის შემდეგ ქინქლაძემ განაცხადა, რომ ძირითადში თამაშს ელოდა, თუმცა არც იმით არის უკმაყოფილო, რაც გააკეთა. „მე მეტი შემიძლია და ამას ფანები მალე დაინახავენ“ — თქვა ქართველმა.

სიმონ მენაბდე

# შეელევა რობსონი ქეცბაიას?



ბობი რობსონი

ნიუკასლ იუნაიტედის“ მთავარი მწვრთნელი ბობი რობსონი განაგრძობს ინტენსიურ მოლაპარაკებას არგენტინულ „ველეჟ სარსფილდთან“ ფლეიმეიკერ ბასედარის გადმოსაბირებლად. ბოლო ინფორმაციით, არგენტინელები 2,8 მილიონ გირვანქას ითხოვენ და ტრანსფერი მალე მოგვარებულადაც შეიძლება ჩაითვალოს.

ეს რობსონის მეორე სამხრეთამერიკული ტრანსფერია ამ თვეში. გასულ კვირას მან პარაგვაელი გალივანი შეიძინა, ისიც გამთამაშებელი და ძირითადის 8 ნომერიც უბოძა.

ბასედარის გადმობირების შემთხვევაში კლუბში ნახევარმცველთა რიცხვი ათსს მიაღწევს, კლუბმა კი უკვე განაცხადა, რომ ამდენი გამთამაშებელი მას არ სჭირდება.

გუშინ გავრცელებული ინფორმაციით, რობსონი რვა ნახევარმცველიდან არჩევს ორს, რომელსაც კლუბი ტრანსფერზე დააყენებს. მათ შორის დაიერის, სოლანოს, ლიის, სპიდის, გლასის, სარიჩისა და გალაჰერის გვერდით ქეცბაიაც არის.

რობსონი ალბათ თვის ბოლოს მიიღებს გადაწყვეტილებას, კლუბი რომელ ნახევარმცველებს გაყიდის. ბოლო მონაცემებით ქეცბაიას „ევერტონი“, „ქოვენთრი“ და „ვესტ ჰემი“ ეპატიჟებიან.

სიმონ მენაბდე

# კახა გამოიწრთო, დემი პოპულარულია

კვიპროსული შეკრებიდან დაბრუნებული კიევის „დინამო“ საკონტროლო მატჩში დონეცკის „შახტარს“ გაეჯიბრა. პოსტსაბჭოური თუ უცხოური გუნდებით დახუნძლულ ლარნაკაში ლობანოვსკის გუნდმა სულ სამი საწვრთნელ-საკონტროლო მატჩი გამართა. შეგახსენებთ, კიეველები ადგილობრივ ფამაგუსტას „ანორთოსისს“ ფრედ 2:2 ეთამაშნენ, ხოლო გერმანულ „როტ ვაისსა“ და ჩეხურ პრაღის „დუკლას“ დიდი ანგარიშებით სძლიეს (შესაბამისად 5:0 და 4:0). 6 თებერვალს კი „დინამომ“ კიევის სიახლოვეს, კონჩა-ზასპაშიც გააგორა ბურთი და 3:0 დაამარცხა „შახტარი“.

ერთგრადუსიან ყინვაში კიეველებმა პირველი ნახევარი ძირითადი შემადგენლობით ჩაატარეს. კალაძემ ადრინდელ პოზიციაზე — მარცხენა მცველად ითამაშა, რებროვ-დემეტრაძის დუეტი კი წინა ხაზზე გაამწესა ლობანოვსკიმ. „დინამომ“ ტაიმის ბოლო მესამედში იძალა და 33-ე წუთზე მიხაილენკოს გოლს წუთის შემდეგ დემეტრაძემ ერთიც მიაყოლა. დემიმ (ასე უწოდებენ თანაკლუბელები და იქაური გულშემატკივრები ქართველ ფორვარდს) ხაცკევიჩის პასის შემდეგ გამოსვლაზე დაიჭირა სტუმართა მეკარე.

პირველი ნახევრის შემდეგ ლობანოვსკიმ მხოლოდ გოლოვკო დატოვა მოედანზე და სათადარიგოებს მისცა თავის გამოჩენის საშუალება, თუმც გულშემატკივრებმა დემეტრაძეს ამოსუნთქვის საშუალება როდი მისცეს — მისგან ავტოგრაფს და სამახსოვრო სურათის გადაღებას ითხოვდნენ.

და ერთიც, სუსხიან ამინდში უკლებლივ ყველა ფეხბურთელი თბილ რეიტუზში ჩაცმული გასულა სათამაშოდ, გამონაკლისი კახა კალაძე ყოფილა. კონჩა-ზასპაში მისულმა ქომაგმაც თურმე სულ „კახა ზაკალიონი“ უძახა ქართველ ფეხბურთელს.

ბაატა ძვანტალიანი

# ციმბირელები მალთაყვაში

რუსეთის მეორელიგელ ნოვოსიბირსკის „ჩკალოვეცზე“, უნდა გახსოვდეთ, ბევრჯერ დაგვიწერია და ამ ციმბირული გუნდისადმი ჩვენი ყურადღება შემთხვევითი არ ყოფილა. მოგეხსენებათ, „ჩკალოვეცს“ რამდენიმე ქართველი მოთამაშე ჰყავს აყვანილი, თანაც ჩვენებური მთავარი მწვრთნელი ავარჯიშებს.

შარშანწინ ნოვოსიბირსკელებს სულ ცოტა დააკლდათ პირველ ლიგაში მოსახვედრად, ისინი მეორე ადგილზე გავიდნენ თავიანთ ზონაში. სერგო იროპამშვილის შეგირდები გასულ წელსაც აპირებდნენ უფრო პრესტიჟულ ლიგაში აღზევებას, მაგრამ ჩანაფიქრი ვერ განახორციელეს, ზონაში მხოლოდ მეხუთე ადგილი ერგოთ.

ახლა კი ახალი სეზონი ახლოვდება და, როგორც შევიტყვეთ, „ჩკალოვეცი“ კვლავაც პირველ ლიგაში გადასვლას ისახავს მიზნად. საამისოდ მზადებასაც ადრიანად შესდგომია. იანვარში ციმბირელები შინ, დახურულ დარბაზში გადიოდნენ წვრთნას, ოღონდ არასრული შემადგენლობით. მათი ქართველი ლეგიონერები, ასეთი კი ამ გუნდში ექვსია — მერაბ მეგრელაძე, გოჩა ჩიხლაძე, მურთაზ ნაჭყეპია, გელა წიქარიშვილი, მამუკა მანაგაძე და მამუკა მინაშვილი — ამ პერიოდში სამშობლოში იმყოფებოდნენ (ახლაც აქ არიან) და „ჩკალოვეცის“ ძირითად ნაწილს ამ კვირის ბოლოს თუ შეუერთდებიან.

საქმე ის გახლავთ, რომ შარშანწინდელისა არ იყოს, „ჩკალოვეცი“ პირველ უცხოურ შეკრებას საქართველოში აპირებს და, სავარაუდოდ, 13 თებერვალს გვეწვევა. ოღონდ, ეგ არის, ადგილსამყოფელს შეიცვლის. გემახსოვრებათ, ორი წლის წინ გუნდი წყალტუბოში იყო დაბინავებული, ამჯერად კი შეკრების ადგილად ჩვენი ზღვისპირეთი აურჩევია და სამ კვირას ფოთის მახლობლად, მალთაყვაში დაჰყოფს.

სერგო იროპამშვილს მალთაყვაში 10 თებერვალს მიელიან, დელეგაციის დანარჩენი წევრები კი, როგორც ვთქვით, 13-ში იქნებიან ადგილზე და მეორე დღიდანვე „ჩკალოვეცი“ სრული შემადგენლობით შეუდგება წვრთნას და ამ სამ კვირაში რამდენიმე ჩვენებურ გუნდსაც გაეჯიბრება ამხანაგურად. ციმბირელთა სავარაუდო მეტოქეებად „ლოკომოტივი“, „სამგურალი“, „ბათუმი“, თსუ, „კოლხეთი“ და „ტორპედო“ უნდა ვიგულისხმოთ. სპარინგ-პარტნიორთა ნაკლებობის პრობლემა ციმბირელებს ნამდვილად არ შეაწუხებს. არის მეორე, უფრო მნიშვნელოვანი დაბრკოლება, რომელიც „ჩკალოვეცში“ სწორედ რომ ქართველ ფეხბურთელთა დარჩენა — არდარჩენას უკავშირდება. როგორც იცით, რუსული ფეხბურთის მამებმა მეორე ლიგის გუნდებში ლეგიონერებს თამაში აუკრძალეს. „ჩკალოვეცი“ ჩვენებურთა გარეშე რომ არ დარჩეს, ბიჭებმა რუსეთის მოქალაქეობა უნდა მიიღონ. რამდენად რეალურია ეს ვარიანტი, ამას, ალბათ, მალე შევიტყობთ.

იუზა ძაძიტაძე ქუთაისიდან



# დიალოგი აქტუალურ თემაზე

ჰე-ჰეე, ძმისშვილო, მოვიგეთ ხომ? ძლივს? აბა, ადვილად „დეპორტივო“ უგებს „რეალს“. კაი, კაი, ყველას გაფიცებ, ახლა სლოვაკი ახალგაზრდების დამარცხებაც უნდა გვიხაროდეს, სომხების დაბრიყვებაც და რუმინელებთან ფრეც — დრო გვიდგას ასეთი. მესმის შენი, დიდი სახმაურო და სააურზაურო არაფერი ჩაუდენიათ ბიჭებს, მაგრამ ნაკრები რომ კიდევ რამდენიმე ახალგაზრდამ დააჭაშნიკა, ესეც საქმეა. იზრდება, ბიძიკო, კონკურენცია, ეზრდებათ ფეხბურთელებს რიდი და პასუხისმგებლობა და ველარავინ იფიქრებს შეუცვლელი ვარ, უჩემოდ რა გეშველებათო.

ერთად ყოფნა, შეკრება და მწვრთნელების ამბავი მითხარი შენ, თორემ რა უნდა გაეკეთებინათ ახლა ისეთი კვიპროსელებს, ვინმე გაკვირვებულიყო — ტურნირია და ტურნირი, ტურნირით ახლა ვინმეს გააკვირვებ? მერე, ამხანაგური თამაშები რომ ელექტროენერგიასავით დაუძვირდა ჩვენს ნაკრებს, ეს კვიპროსული თამაშები რა, ამხანაგურებში არ გადის? გადის და კვიპროსში ნაკრების თამაშიც ამიტომ იყო კარგი.

სხვა მხრივაც გამოადგებათ მწვრთნელებს ეს ტურნირი — ნახეს, ვინ ვინ არის, ვის რა შეუძლია, რომელმა ფეხბურთელმა რაზე უნდა იმუშაოს... ასე ნაბიჯ-ნაბიჯ და თამაშ-თამაშ უნდა აშენდეს, ბიძიკო, გუნდი, თორემ მეკვერცხია ქათამივით კვერცხის დადების წინ თუ აკაკანდნენ ადრინდელივით, რა ჩიტს დავიჭერთ აგერ ვნახავთ.

იმედის რა გითხრა, ძმაო და შვილო, ამათ შემყურეს რა იმედი და ხალისი შეგრჩება კაცს, მაგრამ მაინც მომავლით ცხოვრობს ყველაკაცი და იმათში ვარ მეც — ადრე თუ არა, ეგებ ახლა მაინც, იქნებ ამ ჯგუფში მაინც მოახერხონ რამე...

გეცინება შენ. კი, კი, ნუ ამბობ უარს, თუ კაცი ხარ. ადრეც მოგისმენია ჩემგან ამგვარები და იმიტომაც. რა ვქნა, ბიძიკო, უფეხბურთოდ მე არ შემიძლია და გულიც ჩემებზე შემტკივა. ამიტომაა, იმედიანად ვხვდები ყოველ ციკლს. შენი თუ არ გიყვარს, სხვას როგორ შეიყვარებ — არ ვიცი, ერთი.

გახსოვს, წინა კვირეებში „ჩელსში“ გადასულ ბიჭზე რომ ვლაპარაკობდით, ეს გითხარი, იქ ჯდომა-ვარჯიშითაც შეიძლება ბევრი რამის სწავლა-მეთქი. ისე ყველაფერი კაი დაგემართოს, რავარც მართალი გითხარი. მაგალითი? ინებე, რამდენიც გსურს. მაგრამ ყველაზე უფრო ქეცბაიას ამბავი დაგარწმუნებს ჩემი მაშინდელი სიტყვების სისწორეში. აბა, ნახე, რამდენი ხანია, ძირითადი არ ულირსებია მაგ ბიჭისთვის იმ ბებერ რობსონს, მაგრამ სხვებს ისევ ეგ სჯობდაო, ასე თქვეს და იცი, რატომ? საქმე აქვთ აწყობილი, ბიძიკო, საქმე. იციან, როდის, სად და როგორ ავარჯიშონ ფეხბურთელი, აქედან გამომდინარე, მოთამაშეც სწორად ყალიბდება და აჯობებს სხვებს, აბა, რა იქნება.

ერთი რამეა კიდევ სასიხარულო — ამდენი წაგების მერე მოგების გემო გაიხსენეს ბიჭებმა. ირწმუნებენ, ალბათ, თავისას და მაღა ჭამაში მოდისო, ქართული არ არის?

დღეს განწირული და უსაშველო აღარავინაა, ძმისშვილო. თუ სწორად მიუდგები საკეთებელს, ნაყოფსაც მოიმკი უთუოდ. მომბეზრდა, ბიძიკო, ამდენი ძალად გულისტკივილი, ერთი ძველებურად გავიხარო მინდა და სიხარულის ცრემლებს მოვაყოლო გრძნობები. ამიტომაა, ყველასი პატარა ბავშვივით მჯერა. სულ ერთია, ვინც გინდა იყოს, საქმე და ფეხბურთი გამომისწოროს, მე რომ მინდა, ისე.

კვიპროსული მესამე ადგილი კი არც დიდად სანაღვლოა და არც დიდად გასახარელი, ბიძიკო. ამაზე უკეთესებიც გვახსენდება და უარესებიც ჰე, რამდენი გვინახავს შენც, მეც და ტრიფონიასაც. გაივლის ეს წყალიც, ძმისშვილო, დასავიწყარი დაავიწყდება ხალხს და ქომაგს და ჩვენი ნაკრები და ჩვენ კი შევრჩებით ერთმანეთს ქვიშასავით. ახლა ორი ხელის თითები რომ გვჭირდება შესარჩევი ციკლის დაწყებამდე დარჩენილი თვეების ჩამოსათვლელად, მალე ერთიასაც საკმარისი იქნება და ისიც ისე მალე დაგველევა თვალსა და ხელს შუა, შენი მოწონებული. გადადებული საქმე ეშმაკის რომაა, ეს კარგა ხანია, ცნობილია ჩვენში და მედლეხვალიე კაცსაც როდის რა დახლი დასდგომია, ახლა ჩვენ რომ დაგვიდგეს. აქედანვე უნდა — „ჰკა მაგას“ და შემახილი საქმეს, ბიძიკო.

იმ დღეს ბაზაზე თამაშს ვუცქირე და, თავქეიფობაში არ ჩამომართვა, გული ამომივარდა. როგორ იბრძოლეს, როგორ ცდილობდნენ, თავისი დაემტკიცებინათ, არ გადახნეს მინდორი?! არა, ძმისშვილო, უნახავი კი არაფერი უქნიათ, მაგრამ არც ასეთი ბრძოლა მინახავს მინდორზე კაი ხანია და საქმეა ესეც.

კვიპროსი კი იყოს თავისთვის. აწყოს ეს ჩირთიფირთი ტურნირები და ჩვენ ღმერთმა იმ დღეს მოგვასწროს, მათ მიწვევაზე ტუჩი აგვებზუებინოს — ვინ ჩვენა და ვინ კვიპროსიო. იყო ადრე ასე და აწი რა იქნება, მე და შენ ვინ გვეტყვის, საქმის მკეთებელ კაცებზეა ყველაფერი დამოკიდებული.

კონსტანტინე გოგიშვილი



თემურ ქეცბაია

# კლუბებო! მოითხოვეთ, ნუ იხდით!..



ექსარმიელი ზაზა ზირაქიშვილი „დინამოდან“ ბულგარულ ბელასიცაში გადავიდა

ერთი უცნაურობა სჩვევიათ ქართულ საფეხბურთო კლუბთა მესვეურებს — არასდიდებით გაგიმხელენ იმ თანხის ოდენობას, სასურველი ფეხბურთელის გადასაბირებლად რომ გადაიხადეს. საიდუმლოაო, გეტყვიან და ასე გამოგისტუმრებენ, გამონაკლისი — ათასში ერთი, მაშინაც უფრო მინიშნებით — ალბათ, ამდენიო. საქართველოში, რატომღაც ასეა, არადა, დასავლეთ ევროპაში, გნებავთ, აღმოსავლეთშიც, კლუბები მილიონიან ტრანსფერებს ამზეურებენ. ის სხვაა, ოფიციალურად დასახელებული თანხის გარდა დაინტერესებულნი კიდევ რამდენს იღებენ თუ იხდიან. სამწუხაროდ, ჩვენში უკვე დამკვიდრდა: ფეხბურთელის სანაცვლოდ ოფიციალურად გადახდილ ფულზე არაფერს ამბობენ. ყოველივე კი უნებურად დაგაეჭვებს კაცს... აღარ გავაგრძელებთ, მიმხვედრი მიხვდება... ესეც იმაზე მეტყველებს, რომ ქართული ფეხბურთის სატრანსფერო პოლიტიკა ძალიან შორსაა ამ ცნების საყოველთაოდ მიღებული არსისგან. ტრანსფერი ის არაა, ფეხბურთელი მატარებლიდან ჩამოსვა, ერთი-ორი კაპიკი მისცე და შენს კლუბში გადაიბირო. ამით მავანნი ხეირობენ, კლუბები კი...

დღეიდან „საშუასეზონო მიდი-მოდის“ ერთი ცნობაც დაემატება — საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის დახმარებით ოფიციალურად შეიტყობთ ფედერაციის მიერ ყველა სერტიფიცირებული ტრანსფერის თაობაზე და ღირებულებაზე, ანუ რამდენი გადაიხადა ფეხბურთელის ახალმა კლუბმა და რამდენი მიიღო ყოფილმა.

ჯერჯერობით, მიმდინარე ჩემპიონატის პირველი წრის დასრულებიდან დღემდე, მხოლოდ ოთხი ტრანსფერი ყოფილა ფედერაციის მიერ ბეჭედდასმული, დანარჩენები კი იურიდიულად გაუფორმებელია და, შესაბამისად, ფეხბურთელის სანაცვლოდ გადახდილი თანხის რაოდენობაც უცნობია.

ახლა თავად განსაჯეთ. კობა ნინუა, ზაზა ზირაქიშვილი, სოსო ბარამიძე და ლევან გვაზავა თამაშს უცხოეთში გააგრძელებენ. მათი ყოფილი კლუბები — თსუ, „დინამო“, „ლოკომოტივი“ და ხობის „კოლხეთი“ კი კაპიკსაც ვერ მიიღებენ. სატრანსფერო თანხაზე აღარაფერს ვამბობთ, ქართულმა კლუბებმა უცხოურებს კომპენსაციაც არ მოსთხოვეს, ისე გაუშვეს ფეხბურთელები. მერე იტყვიან, გვიჭირსო. გაუჭირდებათ, აბა, რა იქნება.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია კი გაცემული ტრანსფერიდან არაფერს ითხოვს, მხოლოდ საკომუნიკაციო ხარჯების ანაზღაურებას, დაახლოებით 200 ლარსო, გვითხრა ფედერაციის ერთ-ერთმა ჩინოსანმა.

რა გამოდის? ის, რომ კლუბი, რომელმაც წესითა და რიგით ფეხბურთელის სანაცვლოდ აქეთ უნდა მიიღოს ფული, იქით იხდის.

**კობა ინასარიძე**

# საშუასეზონო მიდი-მოდი

| I–VIII | გასხვისებულები | ახალწვეულები | მატჩები |
|---|---|---|---|
| ტორპედო<br>*დავით ყიფიანი* | მაზანიშვილი (სიონი), კ. ჯანაშია (სამგურალი), ვ. მაისურაძე (თბილისი), ჩხაბერიძე (თავისუფალი აგენტი) | გ. გოგოლაძე, თავბერიძე, ვადაჭკორია, კვერნაძე, ბაბუნაშვილი (ინტერი), ქადაგიძე (ნორჩი დინამოელი) | ქოიზმეთესფორი (თურქეთი) 5:0, შინიკი (რუსეთი) 0:1, ნოსტა (რუსეთი) 2:2, ვენტსპილსი (ლატვია) 2:1, ანთალია 2 (თურქეთი) 3:1, იესილი (ყაზახეთი) 0:0, ლევსკი (სოფია, ბულგარეთი) 1:2 |
| დინამო<br>*ოთარ კორღალიძე* | აშვეთია (ალანია, რუსეთი), ალექსიძე (ჩელსი, ინგლისი), ლომაია (ლოკომოტივი), ზირაქიშვილი (ბელასიცა, პეტრიჩი, ბულგარეთი), ხომერიკი (ბათუმი), თ. კობიაშვილი (ვიტ ჯორჯია), ვ. გოგიაძე, ს. გოგიაძე (ანჟი, რუსეთი) | ნემსაძე, გოგიჩაიშვილი (ლოკომოტივი), კერძევაძე (ქიაფაზი, აზერბაიჯანი), ქემოკლიძე, ო. გველესიანი, ზამთარაძე, რუხაძე, მიქაძე, ა. ჩიხრაძე, ზ. ხიზანიშვილი (თბილისი), დათუაძე (სიონი), შელია (მანჩესტერ სიტი, ინგლისი), ლობჟანიძე (უეფას მიერ დის. კვალიფიცირებული იყო), გადელია (ბათუმი), რ. არველაძე (ობერჰაუზენი, გერმანია), ჩხეიძე (?) | ვიტ ჯორჯია 3:2, ლოკომოტივი 1:2, საქართველო U21 2:2, ცაგ დინამო (ყირგიზეთი) 5:2, ვარზობი (ტაჯიკეთი) 3:5, ირტიშ პავლოდარ (ყაზახეთი) 5:2 |
| კოლხეთი<br>*გია ტყებუჩავა* | ჭოხონელიძე (თსუ), ტრაპაიძე (შერიფი, მოლდოვა), ბულუხია, გ. გიორგაძე (თამაში მიატოვა), მელაძე, დ. გოგოლაძე, დავითნიძე (?) | მ. ქობულაძე, შავგულიძე (ლოკომოტივი), გ. ჩიტაია (დილა), ფანჩულიძე, შ. ჩხენკელი (ტრავმის გამო არ თამაშობდნენ), დ. კვირკველია (კოლხეთი 2), რ. ახალკაცი (შუმენი, ბულგარეთი) | პოლიგრაპტექნიკა (ოლექსანდრია, უკრაინა) 2:1 |
| ბათუმი<br>*ჯანი კარნევალე* | პაპიძე (თბილისი), კანტიძე (თამაში მიატოვა), გადელია (დინამო), უვაკვე (?) | ხომერიკი (დინამო), ჩლაიძე, თარგამაძე (არსენალი), პეტრიაშვილი (სამგურალი), ბარნოვი (ლოკომოტივი), ბოკიჩი (ნაციონალი, ბუქარესტი, რუმინეთი) | რეშიცა (რუმინეთი) 1:2, არეცო (იტალია) 3:1, სტიაუა (რუმინეთი) 3:4 |
| ვიტ ჯორჯია<br>*სერგო კოტრიკაძე* | კ. ალადაშვილი (გორდა), მაზიაშვილი (თსუ) | ლ. მელქაძე (თბილისი), ი. ხაჭაპურიძე (სამგურალი), მერლანი (თსუ), თ. კობიაშვილი (დინამო) | ზოოვეტი 5:0, დინამო 2:3, თსუ 6:4, დილა 1:0, მერანი 0:0, სიონი 1:0, საქართველო U21 1:0, არსენალი 2:1 |
| სიონი<br>*სპარტაკ არჩვაძე* | დათუაძე (დინამო), დ. გოდერძიშვილი, ნ. მინდიაშვილი, მ. მინდიაშვილი (ლოკომოტივი) | მაზანიშვილი (ტორპედო), ისიანი (თბილისი), დაუშვილი (არსენალი) | ვიტ ჯორჯია 0:1, არსენალი 1:1, 1:3 |
| დილა<br>*მერაბ კოქლაშვილი* | გ. ჩიტაია (კოლხეთი), თაყაძე (შერიფი, მოლდოვა), სოლოლაშვილი, შატაკიშვილი (ლადა ტოლიატივაზ, რუსეთი) | საყვარელიძე (დილას სკოლა) | ვიტ ჯორჯია 0:1, მერანი 0:0, ლოკომოტივი 3:1 |
| იბერია<br>*სოსო გრუიძე* | კ. მეტრეველი (დნეპრი ან ნივა, ტერნოპოლი, უკრაინა) | | |

| IX–XVI | გასხვისებულები | ახალწვეულები | მატჩები |
|---|---|---|---|
| ლოკომოტივი<br>*რევაზ ძოძუაშვილი* | ნემსაძე, გოგიჩაიშვილი (დინამო), მ. ქობულაძე, შავგულიძე (კოლხეთი), ბარნოვი (ბათუმი), ლ. მიქაძე (ანჟი, რუსეთი), ქებაძე (ირაკლისი, საბერძნეთი), ბარამიძე (პიერიკოსი, საბერძნეთი), დ. ჯანელიძე, ნივნივაძე (არსენალი), დოლაბერიძე (?) | ლომაია (დინამო), კვარაცხელია, აბრამიძე (თბილისი), ხუროძე (სკონტო, ლატვია), ძოძუაშვილი (სამგურალი), გამცემლიძე (ტრავმის გამო არ თამაშობდა), დ. გოდერძიშვილი, ნ. მინდიაშვილი, მ. მინდიაშვილი (სიონი), პარამონოვი (თბილისი 2), ჯულელი (მეტალურგი, ლიპეცკი, რუსეთი) | დინამო 2:1, დილა 1:3, მერანი 2:2, 0:1 |
| გორდა<br>*იასონ ალადაშვილი* | | კ. ალადაშვილი (ვიტ ჯორჯია), გაბარაევი (მამული), დ. ნიკლაური (ხალიბი) | ხალიბი 4:3, 3:2 |
| თსუ<br>*თენგიზ კაცია* | მერლანი (ვიტ ჯორჯია), ნინუა (ბელასიცა, პეტრიჩი, ბულგარეთი) | მაზიაშვილი (ვიტ ჯორჯია), ფუტკარაძე (ინტერი), ჯავახიშვილი, გ. ილურიძე (განთიადი), ნანიშვილი (ცხუმი), სულავა (ნორჩი დინამოელი), ჭოხონელიძე (კოლხეთი) | ვიტ ჯორჯია 4:6 |
| მერანი<br>*სერგო გაბელაია* | ხარებავა, ე. ალადაშვილი (არსენალი) | კოშკაძე, ავალიანი, მელიქია, კვანტალიანი, მიკუჩაძე (ამირანი), ქორავა (არაგვი), თ. დოლიძე, მოსულიშვილი (?) | ცხუმი 6:0, ვიტ ჯორჯია 0:0, დილა 0:0, ლოკომოტივი 2:2, 1:0 |
| თბილისი<br>*რამაზ შენგელაძე* | ქემოკლიძე, ო. გველესიანი, ზამთარაძე, რუხაძე, მიქაძე, ა. ჩიხრაძე, ზ. ხიზანიშვილი (დინამო), კვარაცხელია, აბრამიძე (ლოკომოტივი), ისიანი (სიონი), ლ. მელქაძე (ვიტ ჯორჯია), ვალერი გაგუა (სკონტო, ლატვია) | გონჩაროვი (არსენალი), ვ. მაისურაძე (ტორპედო), პაპიძე (ბათუმი), ნორაკიძე, ჩივაძე, ახალია (თბილისი 2), ლუდუშაური (არ თამაშობდა) | |
| სამგურალი<br>*იასონ ბზიკაძე* | ძოძუაშვილი (ლოკომოტივი), ი. ხაჭაპურიძე (ვიტ ჯორჯია), პეტრიაშვილი (ბათუმი), კოპალიანი (XXI საუკუნე) | კ. ჯანაშია (ტორპედო), გაბუნია (მეტალურგი), გ. ჯანელიძე (ტრავმის გამო არ თამაშობდა) | |
| ხობი<br>*უმწვრთნელოდ* | ლ. გვაზავა (ზიმბრუ, მოლდოვა), ნიქაბერიძე, ბაბუაძე, გოგიტაძე, ზ. კვეკვესკირი, თორია (?) | | |
| არსენალი<br>*ჯონი ჯანელიძე* | ჩლაიძე, თარგამაძე (ბათუმი), გონჩაროვი (თბილისი), დაუშვილი (სიონი), მ. მაისურაძე (?); მამუკა გეგეჭკორი (მწვრთნელი, დაითხოვეს) | ხარებავა, ე. ალადაშვილი (მერანი), დ. ჯანელიძე, ნივნივაძე (ლოკომოტივი), ტულუში (?); ჯონი ჯანელიძე (მწვრთნელი) | სიონი 3:1, ვიტ ჯორჯია 1:2 |

**შენიშვნა: საბოლოო მხოლოდ დახრილი ტრანსფერებია**

# მერსისაიდი იღვიძებს

## ინგლისი

XXIV ტური

### დერბი 3:3 შეფილდ უენსდი

0:1 დე ბილდე (22), 0:2 სიბონი (68), 1:2 შტრუპარი (71), 1:3 დონელი (89), 2:3 ბარლი (89), 3:3 კრისტი (90)
დერბი ქაუნთი: პოომი, ლაურსენი, შნური, ელიოტი, დელაპი, ბარლი, ერანიო (ქინქლაძე 60), ჯონსონი, დორიგო (სტარიჯი 72), შტრუპარი, კრისტი
შეფილდ უენსდი: სრნიჩეკი, ნოლანი, უოლკერი, აზერტონი, ჰინჩკლიფი, ჰასლამი, იონკი (სონერი 76), ალექსანდერსონი (სკოტი 57), ქვინი, დე ბილდე (დონელი 82), სიბონი
მსაჯი: ელერეი

### სანდერლენდი 2:2 ნიუკასლი

0:1 დომი (11), 0:2 ჰელდერი (21), 1:2, 2:2 ფილიპსი (22, 82)
სანდერლენდი: სორენსენი, მაკინი, კრადოკი, ბატლერი, გრეი, სამერბი (რიდი 75), მაკკანი, შვარცი, კილბეინი, ნ. ქუინი, ფილიპსი
ნიუკასლი: ჰარპერი, უ. ბარტონი, დაბიზასი, ჰელდერი, პისტონე (ა. ჰიუზი 36), დაიერი, ლი (გავილანი 88), სპიდი, დომი (გალაჰერი 88), შირერი, დ. ფერგიუსონი
გაფრთხილება: შვარცი, დაბიზასი, ლი
მსაჯი: გალაჰერი

### უიმბლდონი 0:3 ევერტონი

0:1, 0:2 კემპბელი (53, 61), 0:3 მური (63)
უიმბლდონი: სალივანი, კანინგემი, ანდერსენი, ჰრეიდარსონი, კიმბლი, ბადირი (ფრანცისი 76), ერლი (ერდლი 66), იუელი, ლებერნი (ანდრესენი 66), გეილი, კორტი
ევერტონი: მირე, დანი, გუგი, ვეირი, ანსუორთი, მური, ჰათჩისონი (შავიერი 84), პემბრიჯი, ბოლი, კადამარტერი, კ. კემპბელი
გაფრთხილება: მური
მსაჯი: ბარბერი

### ასტონ ვილა 4:0 უოტფორდი

1:0 სტოუნი (47), 2:0, 3:0 მერსონი (57, 59), 4:0 უოლკერი (81)
ასტონ ვილა: ჯეიმსი, ეჰიოგუ, კალდერვუდი, ბერი, დილანი, სტოუნი, ბოატენგი (სამუელი 71), მერსონი (ჰენდრი 84), ა. რაიტი, ჯოუჩიმი (უოლკერი 64), კარბონე
უოტფორდი: დეი, გიბსი, პეიჯი, პალმერი, კოქსი (ვუტერი 64), ჰიდი, ბონოტი, ისტონი (კენედი 46), რობინსონი, მ. სმიტი (სმარტი 46), ჰელგუსონი
გაფრთხილება: პეიჯი, რობინსონი
მსაჯი: ჯონსი

### ბრედფორდი 2:1 არსენალი

1:0 უინდასი (10), 1:1 ანრი (13), 2:1 სონდერსი (57)
ბრედფორდი: დევისონი, ჰალე, ვეზეროლი, ობრაიენი, ჯაკობსი, ლოურენსი, მაკკოლი, უოლი, ბიგრი, სონდერსი, უინდასი (დრაიერი 90)
არსენალი: სიმენი, დიქსონი, კიოუნი, გრიმანდი, უინტერბერნი, პარლოუ, ლიუნგბერგი, პეტი, მალცი (ბერხკამპი 67), შუკერი, ანრი
გაფრთხილება: დევისონი, ანრი
მსაჯი: დურსო

### ლესტერი 2:1 მიდლსბრო

1:0 ონილი (1 ს.კ.), 2:0 იმპი (41), 2:1 კემპბელი (52)
ლესტერი: ფლაუერსი, სინკლერი, ტაგარტი, სევიჯი, ჯილკრისტი, იმპი (უოლში 84), იზეტი, ლენონი, ოუქსი, ელიოტი, ედი
მიდლსბრო: შვარცერი, ფლემინგი, ფესტა, პალისტერი, ციგე, კუპერი, ინსი, ონილი (რიკარდი 80), სამერბელი, ა. კემპბელი, ჟუნინიო
გაფრთხილება: სამერბელი
მსაჯი: ბენეტი

### ლივერპული 3:1 ლიდსი

1:0 ჰამანი (19), 1:1 ბოიერი (62), 2:1 ბერგერი (69), 3:1 მერფი (90)
ლივერპული: ვესტერველდი, კარაგერი, ენჩოსი, ჰიიპია, მატეო, შმიცერი, ჰამანი, ჯერარდი, ბერგერი, მეიერი, კამარა (მერფი 71)
ლიდსი: მარტინი, ა. კელი, დაბერი, ვუდგეიტი, ჰარტი, ბაკე, მაკფეილი (ჰაკერბი 75), ბოიერი, უილკოქსი, ა. სმიტი (ბრიჯისი 75), კიუელი
გაფრთხილება: ჰამანი, ჯერარდი, ჰარტი, დაბერი, სმიტი
მსაჯი: რიდი

### მანჩესტერი 3:2 ქოვენთრი

1:0, 2:0 კოული (39, 54), 2:1 რუსელი (65), 3:1 სქოულზი (77), 3:2 რუსელი (90)
მანჩესტერი: ბოსნიჩი, გ. ნევილი, სტამი, სილვესტრი, ფ. ნევილი, ბექემი, როი კინი, სქოულზი, სოლსკიაერი (ბათი 70), ე. კოული, შერინგემი (კრუიფი 80)
ქოვენთრი: ჰედმანი, ტელფერი (ოსტიჩი 10), უილიამსი, ბრინი, შოუ, გუსტაფსონი, პალმერი, მაკალისტერი, ფროგატი, რობი კინი, რუსელი
გაფრთხილება: სოლსკიაერი
მსაჯი: უილკი

### საუთჰემპტონი 2:1 ვესტ ჰემი

1:0 პახარსი (54), 1:1 ლამპარდი (65), 2:1 ჩარლზი (86 ს.კ.)
საუთჰემპტონი: ჯონსი, დოდი, რიჩარდსი, ბენალი, კოლეტერი (ბრიჯი 21), ტესემი, ოუკლი, მარსდენი, ბოა მორტე (ჰიუზი 66), პახარსი (სოლტვედტი 89), დევისი
ვესტ ჰემი: ფორესტი, რ. ფერდინანდი, შტიმაცი, მარგასი (მონკუ 46), ჩარლზი, ლომასი, ლამპარდი, ჯ. კოული, მინტო, ვანჩოპე, ტ. სინკლერი
გაფრთხილება: ჩარლზი, შტიმაცი
მსაჯი: ნაითი

### ტოტენჰემი 0:1 ჩელსი

0:1 ლამბური (52)
ტოტენჰემი: უოკერი, კარი, პერი, სოლ კემპბელი, ტარიკო, კლემენსი, შერვუდი, ანდერტონი (ნილსენი 85), ჟინოლა, კ. არმსტრონგი, ივერსენი (კორსტენი 80)
ჩელსი: დე გუი, ლამბური, დესაი, ტომე, ჰარლი, პეტრესკუ (მორისი 84), უაიზი, დეშამპი, პოიეტი, ვეა, სატონი (ფლო 76)
გაფრთხილება: პოიეტი
მსაჯი: პოლი

„მანჩესტერ იუნაიტედი“ კვლავ მშვენიერი მარაგით გაიჭრა წინ, რაჩან „ქოვენთრის“ სძლია „ოლდ ტრეფორდზე“, „ლიდსმა“ კი „ენფილდზე“ წააგო „ლივერპულთან“. ახლა პრემიერლიგის ლიდერსა და მის მდევარს შორის სხვაობა ექვსი ქულაა. თითო მორჩენილი თამაში კი ამ ორ გუნდს საშუალებას აძლევს, ერთგვარი სიმშვიდით უმზირონ მესამე ადგილზე მოჭიდავე „არსენალსა“ და იმავ „ლივერპულს“.

ცხრილი იქეთ იყოს და შაბათ საღამოს „ენფილდზე“ მართლაც საუცხოო ფეხბურთი გაიმართა. „ლივერპულ“ — „ლიდსის“ შეხვედრის მეორე ტაიმი სამი ლამაზი გოლით და მძიმე ორთაბრძოლებით შეიქნა დასამახსოვრებელი. მასპინძლებს არ ჰყავდათ ოუენი და ფაულერი. სტუმართა ძირითადში კი არ ჩანდნენ ბრიჯისი და ჰაკერბი, რომ აღარაფერი ვთქვათ აფრიკის თასზე მოთამაშე კაპიტან რადებესა და ტრავმირებულ ბეტიზე.

პირველი ტაიმის შემდეგ „ლივერპული“ იგებდა: დიტმარ ჰამანის მიერ შესრულებული საჯარიმო დარტყმა ჯონათან ვუდგეიტის ფეხიდან შევარდა კარში. „ლიდსელთა“ მეკარე მარტინმა რამდენიმე კარგი ბურთიც აიღო და როცა მეორე ტაიმში ლი ბოიერი თავი[illegible] წაუწვა უილკოქსის ჩამოწოდებულს და ანგარიში გაათანაბრა, კაცი იფიქრებდა, ეს არის და იორკშირელებმა თამაშის ჩარხი ალმა დააბრუნესო. მაგრამ ლივერპულელ ჩეხთა კომბინაცია პატრიკ ბერგერის ბრწყინვალე დარტყმით დასრულდა — მარტინის ნახტომი ამაო იყო. ბურთი მეკარისგან მარცხენა მაღალ კუთხეში ყუმბარასავით შევარდა. „ლიდსმა“ თითქოს სცადა რაღაცის შეცვლა, მაგრამ დარჩენილი დრო ისე გაილია, რომ ლივერპულელებს ბურთის კონტროლის საშუალებანი ვერ შეუზღუდა. სულ ბოლო წუთს კი ტიტი კამარას ნაცვლად შესულმა დენი მერფიმ საჯარიმოს გარედან დალანდა მოწინაალმდეგის კარის მარცხენა ცხრიანი და წარმოუდგენელი სიზუსტით ჩააჭედა ბურთი ამ წერტილში. „ლივერპულმა“ სამივე გოლი საჯარიმოს გარედან გაიტანა.

ამასობაში, ბრედფორდში წააგო „არსენალმა“ და მესამე ადგილი ბურთების უკეთესი სხვაობითღა შეინარჩუნა. „ჩელსიმ“ სტუმრად, ფრანგ ბერნარ ლამბურის მახვილგონიერი გოლით სძლია „ტოტენჰემს“ და მეხუთე ადგილზე ამოძვრა. რა უნდა ითქვას? ბოლო ოცდაორ შეხვედრაში „ტოტენჰემს“ „ჩელსისთვის“ ვერ მოუგია.



სანდერლენდი — ნიუკასლი 2:2. სანდერლენდელი კევინ კილბეინი ნიუკასლელ უორენ ბარტონს ბურთს ართმევს

REUTERS სანდერლენდიდან

ლიდსელთა მარცხმა წინ გასჭრა „მანჩესტერი“, რომელმაც ორი გოლი გაუშვა ქოვენთრელ სედრიკ რუსელისაგან და მენეჯერი ალექს ფერგიუსონი აწუწუნა, მომენტებში მეტად დუნედ ვირჯებოდით და ასე სიარული არ გამოგვადგებაო. მწვრთნელს აღარ უთქვამს, რომ ენდი კოულმა მოხდენილი დუბლი შეასრულა, ძირითადში დაბრუნებულმა სქოულზმა კი მნიშვნელოვანი გოლი გაიტანა. აბა, დავთვალოთ, ამ მატჩამდე, ცხრიდან რვა ბურთი, „მანჩესტერს“ შეხვედრის ბოლო ცამეტ წუთში შეეგდო, ახლა კი გოლის პრობლემა მოეხსნა. თანაც, ფერგიმ არ გამოიყვანა გიგზი და დუაიტ იორკი, ბექემმა კი ბრწყინვალედ ითამაშა.

„მაინც არ ვკარგავთ ტიტულისათვის ბრძოლის იმედს. პრემიერლიგის ბოლომდე თხუთმეტი ტური დარჩა“, — თქვა შაბათ საღამოს „ლიდსელთა“ მწვრთნელმა დევიდ ოლირიმ.

წარმატებული გამოდგა გლენ ჰოდლის მენეჯერის პირველი შაბათი საუთჰემპტონში. „ვესტ ჰემის“ მცველ გერი ჩარლზის ავტოგოლმა „საუთჰემპტონს“ სამი ქულა მოუტანა.

„თამაში მოგებულია“, თქვა ჰოდლმა, „ტრიბუნების ხმაური ძალიან მსიამოვნებს“.

„ასტონ ვილამ“ უპრობლემოდ დაანგრია „უოტფორდი“, პოლ მერსონმა კი დუბლი ჩაიწერა. ასევე იმარჯვა „ევერტონმა“ „სელჰერსტ პარკზე“. და კვლავ დუბლი — კევინ კემპბელმა ორჯერ თავურით ჩასვა ბურთი „უიმბლდონის“ კარში და მერე ჯო მაქს მურსაც გაატანინა. საუცხოოდ ითამაშა „ევერტონის“ მარჯვენა ფრთაზე დამკვიდრებულმა დენი კადამარტერიმ, რომლის ჩაკიდებებმაც გააჩალიჩა კემპბელის გოლები. ტინსაიდში კი დერბი იყო — მუშურ-გლეხური, ჯიგრიანი ჩრდილო-აღმოსავლური დერბი „სანდერლენდსა“ და „ნიუკასლს“ შორის. ოცდამეერთე წუთზე „ნიუკასლი“ უკვე ორი ბურთით უგებდა მასპინძლებს ამ ლაღ და ტემპიან თამაშში და დანკან ფერგიუსონს კიდევ ორიც უნდა გაეტანა, მაგრამ დიდიე დომისა და გლენ ჰელდერის ბურთები სავსებით საკმარისი ჩანდა შეხვედრის „ნიუკასლისთვის“ კომფორტულად გასაგრძელებლად. მაგრამ კომფორტი ცოტახანს გაგრძელდა. ნილ ქუინმა უკვე მერამდენედ მოიგო ბურთი ჰაერში და კევინ ფილიპსი მეკარესთან პირისპირ გაიყვანა. ვინაც უკვე ოცდამეორე წუთზე გაიტანა თავისი მეოცე სალიგო გოლი. „სანდერლენდის“ მეორე საპასუხოს თითქმის ერთი საათი დასჭირდა. ამ ერთ საათში კი იყო ყველაფერი, რაც თვალს გაახარებდა, ძელი, ძიძგილაობა, სინანული, ბოლოს კი ფილიპსის კიდევ ერთი გოლი და ფანობის შევარდნა მოედანზე... 2:2.

მივადექით დერბის მინდორსაც, სადაც გამოღვიძებული „შეფილდ უენსდი“ მთელ თამაშს უგებდა მასპინძლებს, ოთხმოცდამეცხრე წუთზე კი თითქოს კიდევ უფრო გაამყარა ეს გამარჯვება და 3:1-ზე დაწინაურდა. მესამოცე წუთიდან მოედანზე იყო გიორგი ქინქლაძე. ამ წუთიდან თუკი რამ ხდებოდა შეფილდელთა კარის სიახლოვეს, მისი მოგონილი და განხორციელებული იყო. და მორიგმა ინგლისელთათვის ჩვეულმა საოცრებამაც არ დააყოვნა — კრეიგ ბარლიმ იმავ 89-ე წუთზე გაიტანა ერთი საპასუხო, სულ ბოლოს კი მალკოლმ კრისტიმ, გუშინდელმა მოყვარულმა და უკვე „დერბის“ გმირად ქცეულმა ბიჭმა, ანგარიში გაათანაბრა...

ირაკლი გამყრელიძე

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | მანჩესტერი | 23 | 16 | 5 | 2 | 56:28 | 28 | 53 | 13 | 10 | 3 | 0 | 38:10 | 28 | 33 | 10 | 6 | 2 | 2 | 18:18 | 0 | 20 |
| 2 | ლიდსი | 23 | 15 | 2 | 6 | 38:28 | 10 | 47 | 11 | 8 | 1 | 2 | 17:9 | 8 | 25 | 12 | 7 | 1 | 4 | 21:19 | 2 | 22 |
| 3 | არსენალი | 24 | 13 | 5 | 6 | 43:25 | 18 | 44 | 12 | 9 | 2 | 1 | 27:9 | 18 | 29 | 12 | 4 | 3 | 5 | 16:16 | 0 | 15 |
| 4 | ლივერპული | 24 | 13 | 5 | 6 | 37:21 | 16 | 44 | 13 | 9 | 1 | 3 | 23:9 | 14 | 28 | 11 | 4 | 4 | 3 | 14:12 | 2 | 16 |
| 5 | ჩელსი | 24 | 11 | 7 | 6 | 32:22 | 10 | 40 | 11 | 7 | 2 | 2 | 19:6 | 13 | 23 | 13 | 4 | 5 | 4 | 13:16 | -3 | 17 |
| 6 | სანდერლენდი | 24 | 11 | 6 | 7 | 39:33 | 6 | 39 | 13 | 7 | 4 | 2 | 21:12 | 9 | 25 | 11 | 4 | 2 | 5 | 18:21 | -3 | 14 |
| 7 | ტოტენჰემი | 24 | 10 | 5 | 9 | 34:28 | 6 | 35 | 12 | 7 | 1 | 4 | 22:14 | 8 | 22 | 12 | 3 | 4 | 5 | 12:14 | -2 | 13 |
| 8 | ასტონ ვილა | 24 | 9 | 7 | 8 | 26:23 | 3 | 34 | 12 | 5 | 5 | 2 | 15:7 | 8 | 20 | 12 | 4 | 2 | 6 | 11:16 | -5 | 14 |
| 9 | ლესტერი | 24 | 10 | 4 | 10 | 34:35 | -1 | 34 | 13 | 7 | 2 | 4 | 20:17 | 3 | 23 | 11 | 3 | 2 | 6 | 14:18 | -4 | 11 |
| 10 | ევერტონი | 24 | 8 | 9 | 7 | 40:34 | 6 | 33 | 11 | 4 | 7 | 0 | 25:12 | 13 | 19 | 13 | 4 | 2 | 7 | 15:22 | -7 | 14 |
| 11 | ვესტ ჰემი | 23 | 8 | 8 | 7 | 29:27 | 2 | 32 | 10 | 6 | 3 | 1 | 16:12 | 4 | 21 | 13 | 2 | 5 | 6 | 13:15 | -2 | 11 |
| 12 | ქოვენთრი | 23 | 7 | 8 | 8 | 32:27 | 5 | 29 | 12 | 7 | 1 | 4 | 24:14 | 10 | 22 | 11 | 0 | 7 | 4 | 8:13 | -5 | 7 |
| 13 | ნიუკასლი | 24 | 7 | 7 | 10 | 41:41 | 0 | 28 | 11 | 5 | 4 | 2 | 28:13 | 15 | 19 | 13 | 2 | 3 | 8 | 13:28 | -15 | 9 |
| 14 | უიმბლდონი | 24 | 6 | 10 | 8 | 34:40 | -6 | 28 | 13 | 5 | 5 | 3 | 22:16 | 6 | 20 | 11 | 1 | 5 | 5 | 12:24 | -12 | 8 |
| 15 | მიდლსბრო | 23 | 8 | 4 | 11 | 25:33 | -8 | 28 | 11 | 5 | 2 | 4 | 12:14 | -2 | 17 | 12 | 3 | 2 | 7 | 13:19 | -6 | 11 |
| 16 | საუთჰემპტონი | 23 | 7 | 5 | 11 | 28:38 | -10 | 26 | 12 | 5 | 3 | 4 | 16:14 | 2 | 18 | 11 | 2 | 2 | 7 | 12:24 | -12 | 8 |
| 17 | დერბი ქაუნთი | 24 | 6 | 6 | 12 | 26:36 | -10 | 24 | 13 | 3 | 2 | 8 | 12:21 | -9 | 11 | 11 | 3 | 4 | 4 | 14:15 | -1 | 13 |
| 18 | ბრედფორდი | 24 | 6 | 6 | 12 | 21:36 | -15 | 24 | 12 | 4 | 6 | 2 | 15:16 | -1 | 18 | 12 | 2 | 0 | 10 | 6:20 | -14 | 6 |
| 19 | შეფილდ უენსდი | 24 | 4 | 5 | 15 | 23:50 | -27 | 17 | 11 | 3 | 3 | 5 | 13:13 | 0 | 12 | 13 | 1 | 2 | 10 | 10:37 | -27 | 5 |
| 20 | უოტფორდი | 24 | 4 | 2 | 18 | 21:54 | -33 | 14 | 11 | 3 | 1 | 7 | 15:21 | -6 | 10 | 13 | 1 | 1 | 11 | 6:33 | -27 | 4 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ფილიპსი (სანდერლენდი) | 21 |
| კოული (მანჩესტერი) | 15 |
| შირერი (ნიუკასლი) | 14 |
| ბრიჯისი (ლიდსი) | 12 |
| კ. კემპბელი (ევერტონი) | 12 |

### XXV ტური

12 თებერვალი
ჩელსი — უიმბლდონი
ქ[illegible]თრი — სანდერლენდი
ევერტონი — დერბი
ლიდსი — ტოტენჰემი
ნიუკასლი — მანჩესტერი
შეფილდი — საუთჰემპტონი
უოტფორდი — ლესტერი
ვესტ ჰემი — ბრედფორდი
13 თებერვალი
არსენალი — ლივერპული
14 თებერვალი
მიდლსბრო — ასტონ ვილა

## პირველი დივიზიონი

XXX ტური

### ბარნსლი 0:2 იფსვიჩი

0:1 შოუკროფტი (60), 0:2 სტიუარტი (61)

### ბოლტონი 3:1 ბლექბერნი

0:1 ბლეიქი (15), 1:1 ბერგსონი (18), 2:1 იოჰანსენი (39), 3:1 გუდიონსენი (69)

### ქრიუ 2:3 ბირმინგემი

1:0 მაკოლეი (20, 1:1 ოკონორი (45პ), 1:2 ჰიუზი (54), 1:3 ადებოლა (71), 2:3 მაკოლეი (90)

### ფულემი 1:0 ვესტ ბრომვიჩი

1:0 რიდლი (48პ)

### ჰადერსფილდი 0:1 პორტსმუთი

0:1 კლარიჯი (74)

### ნორვიჩი 1:1 უოლსოლი

1:0 ლევლინი (11), 1:1 რიკეტსი (36)

### ნოტინგემი 1:3 სიტი

1:0 ბარტ-ვილიამსი (8), 1:1 ტეილორი (31ს.კ.), 1:2, 1:3 გოტერი (35, 83)

### პორტვეილი 1:1 ქუინზ პარკი

1:0 ბალოკი (28), 1:1 უორდლი (37)

### შეფილდ იუნ. 3:1 ტრანმერი

1:0 დევლინი (48), 1:1 ტეილორი (58), 2:1 ბენტი (62), 3:1 ფორდი (86)

### სტოკპორტი 1:3 ჩარლტონი

1:0 ფრადინი (25), 1:1, 1:2, 1:3 ჰანტი (41, 45, 88)

### სუინდონი 0:1 გრიმსბი

0:1 აშკროფტი (80)

### ვულვერჰემპტონი 2:1 კრ. პალასი

1:0 სეჯლი (15), 2:0 პოლეტი (47), 2:1 მარტინი (64)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩარლტონი | 29 | 19 | 5 | 5 | 55:29 | 62 |
| სიტი | 29 | 18 | 4 | 7 | 47:23 | 58 |
| იფსვიჩი | 30 | 16 | 9 | 5 | 50:29 | 57 |
| ბარნსლი | 30 | 17 | 4 | 9 | 59:44 | 55 |
| ჰადერსფილდი | 30 | 15 | 6 | 9 | 47:32 | 51 |
| ვულვზი | 30 | 12 | 10 | 8 | 40:34 | 46 |
| ბირმინგემი | 29 | 12 | 8 | 9 | 42:34 | 44 |
| ფულემი | 29 | 10 | 12 | 7 | 26:25 | 42 |
| სტოკპორტი | 30 | 11 | 9 | 10 | 35:41 | 42 |
| ქუინზ პარკი | 30 | 10 | 11 | 9 | 39:36 | 41 |
| ბლექბერნი | 28 | 10 | 10 | 8 | 36:33 | 40 |
| ბოლტონი | 28 | 10 | 9 | 9 | 38:32 | 39 |
| ნორვიჩი | 29 | 10 | 9 | 10 | 28:31 | 39 |
| შეფილდ იუნ. | 30 | 10 | 8 | 12 | 39:45 | 38 |
| გრიმსბი | 30 | 10 | 7 | 13 | 34:49 | 37 |
| ტრანმერი | 29 | 10 | 6 | 13 | 38:41 | 36 |
| კრ. პალასი | 30 | 9 | 9 | 12 | 43:49 | 36 |
| ნოტინგემი | 30 | 7 | 9 | 14 | 31:40 | 30 |
| ვესტ ბრომვიჩი | 30 | 5 | 15 | 10 | 25:34 | 30 |
| პორტსმუთი | 30 | 7 | 9 | 14 | 35:45 | 30 |
| უოლსოლი | 30 | 7 | 9 | 14 | 33:47 | 30 |
| ქრიუ | 30 | 7 | 8 | 15 | 33:42 | 29 |
| პორტვეილი | 28 | 6 | 10 | 12 | 32:38 | 28 |
| სუინდონი | 30 | 3 | 10 | 17 | 21:51 | 19 |

## მეორე დივიზიონი

30-ე ტური. ბრენტფორდი — ნოტსი 0:2; ბრისტოლი — ჩესტერფილდი 3:0; ბარნლი — როვერსი 1:0; კემბრიჯი — უიგანი 1:1; კოლჩესტერი — ბერი 1:3; ჯილინგემი — სტოკი 3:0; ლუთონი — ბორნმუთი 1:2; მილუოლი — ოლდემი 1:0; ოქსფორდი — ბლექპული 0:1; პრესტონი — რედინგი 2:2; სკანთორპი — კარდიფი 0:0; რექსჰემი — უიკომბი 1:3

## მესამე დივიზიონი

30-ე ტური. ბარნეტი — ჩელტენემი 3:2; ჰარტლპული — შრიუსბერი 1:0; ჰალი — ბრაიტონი 2:0; ლეიტონი — საუთენდი 2:1; ნორთჰემპტონი — იორკი 3:0; პლიმუთი — კარლაილი 2:0; როჩდეილი — ჩესტერი 2:1; როტერჰემი — მაკლსფილდი 2:1; ტორკი — ჰალიფაქსი 4:0; მენსფილდი — ექსეტერი 1:1; სუონსი — ლინკოლნი 2:1; დარლინგტონი — პიტერბრო 2:0

## იტალია

XX ტური

### პარმა 1:1 ინტერი

0:1 ვიერი (62), 1:1 კრესპო (94პ)
პარმა: ბუფონი, სარტორი, ტურამი, ლასისი, ფუზერი, დაბო, პაულო სოუზა (ლონგო 73), დ. ბაჯო (დი ვაიო 81), ბენარივო (ვალემი 70), კრესპო, სტანიჩი
ინტერი: პერუცი, პანუჩი, სიმიჩი, ბლანი, კორდობა, კოე, ზეედორფი (გეორგატოსი 85), ხ. ძანეტი, მორიერო (დი ბიაჯო 46), ვიერი, რეკობა (რ. ბაჯო 62)
გაფრთხილება: კორდობა, სარტორი, ბენარივო, კოე, ვიერი
მსაჯი: კოლინა

### უდინეზე 1:1 იუვენტუსი

1:0 იორგენსენი (37), 1:1 ფერარა (76)
უდინეზე: ტურჩი, ძანკი, სოტილი, ბერტოტო, ჟენო, ჯანიკედა, ფიორე, იორგენსენი, მანფრედინი (ლოკატელი 80), სოსა, მუცი
იუვენტუსი: ვან დერ სარი, ფერარა, ტუდორი, იულიანო, კონტე, ტაკინარდი (კოვაჩევიჩი 57), დავიდსი, ძამბროტა, ზიდანი (პესოტო 81), ფ. ინძაგი (ბირინდელი 71), დელ პიერო
გაფრთხილება: ძანკი, ბერტოტო, ჯანიკედა, ტუდორი, დავიდსი, კონტე, ძამბროტა
გაძევება: ტუდორი (68)
მსაჯი: მესინა

### მილანი 4:1 ბარი

1:0 ბობანი (15), 2:0 სერჟინიო (53), 2:1 სპინეზი (67), 3:1 ბირჰოფი (84), 4:1 შევჩენკო (89)
მილანი: აბიატი, სალა, შამოტი (აიალა 63), მალდინი, ჰელვეგი, ამბროზინი, დე აშენტისი, სერჟინიო, ბობანი (ჯუნტი 77), ბირჰოფი (ხოსე მარი 87), შევჩენკო
ბარი: ფ. მანჩინი, დე როსა (მ. მარკოლინი 56), გარსია, ინოჩენტი, ფერარი (დელ გროსო 32), კოლაუტო, დ. ანდერსონი, პეროტა, ოსმანოვსკი, სპინეზი, კასანო (ენინაია 46)
გაფრთხილება: დე როსა, სალა, კოლაუტო, პეროტა
მსაჯი: ბორიელო

### რომა 5:0 ვენეცია

1:0 კანდელა (9), 2:0 დელვეკიო (12), 3:0 მონტელა (41), 4:0 დელვეკიო (61), 5:0 ნგოტი (79ს.კ.)
რომა: ანტონიოლი, ძაგო, ალდაირი, მანგონე, კაფუ, ნაკატა, დი ფრანჩესკო, კანდელა, ტოტი (ტომიჩი 76), მონტელა (პოჯი 60), დელვეკიო
ვენეცია: კონსელი (კასაცა 46), ბრიოსკი, ნგოტი, კარდონე, ორლანდინი, პედონე, ვოლპი, ბეტარინი (კარნაშალი 82), ბერგი, მანიერო (ვალტოლინა 53), განცი
გაფრთხილება: კანდელა
მსაჯი: ნუჩინი

### ტორინო 2:4 ლაციო

0:1 სენსინი (9), 0:2 მიხაილოვიჩი (55პ), 0:3 რავანელი (66), 1:3 ფერანტე (83პ), 2:3 გალანტე (89), 2:4 სალასი (91)
ტორინო: პასტინე, ბონომი, გრანდონი, გალანტე, იურჩიჩი, პეკია (მალტალიატი 72), ბრამბილა, ლენტინი, სომეზე, ფერანტე, სკარლატო (ივიჩი 46)
ლაციო: მარკეჯანი, ნეგრო, ნესტა, მიხაილოვიჩი, პანკარო, დ. სტანკოვიჩი, სენსინი (ალმეიდა 77), სიმეონე, ნედვედი (რ. მანჩინი 73), ს. ინძაგი (რავანელი 58), სალასი
გაფრთხილება: ბონომი, ფერანტე, ნედვედი, მარკეჯანი
გაძევება: მიხაილოვიჩი (80)
მსაჯი: პელეგრინო

### ვერონა 2:2 ფიორენტინა

0:1 ბატისტუტა (24), 1:1, 2:1 მორფეო (45, 53), 2:2 რუი კოშტა (70)
ვერონა: ფრეი, ლაურსენი, აპოლონი, ფილიპინი (ფრანჩესკეტი 71), დიანა, მარასკო, კოლუჩი, ფალსინი, სალვეტი (კოსატო 29), მორფეო, კამარატა (მელისი 46)
ფიორენტინა: ტოლდო, ადანი, ფირიკანო (პიერინი 46), რეპკა, ტორიჩელი (ბრესანი 46), კოისი (როსიტო 59), დი ლივიო, ჰაინრიხი, რუი კოშტა, ბალბო, ბატისტუტა
გაფრთხილება: დი ლივიო
მსაჯი: პაპარესტა

### ლეჩე 0:1 პიაჩენცა

0:1 რასტელი (50)
ლეჩე: კიმენტი, ხუარესი, ვიალი, სავინო (სესა 52), ბალერი, კონტიკიო, ლიმა (ბონომი 26), პიანჯერელი, ტრავერსა, სიპრიენი (მარინო 72), კ. ლუკარელი
პიაჩენცა: რომა, პოლონია, ა. ლუკარელი, საკეტი, ბუზო (კაინი 63), ტალიაფერი, კრისტალინი, მორონე, ლამაკი, ჯილარდინო (გაუტიერი 65), რასტელი
გაფრთხილება: სიპრიენი, ტალიაფერი, მორონე, საკეტი
მსაჯი: ჩეზარი

### კალიარი 2:1 პერუჯა

0:1 ამორუზო (32პ), 1:1, 2:1 ბერეტა (36, 44)
კალიარი: სკარპი, ლოპესი, ვილა, ძებინა, სულჩისი (მოდესტო 83), ბერეტა, ონილი, დე პატრე, მაჩელარი, მაიელე (სუაზო 65, ბიანკონი 92), ოლივეირა
პერუჯა: მაცანტინი, სოლიანო, კალორი, მატერაცი, ილარიო, ოლივე, ბიზოლი, მილანეზე, ალენიჩევი, მელი (მონაკო 36, ბა 71), ნ. ამორუზო (რაპაიჩი 46)
გაფრთხილება: კალორი, სულჩისი, ბერეტა
გაძევება: სოლიანო (28), ონილი (89)
მსაჯი: როსეტი

### რეჯინა 1:0 ბოლონია

1:0 პირლო (15)
რეჯინა: ტაიბი, ჯიაკეტა, ვარგასი, სტოვინი, ფოლიო, ბრევი, ბარონიო, პირლო (ოშადოგანი 93), მორაბიტო, რეგი (ბოგდანი 55), პოსანცინი (ბერნინი 89)
ბოლონია: პალიუკა, ფალკონე, ბია (კოლივანოვი 81), დალ კანტო, პარამატი, პიაჩენტინი, მაროკი (ინგესონი 58), ტონეტო, ნერვო (ფონტოლანი 25), კ. ანდერსონი, სინიორი
გაფრთხილება: პოსანცინი, პიაჩენტინი, ფონტოლანი, მორაბიტო, ფალკონე
მსაჯი: საკანი

# დიდი კლუბსა პატარა კლუბთან...

„ინტერს“ პარმაში, „ტარდინიზე“ არასდროს მოუგია. კვირას დიდი შანსი ჰქონდა, მაგრამ... ვერ მოიგოო ვერ ვიტყვით, არ მოაგებინეს — დამატებული დროის მეოთხე წუთზე „პარმას“ ხორვატი ნახევარმცველი მარიო სტანიჩი სტუმართა საჯარიმოში შეიჭრა და წაიქცა. ყველაზე ცნობილმა იტალიელმა მსაჯმა, პიერლუიჯი კოლინამ ჩათვალა, რომ „ინტერის“ კოლუმბიელმა მოთამაშემ ივან კორდობამ იგი წააქცია და პენალტი დანიშნა. ერნან კრესპომ ანგარიში გაათანაბრა.

„ყელში ამომივიდა. თუ სიმართლე გინდათ — აღშფოთებას ვერ მალავდა მილანელთა მწვრთნელი მარჩელო ლიპი — ორი უმნიშვნელოვანესი ქულა დაგვაკარგინეს. მოიგონეს ის, რაც არ მომხდარა. ნახეთ კოლინამ რა ქნა? ამის მერე კიდევ გამოჩნდება ხალხი, რომელიც იტყვის, რომ მე კოლინას მეგობარი ვარ. „პარმა“ ქულას იქნებ იმსახურებდა კიდეც, მაგრამ საქმე ეს არ გახლავთ. საქმე ის არის, რომ მისი ფეხბურთელები ბოლო ხუთი ექვსი წუთის განმავლობაში გაწოლისა და ჯარიმის სიმულაციის მეტს არაფერს აკეთებდნენ“.

პარმელების თავკაცმა ალბერტო მალესანიმ ემოციას ემოცია დაუპირისპირა.

„აღარ შემიძლია, ცუდად ვარ ამდენი წუწუნის მოსმენისგან“ — თქვა მან — „ლაციო“ ჩივის, „იუვენტუსი“ ჩივის, „ინტერი“ და „მილანი“ ჩივიან. მაშ მცირე კლუბებმა რაღა უნდა ვქნათ? თუ სიმართლე გინდათ, „ინტერი“ დამარცხებას იმსახურებდა, მაგრამ არ წააგო და იცით რატომ? იმიტომ, რომ იღბალი მის მხარეს იყო, ჩვენ კი ზურგი გვაქცია. ლიპი ის კაცია, რომელსაც ვეთაყვანები. იქნებ მართალიცაა, რომ ჩივის, რადგან სხვები ჩივიან და მისგან გაჩუმება უგუნურობა იქნებოდა, მაგრამ „პარმას“ სტილი საქმის ჩუმად კეთება გახლავთ. ჩვენ მსაჯებზე არასდროს ვლაპარაკობთ“.

მაშ ასე, ათჯერ ჩავიდა „ინტერი“ პარმაში და ერთხელაც ვერ მოიგო. კვირას, მეათე ცდისას მილანელები დაწინაურდნენ, 62-ე წუთზე ანგარიში კრისტიან ვიერიმ გახსნა, მაგრამ შემდეგ მოხდა ის, რაც ზევით მოგახსენეთ. დღეს, 20 ტურის შემდეგ „ინტერი“ მეხუთე ადგილზეა და 8 ქულით ჩამორჩება „ლაციოს“, რომელმაც ტურინში, „ტორინოსთან“ 4:2 მოიგო.

ანგარიში მე-9 წუთზე სტუმართა არგენტინელმა ფეხბურთელმა ნესტორ სენსინიმ გახსნა, მეორე ტაიმის დასაწყისში კი იუგოსლაველმა სინიშა მიხაილოვიჩმა და სამშობლოში ფრანგული „მარსელიდან“ დაბრუნებულმა ფაბრიციო რავანელიმ ზედაც ორი გოლი დაამატეს და კითხვაზე, ვინ მოიგებდა ამ შეხვედრაში, პასუხი იმთავითვე გასცეს.

მაგრამ მოხდა ასეთი რამ, მე-80 წუთზე, მიხაილოვიჩი, რომელიც მეორე გოლის ავტორად ვახსენეთ, მოედნიდან გააგდეს და თან პენალტითაც დასაჯეს — მან საკუთარ საჯარიმოში მარკო ფერანტეს მუჯლუგუნი ჰკრა. თერთმეტმეტრიანი საკუთრივ ფერანტემ დაარტყა, სხვაობა შეამცირა, რასაც მისმა თანაგუნდელმა ფაბიო გალანტემ აუბა მხარი. მატჩის ბოლოსწინა წუთზე ანგარიში 2:3 გახდა. მასპინძლები იშტაზე მოვიდნენ, მაგრამ ცოტა ხანში ბურთი თავიანთ კარში აღმოაჩინეს — რავანელის წამოწყებული კონტრშეტევა ჩილელი მარსელო სალასის გოლით დასრულდა.

ეს კვირას მოხდა, შაბათს კი ტურინის მეორე და მთავარმა გუნდმა, „ლაციოს“ კონკურენტმა, სკუდეტოს მაძიებელმა „იუვენტუსმა“ უდინეში 1:1 ითამაშა. ახლა „იუვენტუსი“ რომაელებს ერთი ქულით ჩამორჩება, მიმომხილველთა აზრით კი თანდათან სწორედ ამ ორი გუნდის დოლი მიიპყრობს მთავარ ყურადღებას. მარტო ის ფაქტი რად ღირს, რომ ბოლო შვიდ ტურში „ლაციომ“ და „იუვენტუსმა“ ოთხჯერ გადაასწრეს ერთმანეთს ცხრილის სათავეში მოსაქცევად.

თუმცა „ლაციოს“ მწვრთნელი, შვედი სვენ გორან ერიკსონი სხვა აზრისაა:

„სკუდეტოსთვის მხოლოდ „იუვენტუსი“ და „ლაციო“ როდი იბრძვიან. სხვა კონკურენტებიც გვყავს და საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ წლევანდელი ჩემპიონატი დიდ შეჯიბრებად იქცევა. ჩვენ მხოლოდ და მხოლოდ დღეს ვლიდერობთ“.

მესამე ადგილზე მყოფმა „რომამ“ „ვენეციას“ 5:0 მოუგო. ამ მატჩში ფრანგებმა გამოიჩინეს თავი. განსაკუთრებით რომაელი ვინსენ კანდელაა აღსანიშნავი, მას მართლაც ჩინებული, შთაგონებული დღე ჰქონდა, მისმა თანამემამულე ბრუნო ნგოტიმ კი ანტიგმირობა იტვირთა და შეხვედრის მეხუთე გოლი ვენეციელთა ანუ საკუთარ კარში გაიტანა.

ნგოტის ყოფილმა თანაგუნდელებმა, რომელთა ერთობლიობას „მილანი“ ეწოდება, „ბარი“ დაჯაბნეს — 4:1. მილანელთაგან ჯერ ხორვატმა ზვონიმირ ბობანმა გაიტანა, მერე ბრაზილიელმა სერჟინიომ, ამას გერმანელმა ოლივერ ბირჰოფმა აუბა მხარი, ბოლოს კი უკრაინელმა ანდრეი შევჩენკომ თქვა თავისი სიტყვა.

შევჩენკოს გოლი ჩინებული გახლდათ. მან ბურთი შუა მოედანზე იხელთა, დანიელ ანდერსონი და ლუიჯი გარსია ჩამოიტოვა და დაბალი, დიაგონალური, ცაცია დარტყმით იგი ფრანჩესკო მანჩინის კარში შეაგდო.

**პაპუნა ძიდია**

REUTERS მილანიდან



მილანი — ბარი 4:1. მილანელი ანდრეი შევჩენკო სტუმარ გარსიას (№2) მარჯვედ გაექცა

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | ლაციო | 20 | 12 | 6 | 2 | 40:19 | 21 | 42 | 10 | 8 | 2 | 0 | 27:9 | 18 | 26 | 10 | 4 | 4 | 2 | 13:10 | 3 | 16 |
| 2 | იუვენტუსი | 20 | 11 | 8 | 1 | 26:10 | 16 | 41 | 10 | 8 | 2 | 0 | 18:4 | 14 | 26 | 10 | 3 | 6 | 1 | 8:6 | 2 | 15 |
| 3 | რომა | 20 | 11 | 5 | 4 | 42:21 | 21 | 38 | 10 | 7 | 2 | 1 | 25:10 | 15 | 23 | 10 | 4 | 3 | 3 | 17:11 | 6 | 15 |
| 4 | მილანი | 20 | 10 | 8 | 2 | 43:25 | 18 | 38 | 10 | 6 | 4 | 0 | 26:11 | 15 | 22 | 10 | 4 | 4 | 2 | 17:14 | 3 | 16 |
| 5 | ინტერი | 20 | 11 | 3 | 6 | 37:18 | 19 | 36 | 10 | 8 | 1 | 1 | 30:7 | 23 | 25 | 10 | 3 | 2 | 5 | 7:11 | -4 | 11 |
| 6 | პარმა | 20 | 9 | 6 | 5 | 31:22 | 9 | 33 | 10 | 5 | 3 | 2 | 19:10 | 9 | 18 | 10 | 4 | 3 | 3 | 12:12 | 0 | 15 |
| 7 | უდინეზე | 20 | 8 | 5 | 7 | 32:28 | 4 | 29 | 11 | 4 | 3 | 4 | 19:18 | 1 | 15 | 9 | 4 | 2 | 3 | 13:10 | 3 | 14 |
| 8 | ლეჩე | 20 | 7 | 6 | 7 | 21:28 | -7 | 27 | 11 | 6 | 3 | 2 | 12:7 | 5 | 21 | 9 | 1 | 3 | 5 | 9:21 | -12 | 6 |
| 9 | ფიორენტინა | 20 | 6 | 8 | 6 | 21:23 | -2 | 26 | 10 | 6 | 2 | 2 | 14:10 | 4 | 20 | 10 | 0 | 6 | 4 | 7:13 | -6 | 6 |
| 10 | ბოლონია | 20 | 7 | 5 | 8 | 16:19 | -3 | 26 | 10 | 6 | 3 | 1 | 9:1 | 8 | 21 | 10 | 1 | 2 | 7 | 7:18 | -11 | 5 |
| 11 | ბარი | 20 | 7 | 5 | 8 | 24:28 | -4 | 26 | 9 | 4 | 5 | 0 | 13:7 | 6 | 17 | 11 | 3 | 0 | 8 | 11:21 | -10 | 9 |
| 12 | პერუჯა | 20 | 7 | 2 | 11 | 19:37 | -18 | 23 | 9 | 4 | 1 | 4 | 12:17 | -5 | 13 | 11 | 3 | 1 | 7 | 7:20 | -13 | 10 |
| 13 | ტორინო | 20 | 5 | 6 | 9 | 20:28 | -8 | 21 | 10 | 3 | 2 | 5 | 11:13 | -2 | 11 | 10 | 2 | 4 | 4 | 9:15 | -6 | 10 |
| 14 | რეჯინა | 20 | 4 | 8 | 8 | 19:28 | -9 | 20 | 10 | 3 | 4 | 3 | 9:13 | -4 | 13 | 10 | 1 | 4 | 5 | 10:15 | -5 | 7 |
| 15 | ვერონა | 20 | 4 | 5 | 11 | 17:31 | -14 | 17 | 10 | 4 | 3 | 3 | 11:7 | 4 | 15 | 10 | 0 | 2 | 8 | 6:24 | -18 | 2 |
| 16 | ვენეცია | 20 | 4 | 4 | 12 | 17:35 | -18 | 16 | 10 | 4 | 3 | 3 | 11:10 | 1 | 15 | 10 | 0 | 1 | 9 | 6:25 | -19 | 1 |
| 17 | კალიარი | 20 | 2 | 9 | 9 | 19:30 | -11 | 15 | 10 | 2 | 5 | 3 | 10:11 | -1 | 11 | 10 | 0 | 4 | 6 | 9:19 | -10 | 4 |
| 18 | პიაჩენცა | 20 | 3 | 5 | 12 | 11:25 | -14 | 14 | 10 | 2 | 4 | 4 | 6:8 | -2 | 10 | 10 | 1 | 1 | 8 | 5:17 | -12 | 4 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| შევჩენკო (მილანი) | 15 |
| კრესპო (პარმა) | 13 |
| ქ. ლუკარელი (ლეჩე) | 11 |
| ბატისტუტა (ფიორენტინა) | 11 |
| მონტელა (რომა) | 11 |

### XXI ტური

12 თებერვალი
ბოლონია — მილანი
13 თებერვალი
ბარი — ვერონა
ვენეცია — კალიარი
იუვენტუსი — ლეჩე
ლაციო — პარმა
პიაჩენცა — რეჯინა
პერუჯა — რომა
ინტერი — ტორინო
ფიორენტინა — უდინეზე

### სერია C1/A

22-ე ტური. ალბინოლეფე — კარარეზე 1:1; ბრეშელო — მოდენა 1:1; კრემონეზე — ვარეზე 0:0; ლეკო — ლუმეცანე 1:1; ლუკეზე — ჩიტადელა 1:0; პიზა — მონტევარკი 1:1; სანდონა — კომო 0:0; სიენა — ლივორნო 0:0; სპალ — რეჯანა 0:1

### სერია C1/B

22-ე ტური. არეცო — აველინო 0:0; ატლეტიკო — ლოდიჯანი 2:1; დი სანგრო — სტაბია 0:0; ფ. ანდრია — ანკონა 0:1; გუალდო — პალერმო 0:0; მარსალა — კროტონე 0:1; ნოჩერინა — კატანია 0:0; ვიტერბეზე — ჯულიანოვა 2:1; ბენევენტო — ასკოლი წუხელ გვიან გაიმართა

# გერმანია

XVIII ტური

### ფრაიბურგი 2:0 ულმი

1:0, 2:0 ბენ სლიმანი (23, 80)
ვაისჰაუპტმა ვერ გაიტანა პენალტი (51, მეკარე)
ფრაიბურგი: გოლცი, კონდე, დიარა, ჰერმელი, ცაიერი, ვილი (კოლი 83), ვაისჰაუპტი, კობიაშვილი, რამდანე (მიულერი 68), იაშვილი (ფ. ბრუნსი 75), ბენ სლიმანი
ულმი: ლაუქსი, ბოდოგი, მარკესი, შტადლერი, რადოკი, ოტო, მაიერი (ზდრილიჩი 77), უნსოლდი (შარინგერი 55), გორა, ლეანდრო, ვან დერ ჰაარი (როსლერი 55)
გაფრთხილება: ვაისჰაუპტი, ბოდოგი, გორა, უნსოლდი
გაძევება: შტადლერი (51)
მსაჯი: მერკი

### ჰამბურგი 0:0 ბაიერნი

ეფენბერგმა ვერ გაიტანა პენალტი (68, მეკარე)
ჰამბურგი: ჰ. ბუტი, ჰოოგმა, პანადიჩი, ჰერჩი, ფიშერი, გრავესენი, ნ. კოვაჩი, კარდოზო, მაჰდავიკია, იებოა, პრეგერი
ბაიერნი: კანი, ბაბელი, ლინკე, ტარნატი, მათეუსი, ეფენბერგი, იერემისი, შოლი, პაულო სერჟიო, სალიჰამიჯიჩი (სანტა კრუზი 74), ელბერი (ციკლერი 88)
გაფრთხილება: ფიშერი, გრავესენი, ელბერი, იერემისი, მათეუსი
მსაჯი: ჰაინემანი

### დორტმუნდი 0:1 ლაუტერნი

0:1 კოხი (52)
დორტმუნდი: ლემანი, ვიორნსი, როიტერი, კოლერი, ევანილსონი (ბობიჩი 57), ნერლინგერი (სტევიჩი 66), დედე, რიკენი, ვ. ბუტი (ბარბარესი 71), ჟ. რეინა, ჰერლიხი
კაიზერსლაუტერნი: გოსპოდარეკი, კომლიენოვიჩი, კოხი, შონბერგი, პეტერსონი (ლუცი 75), შტრასერი, ვაგნერი, ხრისტოვი, რატინიო, მარშალი, ჯორკაეფი
გაფრთხილება: ბობიჩი, ნერლინგერი, რიკენი, სტევიჩი, რატინიო
მსაჯი: ფლაიშერი

### მიუნხენი 1:2 ვოლფსბურგი

0:1 იუსკოვიაკი (10), 1:1 ვინკლერი (40), 1:2 იუსკოვიაკი (78)
მიუნხენი: ჰოფმანი, ვოტავა, გრაილიხი, კურცი, ტაპალოვიჩი (რიდლი 32), ტაისი (პროსენიკი 38), ბორიმიროვი, ჩერნი, ჰესლერი, ვინკლერი, მაქსი (აგოსტინო 74)
ვოლფსბურგი: რაიტმაიერი, ბილიშკოვი, ჰენგენი, ტომსენი, კრიგერი, გრაინერი (სებესკენი 68), ვაისერი, ნოვაკი, მუნტეანუ (დამაიერი 89), რიშე (ფელდჰოფი 73), იუსკოვიაკი
გაფრთხილება: ვოტავა, ტომსენი
მსაჯი: შტაინბორნი

### უნტერჰახინგი 1:0 აინტრახტი

1:0 რაკლი (62პ)
უნტერჰახინგი: ვიტმანი, შტრემელი (ზაიფერტი 75), გრასოვი, ბუგერი, მატიას ციმერმანი, შვარცი, ჰაბერი, შტრაუბე, ობერლაიტნერი (ბერგენი 77), რაკლი, გარსია (ზაიცი 46)
აინტრახტი: ჰაინენი, ხუბჩევი, ბინდევალდი, კრახტი (კუჩერა 61), შური, მუტცელი (რასიევსკი 46), ვებერი, სობოტჩიკი (ჩენ იანგი 67), ჰელდტი, რაიხენბერგერი, სალუ
გაფრთხილება: შტრაუბე, შტრემელი, კრახტი, სობოტჩიკი, ვებერი
მსაჯი: აუსტი

### ვერდერი 2:1 შტუტგარტი

1:0 ტრარესი (6), 2:0 ჰერცოგი (13), 2:1 ლისტეში (68)
ვერდერი: ფ. როსტი, ტიკუზუ, ფ. ბაუმანი, ჟულიო სეზარი, ვიდნერი, ფრინგსი, ტრარესი, აილტსი (ფრაი 90), ა. ჰერცოგი (დაბროვსკი 78), პიზარო, აილტონი
შტუტგარტი: ვოლფარტი, ტიამი, ბერთოლდი, ბორდონი, ტ. შნაიდერი (კარნელი 60), სოლდო, პინტო, ბალაკოვი (ლისტეში 60), გერბერი, დანდი, განეა (კუკა 60)
გაფრთხილება: პიზარო, ტრარესი, ბერთოლდი, ლისტეში, ვოლფარტი
მსაჯი: ვაკი

REUTERS ჰამბურგიდან




ჰამბურგი — ბაიერნი 0:0. ბაიერნელმა პაულო სერჟიომ (შუაში) ჰამბურგელებს ტომას გრავესენსა და ანდრეას ფიშერს (№13) აჯობა

# დიდი მატჩის წინ

### არმინია 1:2 შალკე

0:1 სანდი (16), 0:2 მაისნერი (78), 1:2 ლაბადია (87)
არმინია: მილეტიჩი, შტრატოსი, კლიცპერა, განსაუგე (პეეტერსი 22), მაისნერი, მაული, ბოდე, ბომე, მ. ვაისენბერგერი (გიოქთანი 67), ლაბადია, ვიშნიარეკი
შალკე: რეკი, ვალდოხი, ჰაპე, ტონი, კმეტჩი (ალპუგანი 67), ნემეცი, ლატალი (შელდი 82), ლეგატი, ვილმოტსი, სანდი (ასამოა 79), ე. მპენზა
გაფრთხილება: ბომე, ვიშნიარეკი, ჰაპე, ლეგატი, ტონი
მსაჯი: შტარკი

### ჰანზა 0:1 ჰერტა

0:1 პრეეცი (62)
ჰანზა: პიკენჰაგენი, ბენკენი, ჰოლეჩეკი, რ. შნაიდერი, ვიბრანი, ლანცი, ლანგე (კოვაჩიჩი 82), მაიაკი (აჰინფუფი 75), ბრაიტკროიცი, ბაუმგარტი (აგალი 60), არვიდსონი
ჰერტა: ფიდლერი, ვან ბურიკი, რეკდალი, სვერისონი, რემერი, შმიდტი, მიხალკე (ვაიტი 81), ჰარტმანი (როი 46), ვოში, ალექს ალვეში (დაეი 84), პრეეცი
გაფრთხილება: შნაიდერი, როი, სვერისონი, ვან ბურიკი
მსაჯი: შტრამპე

### ლევერკუზენი 3:0 დუისბურგი

1:0 შნაიდერი (3), 2:0, 3:0 ბაინლიხი (38, 59)
ლევერკუზენი: მატიშეკი, ჰოფმანი, ნოვოტნი, რ. კოვაჩი, ემერსონი, ბალაკი, ბაინლიხი (გრეშკო 81), ბ. შნაიდერი, ზე რობერტო (ვრანიეში 84), პონტე (ბრდარიჩი 70), ნოივილი
დუისბურგი: სტაუჩე, ვოლერტი, ემერლინგი, ოსტჰოფი (ცაიერი 46), ჰორსენი, ბიუსკენსი, მ. შნაიდერი (ჰაიტო 73), ჰირში, ტოფტინგი, რაისი (შპისი 73), ბაიერლე
გაფრთხილება: ბალაკი, ჰაიტო, ოსტჰოფი
მსაჯი: კრუგი

46-ᲓᲚᲘᲐᲜᲘ შესვენების შემდეგ, პარასკევს ბუნდესლიგის ჩემპიონატი განახლდა. მეორე წრის პირველმა ტურმა „დორტმუნდის" მწვრთნელი შეიწირა და გერმანიაში ორხელისუფლებიანობა დაამყარა. ლიდერი მიუნხენის „ბაიერნი" „ჰამბურგს" ეწვია და მხოლოდ ქულა შეიმატა. ბავარიელთა წაფორხილებით ისარგებლა ლევერკუზენმა, რომელმაც შინ „დუისბურგი" დაიბრიყვა და ქულებით „ბაიერნს" გაუთანაბრდა.

ლევერკუზენელებმა შაბათს ითამაშეს. მატჩი ხეირიანად არც დაწყებულიყო, რომ მასპინძლებმა გოლი გაიტანეს. ბერნდ შნაიდერმა სწრაფი კომბინაცია ძლიერი და ზუსტი დარტყმით დააგვირგვინა. ამის შემდეგ თამაში მთლიანად „ლევერკუზენის" უპირატესობით წარიმართა. სტუმრებმა კარის მიმართულებით პირველად ტაიმის მიწურულს დაარტყეს. მაშინაც ბურთი ლამის აუტზე გავიდა. ამ დროს ანგარიში უკვე 2:0 იყო. 38-ე წუთზე ბაინლიხმა დაცვა გაარღვია და ჭვინტით სტაუჩე მეორედ დაამწუხრა. მანამდე ემერსონმა და ნოივილმა ვერ გამოიყენეს თავიანთი შანსი. მატჩს წერტილი 59-ე წუთზე დაესვა. ზე რობერტოს ჩინებული ინდივიდუალური თამაში ბაინლიხმა წყალში არ ჩაყარა და თავურით 3:0 გახადა.

„არდადეგების შემდეგ პირველი მატჩი გახლდათ. ზუსტად არ ვიცოდი, გუნდი როგორ ფორმაში იყო. თამაშმა დამანახა, რომ მოსამზადებელი პერიოდი ნაყოფიერად გამოგვიყენებია, ვეცდებით, მომავალ ტურში მიუნხენშიც არ შევრცხვეთ" — „ლევერკუზენის" მწვრთნელის, კრისტოფ დაუმის ამ სიტყვებმა ცხადყო, რომ იგი უკვე ხვალინდელ შეხვედრაზე ფიქრობს. ოთხშაბათს მართლაც დიდი მატჩია — „ბაიერნი" „ლევერკუზენს" მასპინძლობს.

„ლევერკუზენამდე" კი „ბაიერნმა" მნიშვნელოვანი ქულები დაკარგა. კვირას ჰამბურგში ჩასულ მიუნხენელებს შეეძლოთ, ფრიად მნიშვნელოვანი თამაშის ბედი თავიანთ სასარგებლოდ გადაეწყვიტათ და ერთპიროვნული ლიდერობა შეენარჩუნებინათ, მაგრამ... 68-ე წუთზე „ბაიერნის" სათადარიგოთა სკამი სიხარულმა მოიცვა. არბიტრმა პანადიჩის მიერ მათეუსის წაქცევისთვის მასპინძელთა კარში პენალტი დანიშნა. თუმცა რამდენიმე წამის შემდეგ სიხარული მწუხარებამ შეცვალა — შტეფან ეფენბერგს „პენალტების მეფედ" წოდებულმა ჰანს იორგ ბუტმა აჯობა. „ჰამბურგის" მეკარეს ეს მეტსახელი იმიტომ შეერქვა, რომ მან მიმდინარე სეზონში შვიდი თერთმეტმეტრიანი თავად გაიტანა, სამიც მეტოქეს არ გაატანინა. ბუტი ამჟამად იებოასთან ერთად „ჰამბურგის" ბომბარდირია, ბუნდესლიგის მოწინავე მეგოლეთა შორის კი მეშვიდეა.

ამ პენალტს თუ არ ჩავთვლით, გოლის გატანის სხვა შანსი „ბაიერნს", ფაქტობრივად, არც მისცემია. მართალია, მეტოქე არც „ჰამბურგს" დაუწიოკებია, მაგრამ ორ-სამჯერ მიუნხენელები აშკარა გოლს გადაურჩნენ. ერთხელ იერემისმა ცარიელი კარიდანაც გამოიტანა ბურთი.

მატჩი საბოლოოდ 0:0 დასრულდა, რამაც „ბაიერნს" წინა დღით დაკარგული ლიდერობა დააბრუნებინა. მიუხედავად ამისა „ბაიერნის" მთავარი მწვრთნელი ოტმარ ჰიცფელდი ნამატჩევს ნანობდა: „გასაბრაზებელია, რომ პენალტი ვერ გამოვიყენეთ. ამის გამო ხომ მნიშვნელოვანი ქულები დავკარგეთ".

მიუნხენელების მსგავსად, თერთმეტმეტრიანი ვერ გამოიყენა ქართველთა „ფრაიბურგმაც", თუმცა ფოლკერ ფინკეს გუნდმა „ულმი" მაინც უპრობლემოდ დაამარცხა. პენალტი მარკო ვაისჰაუპტმა 51-ე წუთზე ვერ გაიტანა. ამ დროისთვის „ფრაიბურგი" 1:0-ს იგებდა. გოლი პირველი ტაიმის შუაგულში ლევან კობიაშვილის აქტიურობის შემდეგ გავიდა. მის ფლანგურ გარღვევას და საჯარიმოში ჩაწოდებას ულმელი რუი მარკესის შეცდომა და ტუნისელი მეჰდი ბენ სლიმანის ზუსტი დარტყმა მოჰყვა. ბენ სლიმანი მატჩის გმირად იქცა. მან მე-80 წუთზე საჯარიმოში კარგად ითამაშა, მეტოქე ჩამოიცილა და ყველაფერს ნათელი მოჰფინა. თუმცა ყველაფერი, ალბათ, მაინც 51-ე წუთზე გაირკვა, როცა მსაჯმა სტუმართა მცველი იოახიმ შტადლერიც გააძევა და ზემოხსენებული პენალტიც დანიშნა.

გამოჯანმრთელებულმა იაშვილმა კი ქომაგების იმედები ვერ გაამართლა. მან მხოლოდ ერთხელ გაიბრწყინა, როცა საჯარიმოს ხაზთან სამი მცველი მოატყუა, მათ მეოთხეც მიაყოლა და ის-ის იყო, მეკარესთან პირისპირ უნდა დარჩენილიყო, რომ ბოლო მომენტში დაასწრეს და ბურთი კუთხურზე გადაუგდეს.

ჰარი კოხმა და მისმა „კაიზერსლაუტერნმა" კი ბუნდესლიგის ყველაზე ახალგაზრდა მწვრთნელის, 34 წლის მიხაელ სკიბეს ცოდვა დაიდეს.

„პირველ ტაიმში ბურთის შეგდება გვმართებდა. ჩვენ გოლი ვერ გავიტანეთ და ამიტომაც წავაგეთ. ახლა მომავლისკენ უნდა გავიხედოთ. მომდევნო ტურში „ვოლფსბურგთან" საგარეო მატჩს კონცენტრირებულნი უნდა შევხვდეთ" — თქვა „დორტმუნდის" თავკაცმა მიხაელ სკიბემ პარასკევს „ლაუტერნთან" 0:1 წაგებული თამაშის შემდეგ. თუმცა კაცი ბჭობდა, ღმერთი (პრეზიდენტი) იცინოდაო, ხომ გაგიგიათ. შაბათს კლუბის ხელმძღვანელობამ სკიბე თანამდებობიდან გაათავისუფლეს. შენი დიდი მადლობლები ვართ, მაგრამ უნდა წახვიდეო, აუწყეს მწვრთნელს. მედიას კი განუცხადეს, ბუნდესლიგის ბოლო ათი მატჩიდან „დორტმუნდმა" მხოლოდ ერთი მოიგო, დიდი ამბიციების მქონე კლუბს ეს არ ეკადრებაო. ასე რომ, სკიბე ცუდი შედეგების გამო გაუშვეს. თუმცა „კაიზერსლაუტერნი" რომც დაემარცხებინა, გუნდის დატოვება პირველივე წაფორხილების შემდეგ მაინც მოუწევდა, რადგან „დორტმუნდის" უფროსობას ბერნდ კრაუსი წინასწარვე შეუგულებია. სკიბეს წასვლა და კრაუსის მოსვლა ერთი იყო. შაბათს კრაუსი, რომელიც აქამდე „მიონხენგლადბახსა" და ესპანურ „სოსიედადს" წვრთნიდა, „დორტმუნდის" თავკაცად დაინიშნა.

ბრემენის „ვერდერმა" სამკვირეწრეო სამზადისისას სტანდარტული სიტუაციების დამუშავებაზე, ეტყობა, გვარიანად ივარჯიშა. სტუმრადწვეულ „შტუტგარტთან" მატჩის მე-13 წუთზე „ვერდერი" უკვე 2:0-ს იგებდა. ჯერ ტრარესმა გაიტანა ჯარიმიდან, მერე ჰერცოგმა. მასპინძლებს ამის შემდეგაც არაერთხელ მართებდათ გატანა, მაგრამ ძალიან ხელსაყრელი მომენტები ვერ გამოიყენეს და ბოლოს კინაღამ თავში საცემად გაიხადეს საქმე. 68-ე წუთზე ლისტეშმა ასევე ჯარიმით ანგარიშის სხვაობა მინიმუმამდე შეამცირა. ბოლო წუთებზე „შტუტგარტის" ჩეხ ლეგიონერს პაველ კუკას გათანაბრებაც შეეძლო, მაგრამ ორიოდე მეტრიდან მეკარეს დაუმიზნა ბურთი.

გაკოტრებული და გაუქმების პირას მისული ფრანკფურტის „აინტრახტი" ლიგის ახალწვეულ „უნტერჰახინგს" ესტუმრა. ფრანკფურტელთა ახალ მწვრთნელ ფელიქს მაგათს დებიუტი ჩაუმწარდა. მასპინძელთა ალბანელმა თავდამსხმელმა ალთინ რაკლიმ 62-ე წუთზე ერთადერთი გოლი გაიტანა. აღსანიშნავია, რომ ეს „აინტრახტისთვის" პირველი წრიდან მოყოლებული ზედიზედ მეშვიდე მარცხი გახლდათ.

ბერლინელმა მიხაელ პრეეცმა კი გოლის გატანა, ეტყობა, კვლავ გაიხსენა. „ჰანზასთან" მატჩის 62-ე წუთზე მან მცველთა უყურადღებობით ისარგებლა და თავით პიკენჰაგენის კარი დალაშქრა. შედეგად „ჰერტა" ბერლინში სამი ქულით ხელდამშვენებული დაბრუნდა.

**ვანო ოქროპირიძე**

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | ბაიერნი | 18 | 11 | 4 | 3 | 33:13 | 20 | 37 | 8 | 5 | 2 | 1 | 20:7 | 13 | 17 | 10 | 6 | 2 | 2 | 13:6 | 7 | 20 |
| 2 | ლევერკუზენი | 18 | 10 | 7 | 1 | 32:18 | 14 | 37 | 10 | 7 | 3 | 0 | 24:11 | 13 | 24 | 8 | 3 | 4 | 1 | 8:7 | 1 | 13 |
| 3 | ჰამბურგი | 18 | 8 | 8 | 2 | 39:19 | 20 | 32 | 9 | 6 | 3 | 0 | 25:5 | 20 | 21 | 9 | 2 | 5 | 2 | 14:14 | 0 | 11 |
| 4 | ვერდერი | 18 | 8 | 5 | 5 | 36:25 | 11 | 29 | 10 | 5 | 2 | 3 | 19:14 | 5 | 17 | 8 | 3 | 3 | 2 | 17:11 | 6 | 12 |
| 5 | მიუნხენი | 18 | 8 | 5 | 5 | 29:23 | 6 | 29 | 10 | 6 | 2 | 2 | 20:11 | 9 | 20 | 8 | 2 | 3 | 3 | 9:12 | -3 | 9 |
| 6 | დორტმუნდი | 18 | 7 | 7 | 4 | 24:14 | 10 | 28 | 10 | 4 | 4 | 2 | 16:10 | 6 | 16 | 8 | 3 | 3 | 2 | 8:4 | 4 | 12 |
| 7 | შტუტგარტი | 18 | 8 | 3 | 7 | 22:21 | 1 | 27 | 8 | 3 | 1 | 4 | 11:11 | 0 | 10 | 10 | 5 | 2 | 3 | 11:10 | 1 | 17 |
| 8 | ლაუტერნი | 18 | 8 | 2 | 8 | 22:30 | -8 | 26 | 8 | 4 | 1 | 3 | 11:11 | 0 | 13 | 10 | 4 | 1 | 5 | 11:19 | -8 | 13 |
| 9 | ჰერტა | 18 | 6 | 7 | 5 | 23:28 | -5 | 25 | 8 | 3 | 4 | 1 | 13:7 | 6 | 13 | 10 | 3 | 3 | 4 | 10:21 | -11 | 12 |
| 10 | შალკე | 18 | 5 | 9 | 4 | 23:21 | 2 | 24 | 8 | 1 | 6 | 1 | 8:9 | -1 | 9 | 10 | 4 | 3 | 3 | 15:12 | 3 | 15 |
| 11 | ვოლფსბურგი | 18 | 6 | 6 | 6 | 24:31 | -7 | 24 | 9 | 5 | 0 | 4 | 14:16 | -2 | 15 | 9 | 1 | 6 | 2 | 10:15 | -5 | 9 |
| 12 | ფრაიბურგი | 18 | 6 | 5 | 7 | 26:23 | 3 | 23 | 10 | 5 | 2 | 3 | 18:8 | 10 | 17 | 8 | 1 | 3 | 4 | 8:15 | -7 | 6 |
| 13 | უნტერჰახინგი | 18 | 6 | 5 | 7 | 19:20 | -1 | 23 | 9 | 6 | 3 | 0 | 12:3 | 9 | 21 | 9 | 0 | 2 | 7 | 7:17 | -10 | 2 |
| 14 | ჰანზა | 18 | 5 | 5 | 8 | 23:36 | -13 | 20 | 10 | 5 | 3 | 2 | 16:13 | 3 | 18 | 8 | 0 | 2 | 6 | 7:23 | -16 | 2 |
| 15 | ულმი | 18 | 5 | 4 | 9 | 19:27 | -8 | 19 | 9 | 4 | 2 | 3 | 12:7 | 5 | 14 | 9 | 1 | 2 | 6 | 7:20 | -13 | 5 |
| 16 | დუისბურგი | 18 | 2 | 7 | 9 | 18:33 | -15 | 13 | 8 | 1 | 5 | 2 | 9:8 | 1 | 8 | 10 | 1 | 2 | 7 | 9:25 | -16 | 5 |
| 17 | აინტრახტი | 18 | 3 | 2 | 13 | 17:28 | -11 | 11 | 8 | 2 | 1 | 5 | 11:10 | 1 | 7 | 10 | 1 | 1 | 8 | 6:18 | -12 | 4 |
| 18 | არმინია | 18 | 2 | 5 | 11 | 14:33 | -19 | 11 | 10 | 1 | 4 | 5 | 9:14 | -5 | 7 | 8 | 1 | 1 | 6 | 5:19 | -14 | 4 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| სელიმი (ფრაიბურგი) | 9 |
| სანდი (შალკე 04) | 9 |
| ბაინლიხი (ლევერკუზენი) | 8 |
| ბოდე (ვერდერი) | 8 |
| კირსტენი (ლევერკუზენი) | 8 |
| მაქსი (მიუნხენი) | 8 |

### XIX ტური

8 თებერვალი
შალკე - ვერდერი
ლაუტერნი - ჰანზა
ულმი - მიუნხენი
ჰერტა - არმინია
9 თებერვალი
შტუტგარტი - ჰამბურგი
აინტრახტი - ფრაიბურგი
დუისბურგი - უნტერჰახინგი
ვოლფსბურგი - დორტმუნდი
ბაიერნი - ლევერკუზენი

## ესპანეთი

XXIII ტური

### დეპორტივო 5:2 რეალი

1:0 მაკაი (7), 2:0 ჯალმინია (18), 2:1 მორიენტესი (34), 3:1 ვიქტორ სანჩესი (48), 4:1, 5:1 ტურუ ფლორესი (74, 84), 5:2 იერო (90)
დეპორტივო: სონგო, რომერო, მანუელ პაბლო, შურერი, დონატო, ჯალმინია (ტურუ ფლორესი 70), ფრანი (ფერნანდო 76), მაურო სილვა, ხაიმე, მაკაი (პაულეტა 82), ვიქტორ სანჩესი
რეალი: კასილიასი, მანუელ სანჩისი, რობერტო კარლოსი, მიჩელ სალგადო, კარანკა, იერო, გუტი (მაკმანამანი 63), ივან ელგერა (ოგნიენოვიჩი 50), რედონდო, რაული, მორიენტესი (მეკა 50)
გაფრთხილება: გუტი, რობერტო კარლოსი, მიჩელ სალგადო
მსაჯი: როდრიგეს სანტიაგო

### მალიორკა 2:1 სოსიედადი

1:0 კარლოსი (15), 2:0 არმანდო (51), 2:1 არამბურუ (87)
მალიორკა: ლეო ფრანკო, ფერნანდო ნინიო, დავიდი, ნადალი, ოლაიზოლა, კარერასი (არმანდო 27), ჩიჩი სოლერი, ენგონგა (მიგელ სოლერი 74), სერისუელა, დიეგო ტრისტანი, კარლოსი (ნოვო 90)
სოსიედადი: ალბერტო, ლოპეს რეკარტე, გურუჩაგა, არანსაბალი, ფუენტესი, ლორენი (ბონილია 63), არამბურუ, ხოხლოვი, გომესი (სა პინტუ 46), იანკაუსკასი, დე პაულა (პაკო ლორენტე 81)
გაფრთხილება: არმანდო, ლორენი, ფერნანდო ნინიო
მსაჯი: დაუდენ იბანიესი

### ატლეტიკო 2:2 სარაგოსა

1:0, 2:0 ჰასელბაინკი (17პ, 54), 2:1 იორდი (79), 2:2 გარიტანო (82)
ატლეტიკო: მოლინა, აგილერა, კაპდევილა, სანტი, გამარა, ვალერონი (რობერტო 46), სოლარი, უგო ლეალი, ბეიბლი, ჰასელბაინკი, კიკო ნარვაესი (ბარახა 68)
სარაგოსა: ხუანმი, სუნდგრენი, პაბლო, პაკო ხემესი, აგუადო, ხოსე იგნასიო, აკუნია, იორდი, მილოშევიჩი, ველისკა, ხუანელე (გარიტანო 80)
გაფრთხილება: ხუანმი, აგილერა, აგუადო, პაბლო
მსაჯი: ფერნანდეს ბორბალანი

### ბარსელონა 0:1 ალავესი

0:1 ნან რივერა (16)
ბარსელონა: არნაუ, პუიოლი, რაიციგერი, აბელარდო (ბოგარდი 46), სიმაო (დანი 67), ზენდენი, ხავი, კოკუ, ლიტმანენი (რ. დე ბური 46), კლუივერტი, რივალდო
ალავესი: ერერა, ტორეს მესტრე, მორალესი, ტელიესი, ეგენი, იბონ ბეგონია (მაგნო 82), ასკოიტია, პაბლო, ნან რივერა (ასტუდილიო 60), დესიო, ხავი მორენო (ხულიო სალინასი 68)
გაფრთხილება: ეგენი, ტელიესი, პუიოლი, დესიო
მსაჯი: პრადოს გარსია

### რაიო ვალეკანო 1:0 სელტა

1:0 ფერონი (26)
რაიო ვალეკანო: კელერი, დრეიპერი (ვან დენ ბერგი 66), ლორენსი, ჰელდერი, ფერონი, ალკასარი, კოტა, ერნანდესი, კლოტე, მიჩელ I (პაბლო სანსი 76), კანაბალი (პოშნერი 87)
სელტა: პინტო, ვივასი (ბელმადი 72), სერხიო, ველასკო, კასერესი, ჰუგენდორფი, ჯოვანელა, კარპინი, მაკელელე, რევივო (გუსტავო ლოპესი 56), ბენი მაკკარტი
გაფრთხილება: ველასკო, ჰელდერი, სერხიო, ბენი მაკკარტი, კარპინი
მსაჯი: ხაპონ სევილია

### ვალენსია 3:1 ბეტისი

1:0 ილიე (2), 1:1 ფილიპესკუ (60), 2:1 მენდიეტა (82), 3:1 ფარინოსი (83)
ვალენსია: კანისარესი, პელეგრინო, კარბონი, ჯუკიჩი, ანგლომა, კილი გონსალესი, მილია, ხერარდი, მენდიეტა, ხუან სანჩესი (კლაუდიო ლოპესი 70), ილიე (ბიორკლუნდი 88)
ბეტისი: ტონი პრატსი, კარპანი, მერინო, ბორნესი, ოტერო, კანიასი (ბენჟამინი 46), ფილიპესკუ, კროსა, ალფონსო, ოლი, დენილსონი (გალვესი 63)
გაფრთხილება: ხერარდი, ოტერო, ფარინოსი
მსაჯი: მანუელ დიას ვეგა

### სევილია 1:0 რასინგი

1:0 ზალაიეტა (63)
სევილია: ოლსენი, ექტორი (ხესული 46), მარჩენა, ჰიბიჩი, პრიეტო, ანხელი, ცარტასი, კევედო, ხუან კარლოსი (ტაბარე 80), ვიქტორი, ზალაიეტა
რასინგი: ლემენსი, სიეტესი, ნერუ, მელბერგი, ვივარ დორადო (მორანი 87), ესპინია, კოლსა, მუნიტისი, სალვა, ამავისკა, მანხარინი (რუშფელტი 76)
გაფრთხილება: ტაბარე, კოლსა, კევედო, მელბერგი, ანხელი, ვივარ დორადო, პრიეტო
გაძევება: მუნიტისი (82)
მსაჯი: ანსუატეგი როჩა

### ოვიედო 1:0 ესპანიოლი

1:0 რუბენი (77)
ოვიედო: ესტებანი, რაბარივონი (ესკურსა 55), ბორისი, დანჟუ, ონოპკო, ამიევა, პომპეი, ივან ანია (რუბენი 55), პაულო ბენტუ, დელი ვალდესი, ლოსადა (გონსალესი 70)
ესპანიოლი: მორა, პოჩეტინიო, სოლდევილა, კრისტობალი, არტეაგა (მარტინ პოსე 85), გალკა, სერხიო, მაურო ნავასი, ტამუდო, ბენიტესი (როხერი 61), ველამასანი (სერანო 75)
გაფრთხილება: ონოპკო, რაბარივონი
მსაჯი: მეგია დავილა

### ბილბაო 2:1 ნუმანსია

1:0 ურსაისი (7), 1:1 პაჩეტა (24), 2:1 პაჩეტა (77 ს.კ.)
ბილბაო: ი. ეჩებერია, ფელიპე, პაჩი ფერეირა, კარლოს გარსია, ხოსე მარი, იესტე (ხავი გონსალესი 55), ი. გერერო (ესკერო 75), ალკისა (ტიკო 68), ლაკრუსი, ხ. ეჩებერია, ურსაისი
ნუმანსია: ნუნიესი, ოქტავიო, სორია, მუნისი, ხაუმე, რივერა (ინიაკი 84), პაჩეტა, კასტანიო, ნაგორე, ოხედა, ბარბუ (ხორხე პერესი 68)
გაფრთხილება: კარლოს გარსია, ნუნიესი, ალკისა, რივერა
მსაჯი: ლონჩი ანდრეუ

### მალაგა 0:0 ვალიადოლიდი

მალაგა: კონტრერასი, როხასი, ვალკარსე, ბრავო, ფერნანდო სანსი, რუფეტე, აგოსტინო (სანდრო 65), მოვილია, დე ლოს სანტოსი, კატანია, ედგარი (ლუკე 60)
ვალიადოლიდი: სესარი, მარკოსი, პენია, ტორეს გომესი, გარსია კალვო, ჰაინცე, შოჯი ჯო (ვისკაინო 60), ხავი ხიმენესი, კამინერო (ეუსებიო 74), ვიქტორი, როდრიგო (ალბერტო 26)
გაფრთხილება: კატანია, პენია, ბრავო, როდრიგო, ჰაინცე
გაძევება: ბრავო (72)
მსაჯი: ლოსანტოს ომარი

# ავტორიტეტი არაფერს ნიშნავს



მალიორკა — სოსიედადი 2:1. მალიორკელი კარლოს დომინგუში „სოსიედადის“ მცველმა მოცელა

REUTERS ბელგა და მალიორკადან

მადრიდის „რეალს“ აქამდე ზედიზედ შვიდი თამაში არ წაეგო. წინა ხუთ მატჩში „დეპორტივოს“ მხოლოდ ოთხი ქულა ჰქონდა ალებული. მიმდინარე სეზონში „ბარსელონამ“ „კამპ ნოუ“ მხოლოდ ერთხელ დატოვა დამარცხებულმა. დასასრული ყველაფერს აქვს — ეს ესპანეთის ჩემპიონატის 23-ე ტურმაც აჩვენა.

ლა კორუნიაში მადრიდელთა წაგება განსაკუთრებული სენსაცია იქნებ არც იყოს. წლეულს „რეალი“ მეტად არასტაბილურად თამაშობს, „დეპორტივო“ კი, ბოლოდროინდელი ჩავარდნის მიუხედავად, მაინც ლიდერია. მაგრამ ანგარიში? ხუთი გოლი „რეალის“ კარში მეტისმეტია. ეს მცველთა უსუსურობაზე მიგვანიშნებს. ბავშვობაში ეზოში რომ ვვარჯიშობდით, ყოველთვის ვცდილობდით, ბურთი ქუსლით თავსზემოთ გადაგვეგდო. მატჩის მსვლელობისას ჯალმინიამ სწორედ ეს ფინტი გაიხსენა, რასაც რეალელი მცველები გაოცებულები შესცქეროდნენ.

ანგარიში მე-7 წუთზე როი მაკაიმ თავური დარტყმით გახსნა. შემდეგ ჯალმინიამაც შეაგდო და მეთვრამეტე წუთისთვის „დეპორტივო“ უკვე 2:0 იგებდა. „რეალმა“ ერთი ბურთის გაქვითვა პირველივე ტაიმში შეძლო. რაულის დარტყმული მასპინძელთა მეკარე ჟაკ სონგომ მოიგერია, თუმცა ბურთთან ფერნანდო მორიენტესი გაჩნდა და მის წინააღმდეგ მეკარემ ვერაფერი გააწყო. ტაიმი ასე დასრულდა. ერთბურთიანი სხვაობა „რეალისთვის“ საგანგაშო არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ მატჩის განახლებიდან სამიოდე წუთში ყოფილმა მადრიდელმა ვიქტორ სანჩესმა მესამე შეაგდო. სტუმრები ახლა კი შეშინდნენ და ფრისთვის მაინც რომ მიეღწიათ, მთელი ძალებით შეუტიეს. მოხდა ის, რაც ასეთ შემთხვევებში ხდება ხოლმე. ზურგმოშიშვლებული „რეალის“ კარი ტურუ ფლორესმა კიდევ ორჯერ დალაშქრა. საფინალო სასტვენამდე ექვსი წუთით ადრე სხვაობა უკვე ოთხი ბურთი იყო, ამიტომ 90-ე წუთზე ფერნანდო იეროს საჯარიმოდან გატანილ გოლს მასპინძლები დიდად არ დაუმწუხრებია.

ცხადია, „რეალის“ განადგურებამ გალისიელები დიდად გაახარა. როგორც გაირკვა, მათ კიდევ ორი სასიამოვნო ამბავი ელოდათ — [illegible] სმა მდევრებმა ქულები დაკარგეს.

„ატლეტიკო“ — „სარაგოსას“ მატჩის შემდეგ, მადრიდელები გაოგნებულნი იყვნენ. შეხვედრის დასრულებამდე თერთმეტი წუთით ადრე ხესუს ხილის გუნდი ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკის გოლებით 2:0 იგებდა. რამდენჯერ თქმულა, მატჩი მსაჯის საფინალო სასტვენის შემდეგ წყდებაო. ეს ელემენტარული ჭეშმარიტება სარაგოსელებს უკეთ სცოდნიათ და არ დანებდნენ. 79-ე წუთზე მადრიდელთა კართან ჩაწოდებული კუთხური ყოფილმა ატლეტიკოელმა იორდი გონსალესმა გოლად აქცია. სარაგოსას თამაშის გადარჩენის შანსი მიეცა და სანამ მასპინძლები გონს მოეგებოდნენ, ანდერ გარიტანომ ანგარიში გაათანაბრა. სარაგოსას ახლა 39 ქულა დაუგროვდა და ლიდერს 4 ქულით ჩამორჩება.

და „ბარსელონა“? როგორც ვთქვით, კატალონიელებს მიმდინარე სეზონში „კამპ ნოუზე“ მხოლოდ ერთხელ წაეგოთ. ამჯერად ისინი „ალავესმა“ დაამარცხა. „ალავესი“ ამჟამად მეხუთე ადგილზეა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ იგი კარგად თამაშობს, თუმც არ არის ის გუნდი, „ბარსას“ მასთან გოლის გატანა უჭირდეს.

შეხვედრაში ერთადერთი გოლი მე-16 წუთზე ნან რივერამ შეაგდო. აქედან მოყოლებული „ბარსელონა“ უტევდა. რამდენჯერმე სტადიონზე თავმოყრილ 40 ათას გულშემატკივარს სუნთქვა შეეკრა — პატრიკ კლუივერტი და ფილიპ კოკუ მეტად ახლოს იყვნენ მიზანთან. მაგრამ რა? არაფერი, ალავესელმა მეკარე მარტინ ერერამ ბურთს კარის ხაზი არ გადააკვეთინა.

მატჩის შემდეგ ლუის ვან გაალს უთქვამს: „პირველი ტაიმი ჩვენთვის ყველა ასპექტში უბედური იყო“

ასე რომ, „ბარსას“ კვლავაც 38 ქულა აქვს. „დეპორტივოსთან“ მისი ჩამორჩენა ხუთ ქულამდე გაიზარდა, რაც გრანდისთვის ბევრი არ უნდა იყოს, მაგრამ დრო რომ მიდის?

**გიორგი დარჯანია**

| № | სულ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | შინ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | სტუმრად თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 დეპორტივო | 23 | 13 | 4 | 6 | 42:30 | 12 | 43 | 11 | 9 | 0 | 2 | 28:14 | 14 | 27 | 12 | 4 | 4 | 4 | 14:16 | -2 | 16 |
| 2 სარაგოსა | 23 | 10 | 9 | 4 | 40:24 | 16 | 39 | 12 | 8 | 4 | 0 | 28:11 | 17 | 28 | 11 | 2 | 5 | 4 | 12:13 | -1 | 11 |
| 3 ბარსელონა | 23 | 11 | 5 | 7 | 43:29 | 14 | 38 | 11 | 8 | 1 | 2 | 25:10 | 15 | 25 | 12 | 3 | 4 | 5 | 18:19 | -1 | 13 |
| 4 სელტა | 23 | 11 | 2 | 10 | 31:29 | 2 | 35 | 12 | 7 | 1 | 4 | 21:16 | 5 | 22 | 11 | 4 | 1 | 6 | 10:13 | -3 | 13 |
| 5 ალავესი | 23 | 10 | 5 | 8 | 26:25 | 1 | 35 | 12 | 6 | 2 | 4 | 15:13 | 2 | 20 | 11 | 4 | 3 | 4 | 11:12 | -1 | 15 |
| 6 ბილბაო | 23 | 9 | 8 | 6 | 34:34 | 0 | 35 | 11 | 6 | 4 | 1 | 19:13 | 6 | 22 | 12 | 3 | 4 | 5 | 15:21 | -6 | 13 |
| 7 ვალენსია | 23 | 9 | 6 | 8 | 32:25 | 7 | 33 | 11 | 6 | 2 | 3 | 20:10 | 10 | 20 | 12 | 3 | 4 | 5 | 12:15 | -3 | 13 |
| 8 რეალი | 22 | 8 | 9 | 5 | 38:37 | 1 | 33 | 11 | 5 | 3 | 3 | 21:20 | 1 | 18 | 11 | 3 | 6 | 2 | 17:17 | 0 | 15 |
| 9 რაიო ვალეკანო | 23 | 10 | 3 | 10 | 32:32 | 0 | 33 | 12 | 6 | 2 | 4 | 19:15 | 4 | 20 | 11 | 4 | 1 | 6 | 13:17 | -4 | 13 |
| 10 მალიორკა | 23 | 9 | 5 | 9 | 31:31 | 0 | 32 | 12 | 8 | 3 | 1 | 22:12 | 10 | 27 | 11 | 1 | 2 | 8 | 9:19 | -10 | 5 |
| 11 ნუმანსია | 23 | 8 | 7 | 8 | 32:36 | -4 | 31 | 11 | 6 | 5 | 0 | 19:9 | 10 | 23 | 12 | 2 | 2 | 8 | 13:27 | -14 | 8 |
| 12 მალაგა | 23 | 7 | 8 | 8 | 33:32 | 1 | 29 | 11 | 3 | 5 | 3 | 15:10 | 5 | 14 | 12 | 4 | 3 | 5 | 18:22 | -4 | 15 |
| 13 ატლეტიკო | 23 | 8 | 5 | 10 | 36:37 | -1 | 29 | 12 | 5 | 3 | 4 | 20:15 | 5 | 18 | 11 | 3 | 2 | 6 | 16:22 | -6 | 11 |
| 14 ვალიადოლიდი | 22 | 7 | 7 | 8 | 22:25 | -3 | 28 | 10 | 6 | 1 | 3 | 17:12 | 5 | 19 | 12 | 1 | 6 | 5 | 5:13 | -8 | 9 |
| 15 ესპანიოლი | 23 | 7 | 6 | 10 | 32:34 | -2 | 27 | 12 | 4 | 5 | 3 | 17:15 | 2 | 17 | 11 | 3 | 1 | 7 | 15:19 | -4 | 10 |
| 16 ოვიედო | 23 | 7 | 6 | 10 | 24:37 | -13 | 27 | 11 | 7 | 2 | 2 | 13:6 | 7 | 23 | 12 | 0 | 4 | 8 | 11:31 | -20 | 4 |
| 17 ბეტისი | 23 | 8 | 3 | 12 | 21:37 | -16 | 27 | 12 | 7 | 2 | 3 | 13:10 | 3 | 23 | 11 | 1 | 1 | 9 | 8:27 | -19 | 4 |
| 18 რასინგი | 23 | 6 | 8 | 9 | 35:34 | 1 | 26 | 12 | 2 | 8 | 2 | 20:17 | 3 | 14 | 11 | 4 | 0 | 7 | 15:17 | -2 | 12 |
| 19 სოსიედადი | 23 | 5 | 10 | 8 | 25:29 | -4 | 25 | 12 | 5 | 4 | 3 | 17:14 | 3 | 19 | 11 | 0 | 6 | 5 | 8:15 | -7 | 6 |
| 20 სევილია | 23 | 4 | 8 | 11 | 24:36 | -12 | 20 | 11 | 4 | 5 | 2 | 13:9 | 4 | 17 | 12 | 0 | 3 | 9 | 11:27 | -16 | 3 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| სალვა (რასინგი) | 21 |
| ჰასელბაინკი (ატლეტიკო) | 20 |
| მილოშევიჩი (სარაგოსა) | 18 |
| კატანია (მალაგა) | 15 |
| მაკაი (დეპორტივო) | 13 |

### XXIV ტური

12 თებერვალი
ბილბაო — მალიორკა
13 თებერვალი
სელტა — სოსიედადი
სარაგოსა — რაიო
რასინგი — ატლეტიკო
ესპანიოლი — სევილია
ალავესი — ოვიედო
ბეტისი — ბარსელონა
ვალიადოლიდი — ვალენსია
რეალი — მალაგა
ნუმანსია — დეპორტივო

## მეორე დივიზიონი

XXV ტური

### ხეტაფე 1:2 ელჩე

1:0 პარადო (10), 1:1 ზარატე (36), 1:2 ედუ გარსია (71)

### ლას პალმასი 0:0 ტოლედო

### ოსასუნა 1:2 ლეგანესი

0:1 პაჩონი (42), 0:2 ბარბარინი (90), 1:2 ალექს ფერნანდესი (95პ)

### კომპოსტელა 1:1 ატლეტიკო B

0:1 ლუკე (24), 1:1 გუდელი (89)

### კორდობა 3:0 მერიდა

1:0 აგუადო (13), 2:0, 3:0 რაფა ნავარო (64, 78)

### ლოგრონიესი 0:3 უელვა

0:1, 0:2 სოტო (7, 75), 0:3 კურო ტორესი (90)

### ლეიდა 4:1 სპორტინგი

0:1 ლოსანო (9), 1:1 ფრანი (31), 2:1, 3:1 სეტვალსი (52, 66), 4:1 როა (85)

### სალამანკა 3:0 ტენერიფე

1:0 სანდრო (12), 2:0 ტაირა (91), 3:0 ბარბარა (93პ)

### ალბასეტე 2:0 ლევანტე

1:0 ვულევიჩი (32), 2:0 ლეანდრო (87)

### ბადახოსი 1:1 ვილიარეალი

1:0 პატრი (19პ), 1:1 სერბანი (87)

### ესტრემადურა 3:0 ეიბარი

1:0 ვიაუ (67პ), 2:0, 3:0 ტიტო (70, 75)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სალამანკა | 25 | 14 | 7 | 4 | 42:24 | 49 |
| ლას პალმასი | 25 | 12 | 7 | 6 | 38:24 | 43 |
| ესტრემადურა | 25 | 12 | 7 | 6 | 29:23 | 43 |
| ლევანტე | 25 | 11 | 7 | 7 | 39:35 | 40 |
| ბადახოსი | 25 | 8 | 14 | 3 | 25:18 | 38 |
| ვილიარეალი | 25 | 10 | 7 | 8 | 36:27 | 37 |
| სპორტინგი | 25 | 11 | 4 | 10 | 34:32 | 37 |
| ლეიდა | 25 | 10 | 6 | 9 | 44:34 | 36 |
| ტენერიფე | 25 | 9 | 6 | 10 | 31:33 | 33 |
| ეიბარი | 25 | 9 | 8 | 8 | 34:35 | 35 |
| ოსასუნა | 25 | 10 | 4 | 11 | 23:24 | 34 |
| კორდობა | 25 | 8 | 8 | 9 | 30:29 | 32 |
| კომპოსტელა | 25 | 7 | 11 | 7 | 31:31 | 32 |
| ატლეტიკო B | 25 | 9 | 5 | 11 | 31:35 | 32 |
| ალბასეტე | 25 | 8 | 8 | 9 | 26:32 | 32 |
| ხეტაფე | 25 | 8 | 6 | 11 | 23:27 | 30 |
| ლოგრონიესი | 25 | 7 | 8 | 10 | 36:37 | 29 |
| ელჩე | 25 | 6 | 11 | 8 | 28:35 | 29 |
| მერიდა | 25 | 7 | 8 | 10 | 22:29 | 29 |
| ლეგანესი | 25 | 8 | 8 | 9 | 28:33 | 29 |
| უელვა | 25 | 6 | 5 | 14 | 21:35 | 23 |
| ტოლედო | 25 | 4 | 7 | 14 | 16:35 | 19 |

## ბელგია

XXII ტური

**გენკი 1:2 შარლერუა**

1:0 ორიგი (39), 1:1 დ. ბრონო (57), 1:2 დაფერი (67)

**გენტი 2:3 მუსკრონი**

0:1, 0:2 მარტინი (40, 61), 0:3 დე ვლეშაუვერი (86), 1:3 ხარიფი (88), 2:3 იოლი (90)

**მეხელენი 4:3 ლიერსი**

0:1 სპიტერი (7), 1:1 დებუშერი (11), 1:2 ვან მეირი (13), 2:2 ვან ჰუტი (18), 3:2, 4:2 ჟოაო ელიასი (48, 52), 4:3 ვან დე ვეირი (80)

**ვესტერლო 3:2 ბევერენი**

„ვესტერლოდან“ ბურთები გაიტანეს: პელიჩი, დე კონინკი, ზელენკა „ბევერენიდან“: ნუპი, იმაგბუდუ

**აალსტი 2:0 სენტ ტრუიდენი**

1:0 ტიბოტი (70), 2:0 დე ოლივეირა (71)

**ჰარელბეკე 5:1 ლომელი**

0:1 გომისი (11), 1:1, 2:1, 3:1 პაასი (31, 35პ, 53), 4:1 ვოსტინი (85), 5:1 კაკუ (86)

**სტანდარდი 3:0 ბეელი**

1:0, 2:0 ტაისი (20, 25პ), 3:0 გუსენსი (87)

**ანდერლეხტი 1:1 ბრიუგე**

0:1 ბორკელმანსი (67), 1:1 სონკო (81)

**ბეერსხოტი — ლოკერენი**

გაიმართება 1 მარტს

„ბრიუგემ“ ლიდერ „ანდერლეხტთან“ მიახლოების კარგი შესაძლებლობა დაკარგა. ბრიუსელში, „კონსტანტ ვანდენშტოკზე“ ჩატარებული შეხვედრა ფრედ 1:1 დასრულდა და „ბრიუგეს“ „ანდერლეხტთან“ კვლავ 6 ქულა აშორებს.

დებიუტშივე ორივე გუნდს შეეძლო დაწინაურება, მაგრამ სწრაფი გოლის გატანა ვერც ერთმა მოახერხა. აღსანიშნავია, რომ მთელი პირველი ტაიმის განმავლობაში გადაუღებლად წვიმდა, რამაც შეხვედრას თავისი კვალი დაატყო. პირველი ნახევარიც ფრედ 0:0 დასრულდა.

მეორე ტაიმი დაიწყო თუ არა, წვიმამ იკლო და თამაშიც სანახაობრივად უკეთესი გახდა. „ანდერლეხტმა“ უდავო უპირატესობა მოიპოვა და გოლის გატანის რამდენიმე შანსიც მიეცა, მაგრამ ვერ გამოიყენა და როგორც უმეტესად ხდება, ბურთი საკუთარ კარში მიიღო. 67-ე წუთზე სანდი მარტენსმა იაქტიურა და ზუსტი პასით მცველი ვიტალ ბორკელმანსი მოძებნა, რომელმაც თითქმის აულებელი დარტყმით მეკარე ფილიპ დე ვილდეს პირველი გოლი გაუტანა.

მერე „ანდერლეხტმა“ ზეწოლა გააძლიერა და 81-ე წუთზე შედეგსაც მიაღწია. საკმაოდ ლამაზად გათამაშებული კომბინაციის შემდეგ ედრისა სონკომ თავის გუნდს ქულა მოუტანა.

გათამაშების ცხრილს კვლავ ერთპიროვნულად ლიდერობს „ანდერლეხტი“, მას 6 ქულით „ბრიუგე“ ჩამორჩება.

მიუხედავად იმისა, რომ მომდევნო ადგილებზე გუნდები საკმაოდ მჭიდროდ განლაგდნენ, ჩემპიონობას „ანდერლეხტს“, ალბათ, მხოლოდ „ბრიუგე“ თუ შეეცილება, თუმცა მასაც უეჭველად გაუჭირდება.

ჩვენთვის მეტად საინტერესო გუნდი, გელა შეყილაძის „ლიერსი“ სტუმრად „მეხელენთან“ დამარცხდა 3:4.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ანდერლეხტი | 21 | 14 | 6 | 1 | 53:23 | 48 |
| ბრიუგე | 21 | 13 | 3 | 5 | 51:21 | 42 |
| სტანდარდი | 22 | 13 | 2 | 7 | 49:35 | 41 |
| გენკი | 22 | 11 | 6 | 5 | 47:31 | 39 |
| ლიერსი | 22 | 11 | 5 | 6 | 41:29 | 38 |
| მუსკრონი | 22 | 11 | 4 | 7 | 46:34 | 37 |
| გენტი | 22 | 12 | 1 | 9 | 55:44 | 37 |
| ბეერსხოტი | 21 | 10 | 5 | 6 | 38:32 | 35 |
| ვესტერლო | 22 | 9 | 6 | 7 | 44:46 | 33 |
| აალსტი | 22 | 9 | 2 | 11 | 41:43 | 29 |
| მეხელენი | 22 | 9 | 2 | 11 | 37:53 | 29 |
| ლოკერენი | 21 | 7 | 5 | 9 | 37:44 | 26 |
| ჰარელბეკე | 22 | 6 | 4 | 12 | 43:45 | 22 |
| ბევერენი | 22 | 5 | 6 | 11 | 32:47 | 21 |
| შარლერუა | 22 | 5 | 6 | 11 | 26:41 | 21 |
| სტ. ტრუიდენი | 22 | 5 | 4 | 13 | 22:45 | 19 |
| ბეელი | 22 | 2 | 9 | 11 | 16:40 | 15 |
| ლომელი | 22 | 1 | 10 | 11 | 22:47 | 13 |

## შოტლანდია

XXI ტური

**აბერდინი 2:1 სენტ ჯონსტონი**

0:1 ონილი (15), 1:1 სტავრუმი (22პ), 2:1 ვინტერსი (50)

**სელტიკი 2:3 ჰართსი**

1:0 მორავჩიკი (18), 2:0 ვიდუკა (28), 2:1 კ.კამერონი (32), 2:2 ნეისმიტი (55), 2:3 კ. კამერონი (81პ)

**მოზერუელი 0:3 დანდი**

0:1 რობერტსონი (49), 0:2 გ. რაე (66), 0:3 გრედი (90პ)

**ჰიბერნიანი 2:2 რეინჯერსი**

1:0 მილერი (49), 1:1 უოლესი (56), 2:1 მილერი (67), 2:2 მაკკენი (81)

**დანდი იუნ. — კილმარნოკი**

გადაიდო

სენსაცია — მხოლოდ ასე შეიძლება ვუწოდოთ 5 თებერვალს გლაზგოში, იქაურ „სელტიკსა“ და „ჰართსს“ შორის ჩატარებული შეხვედრის შედეგს, რადგან მსგავსი რამ ფეხბურთში იშვიათად თუ ხდება: აშკარა ფავორიტი მეტოქეს თავის მინდორზე უკვე 28-ე წუთზე 2:0 უგებს, ხოლო შემდეგ 60 ათასი ერთგული გულშემატკივრის თვალწინ 2:3 მარცხდება. არა, ეს სრულიადაც არ შეშვენის ისეთ სახელოვან გუნდს, როგორიც „სელტიკია“, მეტიც, სამარცხვინოა და გლაზგოელები ამის გამო ვინძლო მკაცრადაც დაისაჯონ...

პირველ 20 წუთში მასპინძლებმა რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი შექმნეს. აქედან ერთი გოლით დასრულდა — „სელტიკის“ სლოვაკმა ლეგიონერმა ლიუბომირ მორავჩიკმა დაახლოებით 18 მეტრიდან დაარტყა. 28-ე წუთზე ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირმა მარკ ვიდუკამ გამოიჩინა თავი, სტუმრებს მეორეც გაუტანა და მეგოლეთა დავაში 19 ბურთით საკმაოდ დაწინაურდა.

მეორე გოლის შემდეგ, ალბათ, უკვე „ჰართსის“ თავგადაკლულ ქომაგსაც აღარ სჯეროდა, რომ სტუმრები შეხვედრას თავიანთ სასიკეთოდ შემობრუნებდნენ, მაგრამ გუნდმა იმ დღეს მართლაც გმირობა ჩაიდინა და თითქმის შეუძლებელი შეძლო.

32-ე წუთზე „ჰართსს“ იმედის ნაპერწკალი ჩაესახა, კამერონის დარტყმით ერთი ბურთი გაქვითა.

მეორე ტაიმის მე-10 წუთზე კი „სელტიკის“ უპირატესობა გარი ნეისმიტმა საბოლოოდ გააქარწყლა, როცა მოხდენილი გოლით ანგარიში გაათანაბრა.

წარმოიდგინეთ „სელტიკ პარკზე“ შეკრებილი 60 ათასი „სელტიკის“ ქომაგის გაოცება, მაგრამ მთავარი მოულოდნელობა მათ ჯერ კიდევ წინ ელოდათ. 81-ე წუთზე მასპინძელთა კარში თერთმეტმეტრიანი დაინიშნა. პირველი გოლის ავტორმა კამერონმა პენალტი ზუსტად შეასრულა, თავისიანები დააწინაურა და მატჩის უდავო გმირიც შეიქმნა.

დარჩენილ 9 წუთში „სელტიკმა“ მთელი გუნდით შეუტია, მაგრამ ვეღარაფერი შეცვალა და სამარცხვინოდ დამარცხდა. შედეგად, თანაქალაქელ „რეინჯერსს“, რომელმაც „ჰიბერნიანთან“ ფრედ 2:2 ითამაშა, მთელი 10 ქულით ჩამორჩა და ჩემპიონობის იმედიც თითქმის გადაიწურა.



REUTERS

ჰიბერნიანი — რეინჯერსი 2:2. მასპინძელმა კენი მილერმა უკან ჩამოიტოვა გლაზგოელთა მეკარე შტეფან კლოსი და მცველი არტურ ნუმანი და სადაცაა კარში ბურთსაც შეაგორებს

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეინჯერსი | 20 | 16 | 3 | 1 | 56:16 | 51 |
| სელტიკი | 20 | 13 | 2 | 5 | 56:20 | 41 |
| დანდი იუნ. | 21 | 9 | 4 | 8 | 25:33 | 31 |
| მოზერუელი | 20 | 7 | 8 | 5 | 30:35 | 29 |
| ჰიბერნიანი | 22 | 6 | 9 | 7 | 34:37 | 27 |
| ჰართსი | 20 | 7 | 5 | 8 | 31:30 | 26 |
| დანდი | 20 | 7 | 2 | 11 | 24:30 | 23 |
| სტ. ჯონსტონი | 20 | 5 | 6 | 9 | 20:26 | 21 |
| აბერდინი | 21 | 4 | 4 | 13 | 23:62 | 16 |
| კილმარნოკი | 20 | 2 | 9 | 9 | 19:29 | 15 |

### თასის მეთერთმეტედფინალი

**კილმარნოკი 0:0 ალოა**

*გადათამაშება 8 თებერვალს, წყვილში გამარჯვებული მეოთხედფინალში შეხვდება „დანდი იუნაიტედს“*

## საფრანგეთი

XXV ტური

**პსჟ 0:0 ნანტი**

**ტრუა 0:2 სედანი**

0:1 დებლოკი (46), 0:2 კროსნიე (90)

**ლანსი 2:1 ოსერი**

1:0 დაკურტი (45), 1:1 კაპო (56), 2:1 დაკურტი (76)

**ბასტია 4:0 სენტ ეტიენი**

1:0 ლაშუერი (40), 2:0 ნე (62), 3:0 სვიერჩევსკი (75), 4:0 ნე (85)

**რენი 3:1 ნანსი**

1:0 სომეილი (56), 1:1 ზე ალჩინო (70), 2:1, 3:1 ნონდა (72, 90)

**ბორდო 3:0 სტრასბური**

1:0 ზიანი (3), 2:0 მიკუ (32), 3:0 ლასლანდი (90)

**მონპელიე 0:0 ლე ავრი**

**მეცი 2:0 მარსელი**

1:0 ბოფინი (29), 2:0 ბატიკლი (86)

**ლიონი 2:1 მონაკო**

1:0 ანდერსონი (6), 2:0 ვერელი (23), 2:1 ტრეზეგე (38)

ჩემპიონატის მორიგი, 25-ე ტურის ცენტრალური შეხვედრა ლიონში ჩატარდა. იქაურმა „ოლიმპიკმა“ გათამაშების ერთპიროვნულ ლიდერ „მონაკოს“ უმასპინძლა და მოუგო. აღსანიშნავია, რომ კლუბმა წლეულს პირველად გაიმარჯვა, შედეგად პსჟ-სა და „ოსერის“ მსგავსად 42 ქულა დააგროვა, მათ მხოლოდ გატანილ-გაშვებული ბურთების სხვაობით ჩამორჩება.

„მონაკო“ კი შარშანდელი დეკემბრის შუა რიცხვების შემდეგ პირველად დამარცხდა.

მასპინძლები შეხვედრის დებიუტშივე დაწინაურდნენ. ბრაზილიელმა სონი ანდერსონმა მიმდინარე სეზონში თავისი მე-17 გოლი გაიტანა და ჩემპიონატის ბომბარდირთა დავაში ერთპიროვნულად დაწინაურდა. თავის გამოჩენა და დუბლის შესრულება რამდენიმე წუთის შემდეგაც შეეძლო, მაგრამ მისი დარტყმული პენალტი „მონაკოს“ მეკარემ ფაბიენ ბარტეზმა მოიგერია.

ორბურთიანი უპირატესობა „ლიონმა“ მაინც მოიპოვა. 23-ე წუთზე ტონი ვერელმა მეტოქე მცველებს ორთაბრძოლაში აჯობა და გოლი გაიტანა.

„მონაკომ“ ერთი ბურთის გაქვითვა პირველი ტაიმის დასასრულამდე 7 წუთით ადრე მოახერხა. ეს მსოფლიოს ჩემპიონმა, მონაკოელმა დავიდ ტრეზეგემ გააკეთა.

მეორე ნახევარში ანგარიში აღარ შეცვლილა. აღსანიშნავია, რომ 51-ე წუთზე ლიონელი სონი ანდერსონი უხეშობისთვის მოედნიდან გააძევეს, რითაც „მონაკოს“ შეხვედრის გადარჩენის ჩინებული შესაძლებლობა მიეცა, მაგრამ სტუმრებმა გოლი ვეღარ გაიტანეს და საბოლოოდ დამარცხდნენ.

ჩემპიონობის კიდევ ერთ პრეტენდენტ პსჟ-ს „მონაკოსთან“ ქულათა სხვაობის შემცირების კარგი შანსი ჰქონდა. პარიზელებმა მშობლიურ „პარკ დე პრენსის“ სტადიონზე „ნანტს“ უმასპინძლეს. „ნანტს“, რომელსაც თავისი საუკეთესო დღეები ნამდვილად არ უდგას, ცხრილის ქვედა საფეხურზე იმყოფება და გასავარდნ ზონას ერთი ნაბიჯიღა აშორებს.

თუმცა, როგორც ჩანს, პსჟ-მ მთელი ძალა „მონაკოსთან“ წინა ტურის შეხვედრას შეალია და ოთხი დღის შემდეგ „ნანტის“ დამარცხება ვეღარ შეძლო — 0:0. მატჩის შემდეგ პარიზელთა მწვრთნელმა ფილიპ ბერჟეროომ აღიარა: „რამდენიმე დღის წინ „მონაკოსთან“ წაგებამ გუნდზე როგორც ფსიქოლოგიური, ისე ფიზიკური მომზადების თვალსაზრისით უარყოფითად იმოქმედა. ეს ყოველივე „ნანტთან“ საშინაო შეხვედრაში გამოჩნდა. ჩემპიონობისთვის ბრძოლა უკვე გაგვიძნელდება, „მონაკოს“ მთელი 10 ქულით ჩამოვრჩებით, ჩემპიონთა ლიგაში მოსახვედრად კი აუცილებლად ვიბრძოლებთ“ — განაცხადა პსჟ-ს თავკაცმა.

პსჟ-ს კიდევ ერთი კონკურენტი „ოსერი“ საკმაოდ მოულოდნელად დამარცხდა „ლანსთან“ 1:2 და ქარს გაატანა შესაძლებლობა, პარიზული კლუბისთვის გადაესწრო.

მორიგი ტური მარსელის „ოლიმპიკისთვისაც“ წარუმატებელი გამოდგა. მარსელელები სტუმრად „მეცთან“ 0:2 დამარცხდნენ, რითაც სატურნირო მდგომარეობა კიდევ უფრო გაიუარესეს. აღსანიშნავია, რომ პირველი ტაიმის მიწურულს „მარსელს“ ორი გაფრთხილების გამო მეკარე სტეფან პორატო გაუძევეს.



REUTERS

ლანსი — ოსერი 2:1. ლანსელი ოლივიე დაკურტი (მარცხნივ) ოსერელი სირილ მანიეს წინააღმდეგ

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მონაკო | 25 | 16 | 4 | 5 | 51:22 | 52 |
| პსჟ | 25 | 12 | 6 | 7 | 37:28 | 42 |
| ოსერი | 25 | 12 | 6 | 7 | 30:25 | 42 |
| ლიონი | 25 | 12 | 6 | 7 | 32:28 | 42 |
| სედანი | 25 | 11 | 5 | 9 | 34:33 | 38 |
| ბორდო | 25 | 9 | 8 | 8 | 37:34 | 35 |
| ბასტია | 25 | 8 | 10 | 7 | 32:26 | 34 |
| მეცი | 25 | 7 | 13 | 5 | 31:25 | 34 |
| რენი | 25 | 9 | 7 | 9 | 33:32 | 34 |
| ლანსი | 25 | 9 | 6 | 10 | 26:28 | 33 |
| მარსელი | 25 | 7 | 11 | 7 | 30:29 | 32 |
| სენტ ეტიენი | 25 | 8 | 6 | 11 | 32:38 | 30 |
| სტრასბური | 25 | 8 | 6 | 11 | 29:39 | 30 |
| ნანსი | 25 | 8 | 5 | 12 | 30:34 | 29 |
| ნანტი | 25 | 8 | 5 | 12 | 26:30 | 29 |
| ტრუა | 25 | 9 | 2 | 14 | 26:42 | 29 |
| ლე ავრი | 25 | 7 | 7 | 11 | 23:37 | 28 |
| მონპელიე | 25 | 5 | 7 | 13 | 25:34 | 22 |

### მეორე დივიზიონი

26-ე ტური. ლე მანი — გენიონი 1:1; აიაჩო — ნიმი 2:1; კრეტეი — ნიცა 0:0; კანი — ვალანსი 0:0; კაენი — ლორიანი 1:2; ნიორი — სოშო 2:1; ვასკეალი — ლილი 2:1; ტულუზი — ამიენი 2:0; ლუანი — გენგამი 0:0; შატორუ — ლავალი 3:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლილი | 26 | 19 | 3 | 4 | 38:15 | 60 |
| ტულუზი | 26 | 14 | 6 | 6 | 41:17 | 48 |
| გენგამი | 26 | 12 | 8 | 6 | 45:32 | 44 |
| ლე მანი | 26 | 10 | 11 | 5 | 33:26 | 41 |
| კაენი | 26 | 9 | 13 | 4 | 32:19 | 40 |
| ლავალი | 26 | 9 | 10 | 7 | 29:27 | 37 |
| აიაჩო | 26 | 11 | 4 | 11 | 26:28 | 37 |
| ნიმი | 26 | 9 | 8 | 9 | 32:30 | 35 |
| გენიონი | 26 | 7 | 13 | 6 | 30:25 | 34 |
| სოშო | 26 | 9 | 6 | 11 | 29:32 | 33 |
| კანი | 26 | 8 | 9 | 9 | 20:23 | 33 |
| ლორიანი | 26 | 9 | 6 | 11 | 23:27 | 33 |
| კრეტეი | 26 | 8 | 8 | 10 | 24:29 | 32 |
| ნიცა | 26 | 5 | 16 | 5 | 18:22 | 31 |
| ნიორი | 26 | 6 | 12 | 8 | 24:30 | 30 |
| შატორუ | 26 | 7 | 9 | 10 | 25:32 | 30 |
| ვასკეალი | 26 | 5 | 11 | 10 | 19:27 | 26 |
| ამიენი | 26 | 4 | 13 | 9 | 20:28 | 25 |
| ლუანი | 26 | 4 | 8 | 14 | 21:43 | 20 |
| ვალანსი | 26 | 2 | 12 | 12 | 21:38 | 18 |

## ჰოლანდია

XXI ტური

**უტრეხტი 2:0 მაასტრიხტი**
1:0 რობემონდი (2), 2:0 რ.კაირო (18)

**ჰერენვენი 3:0 ალკმარი**
1:0 ტალანი (32), 2:0 პოპოვიჩი (64), 3:0 ლურლინგი (78)

**ნაიმეგენი 2:3 გრააფსხაპი**
0:1 დენ ტურკი (7), 0:2 ფუქსი (12), 1:2 ოსტერჰოფი (41), 2:2 რეინფარმი (60), 2:3 აქსი (79)

**ტილბურგი 1:1 ტვენტე**
1:0 შულპი (6), 1:1 ტერ ავესტი (66)

**სპარტა 1:1 ვიტესი**
1:0 ნილსენი (8), 1:1 ვ. სიკორა (68)

**აიაქსი 3:1 კამბური**
1:0 მახლასი (7), 2:0 ლუნტიენსი (10ს.კ.), 3:0 ლაუდრუპი (15), 3:1 შარენბურგი (48)

**დენ ბოსხი 2:6 პსვ**
1:0 ვრე (9), 1:1, 1:2 ნილისი (13, 29), 1:3 ვან ნისტელროოი (30), 1:4 ნიკიფოროვი (50), 2:4 ვრე (63), 2:5, 2:6 ბრუგინკი (66, 80)

**ვალვაიკი 0:3 სიტარდი**
0:1 გერიტსენი (23), 0:2 ვოლმერი (30), 0:3 ამოა (44)

**ფეიენოორდი 2:1 როდა**
0:1 ვან დესელი (13), 1:1 დალ ტომასონი (36), 2:1 ე. კაირო (75)

ჰოლანდიაში, როგორც წესი, ლიდერთა და აუტსაიდერთა მატჩები არასაფეხბურთო ანგარიშით მთავრდება. ტრადიციას არც პსვ-მ უღალატა და „დენ ბოსხს" 6:2 მოუგო. მასპინძელთაგან კრისტოფ ვრემ ისახელა თავი. „არსენალიდან" იჯარით აყვანილ ფეხბურთელს კვირას სადებიუტო მატჩი ჰქონდა და ორივე გოლი მის ანგარიშზეა. თუმცა ეინდჰოვენელებმა ვრეს ახალ კლუბში გადასვლა მწარედ დაამახსოვრეს. „დენ ბოსხის" განადგურება ლუკ ნილისმა დაიწყო და ვრეს მსგავსად ორი გოლი შეაგდო. ნილისს ჩემპიონატის ბომბარდირმა რუუდ ვან ნისტელროოიმაც აუბა მხარი და მეტოქის კარი ერთხელ დალაშქრა. მეორე ტაიმში სტუმრებმა კიდევ სამჯერ გაიტანეს. ჯერ რუსმა იური ნიკიფოროვმა იხეირა, შემდეგ არნოლდ ბრუგინკმა მეხუთე და მეექვსე გოლები მიითვალა. ამ გამარჯვებით ფილიპსელები გათამაშების ცხრილს ოთხქულიანი უპირატესობით ლიდერობენ. თუმცა „აიაქსს" ერთი შეხვედრა მარაგში აქვს და გამარჯვების შემთხვევაში სხვაობის მინიმუმამდე დაყვანა შეუძლია.

შოთა არველაძის თანაგუნდელებმა იმავე დღეს „კამბურს" სძლიეს. ანგარიში მე-7 წუთზე „აიაქსის" ახალმა ბომბარდირმა ბერძენმა მახლასმა გახსნა. სამიოდე წუთში ამსტერდამელებს რობერტ ლუნტიენსმა გაუადვილა საქმე, რომელმაც საკუთარ კარში შეაგდო. მატჩის ბედი მეთხუთმეტე წუთისთვის საბოლოოდ გაირკვა, როდესაც ბრაიან ლაუდრუპმა მესამე გაიტანა.

რამდენიმე დღის წინ პსვ-ს ძლევით ფრთაშესხმულმა ფეიენოორდელებმა ამჯერად „როდას" სძლიეს და მეოთხე ადგილზე არიან.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პსვ | 20 | 14 | 2 | 4 | 61:17 | 44 |
| ჰერენვენი | 20 | 13 | 2 | 5 | 39:20 | 41 |
| აიაქსი | 19 | 12 | 4 | 3 | 51:26 | 40 |
| ფეიენოორდი | 19 | 11 | 6 | 2 | 36:19 | 39 |
| ვიტესი | 21 | 11 | 6 | 4 | 40:29 | 39 |
| ტვენტე | 19 | 10 | 7 | 2 | 35:19 | 37 |
| ალკმარი | 20 | 10 | 2 | 8 | 37:35 | 32 |
| ვალვაიკი | 20 | 10 | 2 | 8 | 31:38 | 32 |
| ტილბურგი | 19 | 9 | 4 | 6 | 31:34 | 31 |
| როდა | 19 | 9 | 3 | 7 | 30:25 | 30 |
| უტრეხტი | 19 | 8 | 1 | 10 | 30:35 | 25 |
| გრააფსხაპი | 21 | 4 | 8 | 9 | 25:34 | 20 |
| სპარტა | 19 | 6 | 2 | 11 | 28:40 | 20 |
| ნაიმეგენი | 19 | 4 | 4 | 11 | 23:38 | 16 |
| სიტარდი | 19 | 3 | 5 | 11 | 23:33 | 14 |
| მაასტრიხტი | 20 | 3 | 4 | 13 | 25:45 | 13 |
| კამბური | 19 | 2 | 4 | 13 | 17:41 | 10 |
| დენ ბოსხი | 20 | 2 | 4 | 14 | 20:54 | 10 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ვან ნისტელროოი (პსვ) | 23 |
| ვან ჰოიდონკი (ვიტესი) | 18 |

## პორტუგალია

XX ტური

**ბელენენსეში 1:1 ბოავიშტა**
1:0 მარიო სილვა (43 ს.კ.), 1:1 მონტანინი (45)

**მარიტიმუ 1:0 სეტუბალი**
1:0 პ. იოკანოვიჩი (27პ)

**კამპომაიორენსე 0:0 ალვერკა**

**პორტუ 3:0 ბრაგა**
1:0 ნუნო კაპუჩო (26), 2:0 ჩაინიო (55), 3:0 ჟარდელი (90)

**სპორტინგი 3:0 ფარენსე**
1:0 ალბერტო აკოსტა (10), 1:1 კუინზინიო სილვა (37), 2:1 ბეტო სევერო (58), 3:1 ალბერტო აკოსტა (74)

**ლეირია 1:1 ჟილ ვისენტე**
0:1 პედრო სანტუში (53), 1:1 დერლეი სილვა (73)

**სალგეირუში 1:1 რიუ ავე**
0:1 უგო ენრიკე (12), 1:1 რენატო სილვა (63)

**ბენფიკა 1:0 სანტა კლარა**
1:0 ნუნუ გომეში (55)

**გიმარაეში 1:0 ამადორა**
1:0 დალსოტო (65)

ჩემპიონატის ლიდერი ოთხეულიდან მორიგ, მე-20 ტურში, ოთხივემ გაიმარჯვა, ამიტომ ცხრილის საწყის პოზიციებზე ცვლილებები არ არის.

საკმაოდ იოლ გამარჯვებას მიაღწია ლიდერმა „პორტუმ", რომელმაც ცხრილის შუაადგილოსან „ბრაგას" უმასპინძლა და 3:0 დაამარცხა, 47 ქულა დააგროვა და უახლოეს მდევარ ლისაბონის „სპორტინგს" კვლავ ერთი ქულით უსწრებს.

„პორტუს" ბრაზილიელმა ფორვარდმა მარიო ჟარდელმა, რომელსაც უკანასკნელ სამ შეხვედრაში გოლი არ გაეტანა, გამოიჩინა თავი. ჟარდელს 27 გოლი დაუგროვდა და ჩემპიონატის ბომბარდირთა დავას კვლავ ერთპიროვნულად ლიდერობს. მანამდე კი ანგარიში 26-ე წუთზე პორტუელებმა გახსნეს. ნუნო კაპუჩომ „ბრაგას" მეკარე კიმ სილვას საკმაოდ ეფექტური გოლი გაუტანა და თავისიანები დააწინაურა. მასპინძლებმა ორბურთიანი უპირატესობა მეორე ტაიმის მე-10 წუთზე მოიპოვეს. კუთხურიდან ჩაწოდებულ ბურთს ჩაინიომ პოზიცია ზუსტად შეურჩია და თავით კარში გადაგზავნა. მესამე გოლი კი, როგორც მოგახსენეთ, მარიო ჟარდელმა გაიტანა.

„სპორტინგი" — „ფარენსეს" შეხვედრაში მასპინძლები მე-10 წუთზე ალბერტო აკოსტამ დააწინაურა. ამის შემდეგ, 37-ე წუთზე, „ფარენსეს" ანგოლელმა ფორვარდმა კუინზინიო სილვამ ლისაბონელთა მეკარე პეტერ შმაიხელს საკმაოდ ლამაზი გოლი გაუტანა და თავისი დებიუტი ამგვარად აღნიშნა, თუმცა სტუმრებმა ანგარიშის შენარჩუნება ვერ მოახერხეს და საბოლოოდ 1:3 დამარცხდნენ.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 20 | 14 | 5 | 1 | 42:9 | 47 |
| სპორტინგი | 20 | 14 | 4 | 2 | 37:17 | 46 |
| ბენფიკა | 20 | 12 | 5 | 3 | 27:13 | 41 |
| გიმარაეში | 20 | 11 | 4 | 5 | 33:21 | 37 |
| ბოავიშტა | 20 | 10 | 4 | 6 | 22:16 | 34 |
| მარიტიმუ | 20 | 9 | 6 | 5 | 23:15 | 33 |
| ბელენენსეში | 20 | 6 | 10 | 4 | 23:17 | 28 |
| ჟილ ვისენტე | 20 | 7 | 6 | 7 | 24:22 | 27 |
| ამადორა | 20 | 6 | 8 | 6 | 21:21 | 26 |
| ალვერკა | 20 | 7 | 4 | 9 | 22:27 | 25 |
| ბრაგა | 20 | 6 | 3 | 11 | 22:29 | 21 |
| რიუ ავე | 20 | 5 | 6 | 9 | 22:30 | 21 |
| კამპომაიორ. | 20 | 5 | 6 | 9 | 17:26 | 21 |
| სალგეირუში | 20 | 6 | 3 | 11 | 16:26 | 21 |
| ლეირია | 20 | 3 | 8 | 9 | 17:25 | 17 |
| ფარენსე | 20 | 3 | 8 | 9 | 15:37 | 17 |
| სანტა კლარა | 20 | 3 | 7 | 10 | 21:31 | 16 |
| სეტუბალი | 20 | 2 | 5 | 13 | 13:35 | 11 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ჟარდელი (პორტუ) | 27 |
| ალბერტო აკოსტა (სპორტინგი) | 13 |
| დალსოტო (გიმარაეში) | 12 |



იყიდება
როტვეილერის
ლეკვები
☎ 39 42 65
დარეკეთ 12-დან 17 საათამდე


GhanaNigeria2000

## აფრიკის თასი

განანიგერია-22იანვარი13თებერვალი

### მეოთხედფინალი

**კამერუნი 2:1 ალჟირი**
1:0 ეტოო (8), 2:0 ფოე (24), 2:1 ტასფაუ (79)
კამერუნი: ალიუმი, სონგი, კალა, ნჯანკა, ფოე, ჯერემი, ლორენი, ოლემბე, ჩუტანგი (ნდო 72), მბომა (ნდიეფი 62), ეტოო (დეზირე ჟობი 62)
ალჟირი: ბენაბდელაჰი, მამუნი, ბენჰამლატი (ჰადუ 46), არმუში, კრაუში, ჯირი, ტასფაუ, საიბი, მეფტაჰი, ჯაზი (მეზუარი 66), მუსუნი (საიფი 51)

**განა 0:1 სამხრეთ აფრიკა**
0:1 ნომვეტე (42)
განა: კინგსტონი, დუგბარტი, ე. კუფური (კენედი 75), ს. კუფური, ჯონსონი, გიანი, ო. ადო (ოფორი კუაე 46), ედუსეი, აკონორი (აპია 53), პრეკო, აევუ
სამხრეთ აფრიკა: არენდსე, რადებე, ფიში, ისა, ტინკლერი, ნგობე, მოშოუ, მკალელე, ფორჩუნი, ბარტლეტი, ნომვეტე (ნდლანია 85)

აფრიკის თასზე ჯგუფური ეტაპი დასრულდა და მეოთხედფინალები დაიწყო. პირველივე წყვილი ისეთმა გუნდებმა შეადგინეს, რომლებიც შეჯიბრის ფავორიტებად ითვლებოდნენ. ახლა კი ერთ-ერთს ტურნირი ნაადრევად უნდა დაეტოვებინა. ეს განა აღმოჩნდა. გათამაშების თანამასპინძლებმა ცუდი სტარტი აიღეს. ჯგუფში კოტ დივუართან დამარცხების შემდეგ განელები მეორე ადგილზე, ისიც ბურთების უკეთესი შეფარდების წყალობით გავიდნენ. ამიტომაც განა მეოთხედფინალში B ჯგუფის გამარჯვებულ სამხრეთ აფრიკას გადაეყარა.

ტურნირის ბომბარდირმა შონ ბარტლეტმა, ვისაც წინა შეხვედრებში მინდორი უგოლოდ არ დაეტოვებინა, ამჯერად ვერ შეაგდო. მაგრამ დიდია ციურიხელის წვლილი გამარჯვებაში. ერთადერთი გოლი სიაბონგა ნომვეტმა სწორედ ბარტლეტის უზუსტესი პასით შეაგდო. ეს 42-ე წუთზე მოხდა. ნომვეტი კიდევ რამდენჯერმე იყო მიზანთან ახლოს, მაგრამ ანგარიში აღარ შეცვლილა.

განელები თამაშის გადარჩენას ცდილობდნენ. მათ ტუნისელი მსაჯის, მურად დაამის გადაწყვეტილებაც დაეხმარა, რომელმაც სამხრეთაფრიკელი ერიკ ტინკლერი მინდვრიდან გააძევა. კაცნაკლულმა სამხრეთელებმა გამლეს. კარგად ირჯებოდა მათი მეკარე ანდრე არენდსე. მას რამდენიმე უხერხულად დარტყმულის მოგერიება მოუხდა. განელთაგან ყველაზე კარგი შანსი ბაიერნელ სამუელ კუფურს ჰქონდა, როდესაც 49-ე წუთზე ბურთი ძელს გაარტყა.

განამ აფრიკის თასის მეხუთედ მოგების შესაძლებლობა დაკარგა. ნაკრების იტალიელი მწვრთნელი, 1982 წლის მსოფლიოს ჩემპიონი ჯუზეპე დოსენა კი... შეჯიბრის დაწყების წინ დოსენა აცხადებდა, ჩემპიონები გავხდებითო. კოტდივუარელებთან მარცხის შემდეგ იტალიელს მობოდიშება მოუხდა და პირობა დადო, წაგების მიზეზებს გავაანალიზებო. დღეს ამას აზრი აღარ აქვს — ჯუზეპე დოსენა ნაკრების მწვრთნელობიდან გაათავისუფლეს.

სამხრეთ აფრიკას ნახევარფინალში ნიგერია — სენეგალის წყვილში გამარჯვებულთან მოუწევს თამაში.

მეორე მეოთხედფინალური მატჩი განას დედაქალაქ აკრაში ჩატარდა. შეხვედრის შემდეგ ალჟირის ნაკრების მწვრთნელის თანაშემწე აბდელჰანინ ჟადაუს უთქვამს: „მსაჯობით უკმაყოფილონი ვართ. არბიტრს პირველ ტაიმში რომ პრინციპულობა გამოეჩინა, იქნებ სულ სხვა შედეგი დაფიქსირებულიყო". ალჟირელის სიტყვები საფუძველმოკლებული არ არის. პირველ ტაიმში კამერუნელთა ლივერპულელმა მცველმა რიგობერტ სონგმა აბდელაზიზ ბენჰამლატს ორივე ფეხი გამეტებით ჩაარტყა. აღსანიშნავია, რომ აქამდე სონგს მსგავსი არასპორტული საქციელი მსოფლიოს ჩემპიონატებზე ორჯერ ჩაუდენია და ორჯერვე გააძევეს. ამჯერად იოლად გადარჩა. არბიტრმა მისთვის ყვითელი ბარათიც ვერ „გაიმეტა". ამ ეპიზოდში დაზარალებული ბენჰამლატი კი მოგვიანებით მეტოქის მაისურაზე მოქაჩვაში ამხილეს და გააფრთხილეს.

კამერუნელებმა პირველივე წუთებიდან შეუტიეს. მათ მცდელობას მე-8 წუთზე რეალელი სამუელ ეტოოს, ხოლო 24-ეზე ვესტჰემელი მარკ ვივიენ ფოეს გოლები მოჰყვა. ეტოომ კალიარელი პატრიკ მბომას ჩაწოდებული ბურთი მიიღო და კარისკენ შემობრუნებით დაარტყა. მეორე შემთხვევაში ფოეს ასისტენტობა როდელმა ბერნარ ჩუტანგმა გაუწია. ის მეტოქის საჯარიმოს მიუახლოვდა და შორეულ ძელთან უმეთვალყურეოდ მიტოვებული თანაგუნდელი შენიშნა. დანარჩენი ტექნიკის საქმე იყო. ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, თითქოს კამერუნელ „ლომებს" ალჟირელი „უდაბნოს მელიების" ძლევა არ უნდა გასჭირვებოდათ. ორბურთიანი უპირატესობაც ამას მოწმობდა. ჩინებული შანსი გაუშვა ხელიდან სალომონ ოლემბემ. მან არცთუ შორიდან ცარიელ კარში ვერ გაიტანა.

მეორე ტაიმში ალჟირელები გონს მოეგნენ. მათი თამაში უფრო ორგანიზებული გახდა, შეტევები — სახიფათო. 79-ე წუთზე ტურნირზე პირველად გამოსულმა ბრაჰიმ მეზუარმა უძლიერესი თავურით სხვაობა ერთ ბურთამდე შეამცირა. კიდევ რამდენიმე წუთიც და აბდელჰაფიდ ტასფაუს გათანაბრებაც შეეძლო — მან ახლო მანძილიდან ააცილა.

მსაჯის საფინალო სასტვენის შემდეგ კამერუნელებმა შვებით ამოისუნთქეს. ისინი ნახევარფინალში გავიდნენ, სადაც ეგვიპტე—ტუნისის წყვილში გამარჯვებულს შეხვდებიან.

**გიორგი დარჯანია**



განა — ს. აფრიკა 0:1. ს. აფრიკელი სიაბონგა ნომვეტე (№17) განელი კვამე აევუს წინააღმდეგ

### სან პაულუს ტურნირი

A ჯგუფი

**სან პაულუ 2:5 ფლამენგო**
**ბოტაფოგო 0:2 სანტოსი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სან პაულუ | 5 | 4 | 0 | 1 | 13:10 | 12 |
| ბოტაფოგო | 5 | 2 | 1 | 2 | 9:8 | 7 |
| ფლამენგო | 5 | 1 | 2 | 2 | 10:9 | 5 |
| სანტოსი | 5 | 1 | 1 | 3 | 5:10 | 4 |

B ჯგუფი

**ფლუმინენსე 0:1 კორინთიანსი**
**პალმეირასი 2:1 ვასკუ და გამა**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პალმეირასი | 4 | 2 | 1 | 1 | 12:8 | 7 |
| ვასკუ და გამა | 4 | 2 | 1 | 1 | 7:6 | 7 |
| კორინთიანსი | 4 | 2 | 0 | 2 | 3:3 | 6 |
| ფლუმინენსე | 4 | 1 | 0 | 3 | 4:9 | 3 |

### მალტის ტურნირი

I ტური

**ალბანეთი 3:0 ანდორა**
1:0 რეზარტი (63 პ), 2:0 ვატა (86), 3:0 დზირა (90)

**მალტა 3:0 აზერბაიჯანი**
1:0 ბუტიგეგი (31), 2:0, 3:0 აგიუსი (55, 90)

### ჩრდილოეთის თასი

II ტური

**ნორვეგია 1:1 შვედეთი**
1:0 კარეუ (83), 1:1 ა. ანდერსონი (86პ)

**ისლანდია 3:2 ფარერები**
0:1 მორკორე (20), 0:2 იონსონი (37), 1:2, 2:2 დადასონი (40, 56), 3:2 გუნლაუგსონი (65)

**დანია 1:2 ფინეთი**
0:1 ვასარა (33), 1:1 პ. მიოლერი (71), 1:2 ვასარა (89)


სარბიელის საერთაშორისო სატელეფონო კავშირს
უზრუნველყოფს კომპანია საქტელეკომ პლუსი
☎ 99 67 67, 98 30 20


### სიდნეის ოლიმპიადის შესარჩევი ტურნირი

II ტური. 4 თებერვალი

**ბრაზილია 3:1 ჩილე**
0:1 ტაპია (15), 1:1 ატირსონი (31), 2:1 რონალდინიო (46), 3:1 ბაიანო (60)

**არგენტინა 3:0 ურუგვაი**
1:0 სკალონი (56), 2:0, 3:0 მესერა (64, 79)

III ტური. 6 თებერვალი

**ჩილე 1:0 არგენტინა**
1:0 ნავია (81)

**ბრაზილია 2:2 ურუგვაი**
1:0 ბილიკა (5), 1:1 რისო (48), 1:2 ვარელა (50), 2:2 ფაბიო ჟუნიორი (87)

საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრაზილია | 3 | 2 | 1 | 0 | 9:5 | 7 |
| ჩილე | 3 | 2 | 0 | 1 | 6:4 | 6 |
| არგენტინა | 3 | 1 | 0 | 2 | 5:5 | 3 |
| ურუგვაი | 3 | 0 | 1 | 2 | 3:9 | 1 |

*ბრაზილიამ და ჩილემ მოიპოვეს სიდნეის ოლიმპიადის საგზური*

REUTERS ჰაგანიდან



დიეგო მარადონა კუბელ ფეხბურთელებს ესალმება

# ფეხბურთი დედას ჰგავს

## ღმერთო, უშველე დიეგო მარადონას

გასუქებული, გაუპარსავი, მზის სათვალიანი, თმაყვითლადგადალებილი, ნაგენიოსარი არგენტინელი ფეხბურთელყოფილი, 39 წლის დიეგო მარადონა, რომელიც კუბაზე ნარკომანიას მკურნალობს, თავისუფლების კუნძულის თასის ფინალურ მატჩზე გამოჩნდა და ბურთს ფეხი გაჰკრა.

„ძალიან ვამაყობ, რომ აქ, ამ სტადიონზე, გახლავართ და თავს კუბური ფეხბურთის ნაწილად ალვიქვამ“ — განაცხადა 1986 წლის მსოფლიოს ჩემპიონმა ტანად ლურჯი მაისურა, შორტი და ჩოგბურთელის ფეხსაცმელი რომ ემოსა.

სტადიონზე მისულ დიდ დიეგოს მამა ჩიტორო, იგივე დიეგო ახლდა. ბურთს რომ ფეხი გაჰკრა, მარადონამ ტრიბუნაზე გადაინაცვლა და იქიდან უცქირა, როგორ მოუგო „პინარ დელ რიომ“ „ჰავანა სიტის“ 2:1.

მოთვალთვალეთა გადმოცემით, ოდესღაც უსწრაფესი, უტექნიკურესი, უმოაზროვნესი ვარსკვლავი გულდასაწყვეტად შეცვლილი ჩანდა. კევის ღეჭვა-ღეჭვით მარადონამ ღიპთახთახიანი გამუნძულებაღა შეძლო და ვერ დაემალა ჟურნალისტებს, რეპორტიორებს და ტელეოპერატორებს, რომლებიც მოედნისკენ არც იყურებოდნენ. ათასობით კუბელმა ქომაგმა ოვაცია მოუწყო.

„გამეცალეთ გზიდან“ — ჩაიბურტყუნა საყოველთაო ინტერესის ობიექტმა და ორი ხელით ჟესტიკულირება წამოიწყო.

ასეთი გახლდათ დიეგოს იშვიათზე იშვიათი სახალხო გამოჩენათაგანი კუბის ერთ-ერთ სამკურნალო კომპლექსში გადაბარგების შემდეგ.

მარადონას, ამასწინათ, მის მეგობრად აღიარებულმა, სათაყვანებელმა, კომუნისტური ქვეყნის ერთპიროვნულმა მმართველმა ფიდელ კასტრომ კოტეჯში მიაკითხა და მოიკითხა. კომანდანტეს არგენტინელმა პირობა დაუდო, კუბაზე, სადაც სპორტის მთავარი სახეობა ბეისბოლია, ფეხბურთის განვითარებას ღონეს არ დავაკლებო.

„ვიცი, ბეისბოლის მეოხენი ბურთებს დამიშენენ, მაგრამ ჩემსას არ მოვიშლი, შევეცდები კუნძულის უპოპულარულეს სახეობად ფეხბურთი ვაქციო“ — განუცხადა დიეგომ კუბელ სპორტულ ჩინოსნებსა და სპორტსმენებს.

იმავე საღამოს მარადონამ სევდიანად თქვა, კიდევ ვითამაშებდი საამისოდ ძლიერ ავად რომ არ ვიყოო.

„ფეხბურთის სიყვარული დედისას ჰგავს, მაგრამ გულთან დაკავშირებული პრობლემები ვერ მომიშორებია. ბურთს რომ ვხედავ თამაში მინდება, ვერ წარმოიდგენთ რას განვიცდი, თუმცა ჯერჯერობით ექიმები არ მრთავენ ბურთაობის ნებას“ — თქვა მან.

ნევროლოგების, კარდიოლოგების და სხვადასხვოლოგების დასკვნით დიდი დიეგო სამკურნალო კომპლექსში სულ მცირე სამი თვით მაინც უნდა დარჩეს.

### თურქეთი

მე-19 ტური. სამსუნი — ბეშიქთაში 0:2; გენჩლერბირლიგი — დენიზლი 3:1; ბურსა — ისთანბული 1:0; ქოჯაელი — ფენერბაჰჩე 1:1; ერზურუმი — ვანი 2:0; ანთალია — გაზიანთეფი 0:0; გიოზთეფე — ალთაი 0:1; ადანა — ანკარაგიუჯიუ 2:2; გალათასარაი — ტრაბზონი 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გალათასარაი | 19 | 15 | 3 | 1 | 39:14 | 48 |
| ბეშიქთაში | 19 | 11 | 4 | 4 | 36:12 | 37 |
| ფენერბაჰჩე | 19 | 8 | 9 | 2 | 32:20 | 33 |
| გაზიანთეფი | 19 | 8 | 7 | 4 | 24:14 | 31 |
| დენიზლი | 19 | 8 | 6 | 5 | 32:29 | 30 |
| ალთაი | 19 | 8 | 4 | 7 | 25:21 | 28 |
| ადანა | 19 | 7 | 5 | 7 | 25:25 | 26 |
| გენჩლერბირ. | 19 | 7 | 5 | 7 | 23:28 | 26 |
| ანთალია | 19 | 7 | 5 | 7 | 24:31 | 26 |
| ტრაბზონი | 19 | 6 | 7 | 6 | 23:21 | 25 |
| ერზურუმი | 19 | 7 | 4 | 8 | 24:30 | 25 |
| სამსუნი | 19 | 7 | 3 | 9 | 22:25 | 24 |
| ანკარაგიუჯიუ | 19 | 6 | 5 | 8 | 28:33 | 23 |
| ბურსა | 19 | 6 | 4 | 9 | 24:27 | 22 |
| ისთანბული | 19 | 4 | 8 | 7 | 19:25 | 20 |
| გიოზთეფე | 19 | 4 | 5 | 10 | 15:26 | 17 |
| ქოჯაელი | 19 | 4 | 4 | 11 | 21:38 | 16 |
| ვანი | 19 | 3 | 4 | 12 | 19:35 | 13 |

### საბერძნეთი

მე-18 ტური. აეკ — პაოკ 2:0; ტრიკალა — პანათინაიკოსი 1:3; არისი — ქსანტი 0:1; ოფი — კალამატა 3:2; პანილიაკოსი — პანიონიოსი 3:0; იონიკოსი — პანაჰაიკი 0:0; კავალა — ეთნიკოსი 2:0; ოლიმპიაკოსი — პრუდეფტიკი 4:0; აპოლონი — ირაკლისი 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 18 | 16 | 0 | 2 | 52:14 | 48 |
| პანათინაიკოსი | 18 | 15 | 2 | 1 | 48:13 | 47 |
| ოფი | 18 | 13 | 3 | 2 | 34:20 | 42 |
| აეკ | 18 | 9 | 4 | 5 | 34:22 | 31 |
| ირაკლისი | 18 | 9 | 2 | 7 | 31:26 | 29 |
| პანიონიოსი | 18 | 9 | 1 | 8 | 30:36 | 28 |
| პაოკ | 18 | 7 | 6 | 5 | 29:23 | 27 |
| არისი | 18 | 7 | 5 | 6 | 24:20 | 26 |
| პანილიაკოსი | 18 | 7 | 4 | 7 | 24:19 | 25 |
| ქსანტი | 18 | 6 | 6 | 6 | 19:21 | 24 |
| ეთნიკოსი | 18 | 6 | 2 | 10 | 16:26 | 20 |
| იონიკოსი | 18 | 3 | 9 | 6 | 16:23 | 18 |
| პანაჰაიკი | 18 | 4 | 5 | 9 | 16:25 | 17 |
| კავალა | 18 | 4 | 4 | 10 | 18:31 | 16 |
| აპოლონი | 18 | 3 | 5 | 10 | 13:26 | 14 |
| კალამატა | 18 | 3 | 5 | 10 | 18:38 | 14 |
| პრუდეფტიკი | 18 | 3 | 4 | 11 | 10:27 | 13 |
| ტრიკალა | 18 | 3 | 3 | 12 | 13:35 | 12 |

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

**გერმანია. ბუნდესლიგა. მე-19 ტური**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 8 თებერვალი | | | |
| 001 | ჰერტა-არმინია | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| 002 | შალკე-ვერდერი | 2,1 | 2,8 | 3,3 |
| 003 | კაიზერსლაუტერნი-ჰანზა | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 004 | ულმი-მიუნხენი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| | 9 თებერვალი | | | |
| 005 | შტუტგარტი-ჰამბურგი | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| 006 | დუისბურგი-უნტერჰახინგი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| 007 | ვოლფსბურგი-დორტმუნდი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| 008 | ბაიერნი-ლევერკუზენი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 009 | აინტრახტი-ფრაიბურგი | 2,3 | 2,9 | 2,8 |

**გერმანია. II ბუნდესლიგა**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 9 თებერვალი | | | |
| 010 | ბოხუმი-ჰანოვერი | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| 011 | ობერჰაუზენი-კარლსრუე | 2,3 | 2,9 | 2,8 |

**ინგლისი. I დივიზიონი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 8 თებერვალი | | | |
| 012 | პორტვეილი-ბოლტონი | 2,3 | 2,9 | 2,8 |

**ინგლისი. II დივიზიონი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 8 თებერვალი | | | |
| 013 | ბლექპული-რედინგი | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| 014 | ლუტონი-სტოკი | 2,3 | 2,9 | 2,8 |

**ინგლისი. III დივიზიონი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 8 თებერვალი | | | |
| 015 | ლეიტონი-ექსეტერი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 016 | მენსფილდი-იორკი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 017 | პლიმუთი-ლინკოლნი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| 018 | ტორკი-ჩელტენემი | 1,9 | 3,0 | 3,5 |

**ჰოლანდია**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 9 თებერვალი | | | |
| 019 | ტვენტე-ვალვაიკი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| 020 | მაასტრიხტი-დენ ბოსხი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| 021 | ალკმარი-სპარტა | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| 022 | ტილბურგი-ნაიმეგენი | 1,4 | 3,6 | 6,5 |
| 023 | ტილბურგი-ნაიმეგენი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 024 | სიტარდი-ფეიენოორდი | 5,0 | 3,2 | 1,6 |
| | 10 თებერვალი | | | |
| 025 | პსვ აიაქსი | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| 026 | როდა-უტრეხტი | 1,5 | 3,4 | 5,6 |

**საფრანგეთი. ლიგის თასის 1/4 ფინალი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 10 თებერვალი | | | |
| 027 | ნანსი-სოშო | 1,5 | 3,4 | 5,6 |

**იტალია. თასის 1/2 ფინალი. I მატჩები**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 9 თებერვალი | | | |
| 028 | კალიარი-ინტერი | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| | 10 თებერვალი | | | |
| 029 | ლაციო-ვენეცია | 1,15 | 5,6 | 10,0 |

**ესპანეთი. თასის 1/4 ფინალი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 9 თებერვალი | | | |
| 030 | ესპანიოლი-კომპოსტელა | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 031 | რეალი-მერიდა | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 032 | ატლეტიკო-რაიო ვალეკანო | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| | 10 თებერვალი | | | |
| 033 | ოსასუნა-ბარსელონა | 5,6 | 3,4 | 1,5 |

**პორტუგალია. თასის 1/4 ფინალი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 9 თებერვალი | | | |
| 034 | გიმარაეში-მორეირენსე | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 035 | სპორტინგი-დრაგაშეში | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| 036 | პორტუ-ფაფე | 1,05 | 8,0 | 14,0 |
| 037 | რიუ ავე-ბოავიშტა | 3,5 | 3,0 | 1,9 |

**ბელგია. ლიგის თასის 1/4 ფინალი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 9 თებერვალი | | | |
| 038 | ლიერსი-ბრიუგე | 2,5 | 2,9 | 2,5 |

**აფრიკის თასი. 1/2 ფინალი**

10 თებერვალი

*კოეფიციენტებს გაეცნობით ადგილზე*

**კალათბურთი. NBA**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 8 თებერვალი | | | |
| 801 | ნიუ ჯერსი-ბოსტონი | 1,6 | 12,0 | 1,8 |
| 802 | ტორონტო-ატლანტა | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 803 | ჰიუსტონი-კლივლენდი | 1,35 | 12,0 | 2,5 |
| 804 | სან ანტონიო-სიეტლი | 1,35 | 12,0 | 2,5 |
| 805 | ფინიქსი-ვანკუვერი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 806 | საკრამენტო-ჩიკაგო | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| | 9 თებერვალი | | | |
| 807 | ბოსტონი-ინდიანა | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 808 | ფილადელფია-ნიუ ჯერსი | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 809 | ორლანდო-ვაშინგტონი | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 810 | მაიამი-გოლდენ სტეიტი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 811 | შარლოტი-კლივლენდი | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 812 | ატლანტა-ჰიუსტონი | 1,5 | 12,0 | 2,0 |
| 813 | დეტროიტი-ტორონტო | 1,5 | 12,0 | 2,0 |
| 814 | მილუოკი-ნიუ იორკი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 815 | დალასი-სიეტლი | 2,0 | 12,0 | 1,5 |
| 816 | დენვერი-სან ანტონიო | 2,0 | 12,0 | 1,5 |
| 817 | იუტა-ჩიკაგო | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 818 | ლეიკერსი-მინესოტა | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 819 | პორტლენდი-კლიპერსი | 1,05 | 12,0 | 7,5 |
| | 10 თებერვალი | | | |
| 820 | ფინიქსი-მინესოტა | 1,4 | 12,0 | 2,3 |
| 821 | კლიპერსი-ვანკუვერი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 822 | საკრამენტო-დენვერი | 1,15 | 12,0 | 4,0 |

**კალათბურთი. ევროლიგა**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 9 თებერვალი | | | |
| 823 | პაოკ ოლიმპია | 1,6 | 12,0 | 1,8 |
| 824 | ვარეზე-ეფესი | 1,8 | 12,0 | 1,6 |
| 825 | პივოვარნა-ფორტიტუდო | 2,8 | 12,0 | 1,3 |
| | 10 თებერვალი | | | |
| 826 | ალბა-ცსკა | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 827 | თოფაში-ბარსელონა | 2,0 | 12,0 | 1,5 |
| 828 | ჟალგირისი-ბენეტონი | 2,0 | 12,0 | 1,5 |
| 829 | შოლე-პანათინაიკოსი | 2,5 | 12,0 | 1,35 |
| 830 | ცრვენა ზვეზდა-რეალი | 2,5 | 12,0 | 1,35 |
| 831 | კახა ს.ფ.-ვილერბანი | 1,4 | 12,0 | 2,0 |
| 832 | ბედეჩნოსტი-ოლიმპიაკოსი | 1,4 | 12,0 | 2,0 |
| 833 | პო ორტეზი-მაკაბი | 1,5 | 12,0 | 1,9 |
| 834 | ულქერი-ციბონა | 1,4 | 12,0 | 2,3 |

**ჰოკეი. NI'',**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 8 თებერვალი | | | |
| 835 | ბოსტონი-ვაშინგტონი | 1,9 | 4,4 | 2,1 |
| 836 | მონრეალი-ედმონტონი | 1,9 | 4,4 | 2,1 |
| 837 | აილენდერსი-კაროლინა | 2,2 | 4,4 | 1,8 |
| 838 | რეინჯერსი-ნიუ ჯერსი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| 839 | ტამპა ბეი-სან ხოსე | 2,4 | 4,4 | 1,7 |
| 840 | დეტროიტი-სენტ ლუისი | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| 841 | კოლორადო-ბუფალო | 1,6 | 4,4 | 2,7 |
| 842 | ლოს ანჯელესი-ანაჰაიმი | 1,7 | 4,4 | 2,4 |
| | 9 თებერვალი | | | |
| 843 | ტორონტო-ფილადელფია | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| 844 | ნიუ ჯერსი-რეინჯერსი | 1,5 | 4,4 | 3,0 |
| 845 | პიტსბურგი-ატლანტა | 1,25 | 4,4 | 4,4 |
| 846 | ფლორიდა-სან ხოსე | 1,5 | 4,4 | 3,0 |
| 847 | ფინიქსი-ლოს ანჯელესი | 1,7 | 4,4 | 2,4 |
| 848 | ვანკუვერი-კალგარი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| 849 | ანაჰაიმი-დალასი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| | 10 თებერვალი | | | |
| 850 | სენტ ლუისი-დეტროიტი | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| 851 | მონრეალი-ვაშინგტონი | 2,1 | 4,4 | 1,9 |
| 852 | აილენდერსი-ტამპა ბეი | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| 853 | ფილადელფია-ედმონტონი | 1,4 | 4,4 | 3,4 |
| 854 | ნეშვილი-ბუფალო | 1,9 | 4,4 | 2,1 |
| 855 | კოლორადო-კალგარი | 1,5 | 4,4 | 3,0 |

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

# პრინციპულმა ფედერაციამ გორსაც 0:20 დაუწერა

**საქართველოს ჩემპიონატი. 16 ტური**

ვერის ბაღი. 5 თებერვალი

**სდასუ 20:0 გორი**

*ჩემპიონატში სამონაწილეო თანხის გადაუხდელობის გამო გორს ჩაეთვალა წაგება 0:20 და დაეწერა 0 ქულა.*

**საქართველოს ჩემპიონატი. 16 ტური**

ვერის ბაღი. 5 თებერვალი

**დინამო 79:108 აზოტი**

I ტაიმი 36:58

დინამო: ნიკოლაძე (35), ორდენიძე (12), ახვლედიანი (14), ბათხაძე (8), ზერეკიძე (10); ენდელაძე, ყველაშვილი

აზოტი: ა. ღლენტი (14), გაბისონია (3), გოგობერიშვილი (24), ბაბიაშვილი (30), მ. ბერუაშვილი (21); გოგოლაძე, ლ. ჩაჩუა, დანელიანი, კოჭლამაზაშვილი, წიკლაური (5), ჯიმშელეიშვილი (11)

მსაჯები: ზურაბ აბაშიძე, დავით ანდრიაძე

კომისარი: ნოდარ დარახველიძე

**საქართველოს ჩემპიონატი. 16 ტური**

ვერის ბაღი. 5 თებერვალი

**თსუ 86:81 სტუ**

I ტაიმი 34:37

თსუ: მშვილდაძე (2), ხეცურიანი (4), გ. მარკოიშვილი (13), არსიაშვილი (23), ვ. აბულაძე (6); ვეფხვაძე (8), წოწელია (18), გ. ბერუაშვილი (12)

სტუ: სულაძე (2), თორთლაძე (8), ორმოცაძე (13), ოთიურიძე (19), მინაშვილი (2); ტუღუში (6), მდივანი, ლოსაბერიძე (9), მიქაძე (10), ჩუბინიძე (12)

მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი

კომისარი: მურმან ქურიძე





გურამ [illegible] ფოტო

თსუ — სტუ 86:81. სტუ-ელმა კოტე ტუღუშმა (მარცხნივ) და თსუ-ელმა გიორგი ბერუაშვილმა ბრძოლა იატაკზე გააგრძელეს

გიორგი ბიკაშვილი

გუნდები, სდასუ-ცა და „გორიც", თამაშისთვის მზად იყვნენ, მატჩის დაწყებასაც ერთი შეხედვით წინ არაფერი ედგა...

დრო უმოწყალოდ გადიოდა და თხუთმეტი წუთიც კი გადასცდა დათქმულ პირველ საათს. ადგილზე იყო შეხვედრის კომისარი თენგიზ ქიქოძე, იქვე იყვნენ მსაჯებიც...

მაგრამ რად გინდა, არა და არ ანებებდნენ თამაშს გუნდებს. „გორისგან" მისალები ჯერაც არ მიგვიღია, ქართლელებს ჩვენი ფული მართებთ და აგერ ჩვენ და აგერ ისინიო — იმუქრებოდნენ ფედერაციელები.

მატჩის კომისრის სავარძელში მოკალათებულ თენგიზ ქიქოძესაც სხვა რა დარჩენოდა, საგულდაგულოდ ჩააწიკწიკა საგანგებო ოქმში ჩაშლილი შეხვედრის მიზეზი, წესისა და რიგის თანახმად, ყოველგვარი ოფიციალური მხარე მოილია და მერე ჩვენთვისაც მოიცალა. წინა ტურში, „დინამოსი" არ იყოს, „გორსაც" 0:20 წაგება ჩაეთვალა და 0 ქულა დაეწერა, დებულების მიხედვით ასეაო — გვითხრა ქიქოძემ.

სხვისი რა გითხრათ და გორული გუნდის თავკაცები გულგახეთქილნი იყვნენ. მტყუანები რომ იყვნენ და ფედერაციამაც სამართლიანად დასაჯა, ეს თავად ყველაზე უკეთ უწყოდნენ. უბრალოდ, ვერ წარმოედგინათ, რომ გაჭირვების ჟამს ყველა, დიდი თუ პატარა, მიატოვებდა მათ. მონდომება და ენთუზიაზმიც ჩაუცხრათ და ბედის ანაბარა დარჩნენ.

— ამას როგორ ვიფიქრებდი — ცხარობდა გორის ეკონომიკური უნივერსიტეტის სპორტული კათედრის გამგე და ამავე ქალაქის კალათბურთის ფედერაციის თავმჯდომარე ალექსანდრე იაშვილი — თავადაც იქ ვიყავი, როცა შიდა ქართლში პრეზიდენტის რწმუნებულმა ირაკლი ბოჭორიძემ ამ თანხის გასტუმრება ქარელის, კასპისა და ხაშურის გამგებლებს დააკისრა. გააფრთხილა, ფული 27 იანვრამდე უნდა გადაიხადოთო. ჩვენ რაღა ვქნათ? ამ დონეზე დაისვა საკითხი და ამანაც არ გაჭრა.

ასეა, ურემი რომ გადაბრუნდება, გზა მერე გამოჩნდებაო. ეგაა, გამოსავლის არსს უკვე კარგა ხანია, ჩასწვდნენ გორელები. ყველა გზა რომ ამ შემთხვევაში ფულთან მიდის, ესეც კარგად იციან, მაგრამ... არა, მაინც რა გახდა ეს 3960 ლარი ამხელა რეგიონისთვის, თანაც ასეთი საქმისთვის, ვერაფრით მივმხდარვარ...

ასეა თუ ისე, უსაქმურობისგან უკვე გვარიანად მოქანცულიყო ვერის ბაღში შეკრებილი გულშემატკივარი, როცა ერთმანეთის პირისპირ „დინამო" და „აზოტი" წარსდგნენ. ამჯერად აღარავინ შედავებია „დინამოს", ფედერაციისგან წინა ტურში დასჯილ გუნდს შაბათს დართეს თამაშის უფლება, „დინამომ" დაფარა ყოველგვარი დავალიანება და ერგებოდა კიდეც.

ბრძოლა კი არ შედგა. ვიცე-ჩემპიონი „აზოტი" ყოველმხრივ სჯობდა არნახულად დასუსტებულ მეტოქეს და პირველი ტაიმის მიწურულსვე გაარკვია ყოველივე.

ქომაგს სტუდენტური დერბი, თსუ — სტუ შემორჩა ნუგეშად. ამ ტურის ცენტრალურ შეხვედრადაც თავიდანვე ეს მატჩი იყო მიჩნეული.

სანამ კონკრეტულ მიმოხილვაზე გადავიდოდეთ, ურიგო არ იქნება, ამ დაპირისპირების მნიშვნელობა გავათვითცნობიეროთ როგორც ერთი, ასევე მეორე გუნდისთვის. ექვსეულში ადგილდაკარგული თსუ წარმატების შემთხვევაში კვლავ ელიტაში შეაღწევდა, მით უფრო, რომ მისი უშუალო მოცილე „მაკაბი" გათამაშების ლიდერ „ბასკოსთან" წინდაწინავე წასაგებად იყო განწირული. მესამე პოზიციაზე მომაგრებული სტუ თუ მოიგებდა, მაინც ვერ გაუსწრებდა „აზოტს". სამაგიეროდ, ტექნიკოსებს არც დაქვეითების საფრთხე ემუქრებოდათ, რადგან მათ კვალში ჩამდგარი „ვითა" ერთ ტურში დანაკლისს ვერაფრით აინაზღაურებდა.

ალბათ, ამიტომაც ვივარაუდეთ საამატჩო ანონსში, თსუ-ს საბრძოლველად ერთიორად მეტი სტიმული ექნება, ვიდრე მის მეტოქე სტუ-სო. ისე აგისრულდეთ ყველაფერი, როგორც ჩვენი წინასწარმეტყველება ახდა. სულ სხვა ჟინითა და აღმაფრენით ბურთაობდნენ უნივერსიტეტელები, სტუ-ს კი ვერ იცნობდით. თავისი შესაძლებლობების კვალობაზე ძალიან სუსტად მოქმედებდა ნუგზარ ჭეიშვილის გუნდი, განსაკუთრებით კი შეხვედრის მეორე ნახევარში.

არადა, ამ გუნდს გაცილებით მეტის გაკეთება ძალუძს. შემადგენლობას თვალს თუ გადავავლებთ, სადაოც აღარაფერი იქნება, მაგრამ აშკარაა, რომ სტუ-ს მწვრთნელთა მიერ აღებული გეზი არ ამართლებს, ყოველ შემთხვევაში, იმდღევანდელი მათი თამაში ნამდვილად გვაძლევს ამის თქმის საფუძველს.

დღევანდელი რეპორტაჟი ტექნიკოსთა გუნდის მომავლის განჭვრეტაში რომ არ გადაიზარდოს, სჯობს, კონკრეტულ მატჩს დავუბრუნდეთ. აქედან კი ერთი დასკვნის გაკეთება შეიძლება — თუ მსგავსი თამაშით სტუ-ს წარმატების მიღწევის და შარშანდელი შედეგის გაუმჯობესებისა სჯერა, ნება მისია, სჯეროდეს. ჩვენის მხრიდან კი ერთსაც დავძენთ და წერტილსაც აქვე დავუსვამთ: სტუ გაცილებით დიდი გაქანების გუნდია.

ორმოცაძის სწრაფ გარღვევას მარკოიშვილმა უმალ სამიანით უპასუხა, რის შემდეგაც გაირკვა, რომ თსუ-მ ზონური, სტუ-მ კი პერსონალური დაცვითი ტაქტიკა ირჩია. ორივე გუნდმა სწორედ დაცვაზე გაამახვილა ყურადღება და მეტოქეთა მცდელობაც უმეტესად ფუჭი გახლდათ. ნუგზარ ჭეიშვილის ექსპერიმენტმა, გამთამაშებლობა ახალგაზრდა სულაძისთვის მიენდო, ხოლო თორთლაძე მის დამხმარედ გაემწესებინა, აშკარად არ გაამართლა, რის შემდეგაც მწვრთნელმა სულაძე ტუღუშით შეცვალა, თორთლაძე კი ჩვეულ ამპლუაში, გამთამაშებლად დააბრუნა. მოსალოდნელი იყო, რომ გამოცდილი თორთლაძე სწრაფი პასით დააქუცმაცებდა მეტოქის ზონურ დაცვას, თუმც ასე არ მოხდა და მწვრთნელმა ახლა მიქაძეს მისცა თავის გამოჩენის შესაძლებლობა. თამაშში ჩართო მანამდე სათადარიგოებში მყოფი ზურაბ ჩუბინიძეც.

სანამ ჭეიშვილი ხუთეულის ძიებაში იყო, თსუ-ს კალათბურთელთა ქმედება უფრო შეთანხმებული და ორგანიზებული გახდა. ნოდარ ქორქიამ მხოლოდ გიორგი ბერუაშვილი მოიშველია, რომელმაც გოჩა არსიაშვილი შეცვალა.

სხვა მხრივ ტოლ-სწორი თამაში იყო, გუნდები მონაცვლეობით გადიოდნენ წინ, ძალიან ხშირად კი ანგარიში თანაბარი იყო.

უნივერსიტეტელთა ლიდერი გოჩა წოწელია შუაგული ტაიმისთვის გამოჩნდა მოედანზე, ამით ბევრიც არაფერი შეცვლილა, უბრალოდ, თსუ-მ ტემპი აჩქარა და შედეგად ოთხი ქულით — 23:19 მოსწყდა მეტოქეს. ლოსაბერიძისა და ოთიურიძის ძალისხმევით ეს სხვაობა უმალ აღმოფხვრა სტუ-მ, რის შემდეგაც, შეხვედრა კვლავაც ქულა-ქულაზე გაჩაღდა. ტაიმის ბოლომდეც მნიშვნელოვანი აღარაფერი მომხდარა, თუ იმას არ ჩავთვლით, რომ მეტოქეები ძალიან უხეშობდნენ, მსაჯები კი დაუსრულებელი სტვენით მათ წესრიგისკენ მოუწოდებდნენ.

სამქულიანი ჩამორჩენა მეორე ნახევრის დებიუტშივე აინაზღაურა თსუ-მ. ეგ კი არა, გოჩა არსიაშვილის სამიანით მალე წინაც გავიდა — 43:41. ეს უკანასკნელი გამორჩეული გახლდათ ორივე გუნდში, ამპლუით თავდამსხმელი, თუ საჭირო იყო, უკანახაზელთაც ეშველებოდა და დროული გადაწყვეტილებების მიღებით მოწინააღმდეგეს დაწინაურების შანსს უსპობდა.

არსიაშვილს ბერუაშვილმაც კარგად აუბა მხარი. „„ჯაგამ" თითქოს ახალგაზრდობა გაიხსენაო, ჯანმაგარ მეტოქეებს ფარზე გაბატონებას არ ანებებდა. ბოლოს და ბოლოს, წოწელიამაც გაისწორა სამიზნე...

მდევრის როლში დარჩენილი სტუ-ს ყოველგვარი მცდელობა ფუჭი იყო. გასაკვრი ის უფრო გახლდათ, რომ გუნდის ხელმძღვანელობაც თითქოს ბედს შეჰგუებოდა, ეტყობა, სამნახევარ წუთში ათი ქულის გაბათილება ველარ წარმოედგინათ. ჩხვლეტით კი იჩხვლიტებოდა სტუ, მაგრამ არცთუ მწარედ, თანაც დაგვიანებულად...

**საქართველოს ჩემპიონატი. 16 ტური**

ვერის ბაღი. 6 თებერვალი

**სსუ 90:85 ასკ**

I ტაიმი 46:46

სსუ: გ. ღლენტი (16), ბ. ბერიშვილი (34), ლაცუზბაია (8), თოდუა (14), ლ. ვაშაკიძე (1); ბ. ქვილითაია (9), სორდია (8), ფენდერავა

ასკ: მარხვაშვილი (16), მ. მარკოიშვილი (13), ნათობაძე (21), მ. ფიცხელაური (4), ბახტაძე (23); ლ. საყვარელიძე (3), ღვინაშვილი (5)

მსაჯები: დავით ანდრიაძე, ზურაბ აბაშიძე

კომისარი: როლანდ გელოვანი

**საქართველოს ჩემპიონატი. 16 ტური**

ვერის ბაღი. 6 თებერვალი

**მაკაბი 73:86 ბასკო**

I ტაიმი 26:39

მაკაბი: დ. ბერიშვილი (33), ი. ბერიშვილი (12), ტალაბაძე (11), მჭედლიშვილი (2), ფერიაშვილი (12); ლასარეიშვილი (3), კრიხელი

ბასკო: აბრამიძე (15), დავითულიანი (13), ბეჟანიშვილი (5), ქარაბაკი (32), ვ. კოლაძე (15); ბაქრაძე, მაისურაძე (2), კვაჭაძე, კეშელავა (4), ბერია

მსაჯები: დავით ბერეკაშვილი, ზაზა მაჩალაძე

კომისარი: მურმან ქურიძე

**საქართველოს ჩემპიონატი. 16 ტური**

ვერის ბაღი. 6 თებერვალი

**ვითა 84:69 შევარდენი**

I ტაიმი 40:31

ვითა: უსტიაშვილი (6), ტურაშვილი (11), გ. გაგნიძე (10), შანიძე (23), ახალკაცი (10); ტ. ვაშაკიძე (2), ჭირაქაძე (4), ქევხიშვილი (6), კოკოლიშვილი (12)

შევარდენი: ორჯონიკიძე (5), შ. გაგნიძე (11), გიგაური (6), თაბუაშვილი, ნუცუბიძე (8); ალავიძე (6), კაზანჯიანი, აკოლაშვილი (15), მაჭავარიანი (18)

მსაჯები: დავით ბერეკაშვილი, მაკა კუპატაძე

კომისარი: ნოდარ დარახველიძე

როლანდ ლაბუჩიძე

დაძაბული გამოდგა სატურნირო ცხრილის ფსკერზე ერთმანეთის მეზობლად მყოფი სსუ-ს და ასკ-ის შეხვედრა, რომლის ბედიც, სოხუმელთა უპირატესობის მიუხედავად, ბოლომდე გაურკვეველი იყო. საბოლოოდ სსუ-ს ლიდერის, ბუბა ბერიშვილის და გიორგი ღლენტის აქტიურობის წყალობით სტუდენტებმა პირველ წრეში დამარცხებისათვის რევანში აიღეს და სატურნირო ცხრილში მეტოქეს ადგილი გაუცვალეს — პირველად მიმდინარე ჩემპიონატში ზემოთ აინაცვლეს. თუ ბუბა ბერიშვილის კარგი თამაში უკვე ტრადიციად იქცა, სასიამოვნო მოულოდნელობა გახლდათ რუსთაველი არჩილ ღლენტის ძმის, გიორგის შედეგიანობა თავდასხმაში. მართალია, უმცროსი ღლენტის ანგარიშზე სულ 16 ქულა მოდის, მაგრამ მისი ზუსტი სროლები, განსაკუთრებით კი სამქულიანები, გუნდისათვის უაღრესად საჭირო მომენტებში შესრულდა.

ახლა კი მივყვეთ მატჩის მსვლელობას, რომელიც გარდამავალი უპირატესობით დაიწყო. მეოთხე წუთის ბოლოს რეზო თოდუას ზუსტი სამქულიანის შემდეგ ამდენივე ქულით დაწინაურებულმა სსუ-მ თანდათან გაზარდა ქულათა მარაგი, რომელმაც მეათე წუთისათვის ათს მიაღწია — 27:17. არმიელთა მცდელობას, გარდატეხა შეეტანათ თამაშში, დაახლოებით ხუთი წუთის განმავლობაში შედეგი არ მოჰყოლია, რადგან ღლენტი სამქულიანებით და ბერიშვილი ფარქვეშ ოსტატური თამაშით ასკ-ს ანგარიშის შემცირების საშუალებას არ აძლევდნენ. მე-14 წუთის ბოლოს კი, როდესაც ბერიშვილმა სხვაობა 12 ქულამდე გაზარდა, მოედანზე მოვლენები სულ სხვაგვარად განვითარდა. სსუ უცბად მოდუნდა, ხოლო ასკ-ს ფრთები შეესხა. სოხუმელთა ცენტრ ბეჟან ქვილითაიას ტოლს არ უდებდა არმიელთა ახალგაზრდა კოლეგა ირაკლი ბახტაძე, მას მხარი აუბეს უკანახაზელებმაც, რომელთაგან განსაკუთრებით მანუჩარ მარკოიშვილი და ბადრი ნათობაძე აქტიურობდნენ. მალე თბილისელებმა ანგარიშის შემცირების კარგი შანსი ვერ გამოიყენეს — ნათობაძემ საჯარიმოები გააცუდა. საპასუხო შეტევისას ამჯერად სსუ-ს წევრი ვაშაკიძე აღმოჩნდა საჯარიმოების ხაზზე, მაგრამ ვერც მან მიაღწია მიზანს. ტაიმის დამთავრებამდე 40 წამით ადრე ნათობაძემ საჯარიმო სროლებით მაინც აისრულა გულისწადილი. სტუდენტების გაცუდებული შეტევის შემდეგ, ბოლო წამებზე, ბახტაძემ შეუძლებელი შეძლო და ფარქვეშიდან ზუსტი სროლით მეტოქეს გაუთანაბრა.

მეორე ნახევრის დასაწყისში 6 ქულით (52:46) დაწინაურებულ სსუ-ს არმიელებმა მე-4 წუთის ბოლოს გაუთანაბრეს კიდეც და გაუსწრეს. პირველი ტაიმში ჩრდილში მყოფი მარხვაშვილის სოლო-რეიდის შემდეგ 55:54. გულმოცემულ ასკ-ს ამჯერადაც ბერიშვილმა და ღლენტმა ჩაუშალეს გეგმები. ჯერ ბერიშვილმა ჩააგდო ფარქვეშიდან და პლიუს ერთი საჯარიმოც გამოიყენა, მერე კი ღლენტის მიერ თითქმის ცენტრიდან ნასროლი სამქულიანი ჩაეშვა კალათში. არმიელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ ისევ შეძლეს წინ გასულ მეტოქესთან მიახლოება, მე-15 წუთის ბოლოს კი კიდევ უფრო შეგულიანდნენ — სსუ-მ 5 ჯარიმის გამო ქვილითაია მოისაკლისა, ხოლო მის ნაცვლად მოედანზე შესული ვაშაკიძე აშკარად ვერ უმკლავდებოდა ბახტაძეს, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესო იყო მოედანზე. მატჩის დასრულებამდე 2 წუთით ადრე მარხვაშვილმა ასკ კიდევ ერთხელ დააწინაურა, მალე კი ტაბლომ საყაიმო ანგარიში აჩვენა — 83:83. თავდასხმაში მარკოიშვილის მიღებული მე-5 ჯარიმის შემდეგ სორდიამ ერთი ქულით გაზარდა თანაგუნდელთა უპირატესობა — 87:83. საფინალო სირენამდე 49 წამით ადრე ბახტაძე ასევე საჯარიმოებით 2 ქულამდე ამცირებს ანგარიშს. დროის მოგების მიზნით ამჯერად ბახტაძე ჯარიმდება ღლე-

**საქართველოს ჩემპიონატი. 16 ტური**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბასკო | 15 | 15 | 0 | 1503:1184 | 30 |
| აზოტი | 16 | 13 | 3 | 1539:1264 | 29 |
| სტუ | 16 | 12 | 4 | 1398:1094 | 28 |
| ვითა | 16 | 11 | 5 | 1387:1258 | 27 |
| სდასუ | 16 | 10 | 6 | 1340:1248 | 26 |
| თსუ | 16 | 9 | 7 | 1412:1403 | 25 |
| მაკაბი | 16 | 9 | 7 | 1335:1219 | 25 |
| შევარდენი | 16 | 5 | 11 | 1172:1339 | 21 |
| დინამო* | 16 | 5 | 11 | 1134:1300 | 20 |
| სსუ | 16 | 2 | 14 | 1151:1496 | 18 |
| გორი* | 15 | 3 | 12 | 1026:1263 | 17 |
| ასკ | 16 | 1 | 15 | 1170:1499 | 17 |

*დინამოს და გორს დაკლებული აქვთ თითო ქულა

ნტთან ორთაბრძოლას. ეს უკანასკნელი ორი შესაძლებლობიდან მხოლოდ ერთ საჯარიმოს ათავსებს კალათში — 88:85. ასკ-ს შეტევას და მარხვაშვილის მცდელობას, სამქულიანით გაეთანაბრებინა, შედეგი არ მოჰყოლია. ბურთს ბერიშვილი დაეუფლა, მან მეტოქის ფართან რეზო თოდუა შენიშნა, რომელსაც ანგარიშის გაზრდა არ გასჭირვებია — 90:85. ბოლო წამებზე ნათობაძეს საჯარიმოებით და მარხვაშვილის სამქულიანით შანსი ჰქონდათ, შეხვედრა ოვერტაიმში გადაეყვანათ, მაგრამ ახალგაზრდა კალათბურთელებს ნერვებმა უმტყუნა და ანგარიში უცვლელი დარჩა.

საინტერესო იყო, თუ როგორ დამთავრდებოდა დაუმარცხებელი ბათუმის „ბასკოსა" და ლიდერთა რისხვად შერაცხული თბილისის „მაკაბის" შეხვედრა. ბათუმელებმა ამჯერადაც ვერ იახლეს შეუძლოდ მყოფი გუნდის კაპიტანი ირაკლი ჭეიშვილი. „მაკაბიმ" კი ტრავმირებული ბექა ნოზაძე მოისაკლისა, ხოლო თბილისელთა ლიდერ ალექსანდრე ფერიაშვილს, გუნდის ხელმძღვანელობის თქმით, ჯერაც გამოუჯანმრთელებელს უწევდა თამაში.

ფერიაშვილი მართლაც ვერ იყო ფორმაში და მისი შედეგიანობისთვის აშკარად შეუფერებელი 12 ქულით შეეწია თანაგუნდელებს. სამაგიეროდ, ჩვეული სისწრაფითა და აქტიურობით კვლავაც ისახელეს თავი ტყუპმა ბერიშვილებმა, რომელთაგან კარგი თამაშით განსაკუთრებით დათო გამოირჩა.

რაც შეეხება „ბასკოს", მისი გამარჯვება ექვსეულში მოხვედრისათვის მებრძოლ გუნდთან ერთხელაც არ გამხდარა საეჭვო. თუმცა ჩემპიონატის ერთპიროვნულ ლიდერს, განსაკუთრებით ტყუპებისა და ტალაბაძის გამო, წუთითაც არ მოუსვენია. მართალია, „ბასკომ" განაცხადში შეყვანილი ყველა კალათბურთელ ათამაშა, მაგრამ მოედანზე ამინდს მაინც სასტარტო ხუთეული ქმნიდა, რომელსაც თავიანთი რჩეული ჰყავდათ ლევან ქარაბაკის სახით.

ანგარიში „მაკაბიმ" გახსნა, თუმცა „ბასკოს", თბილისელთა წინააღმდეგობის მიუხედავად, გათანაბრება და წინ გასვლა არ გასჭირვებია. გამოკვეთილი ცენტრის გარეშე დარჩენილმა სტუმრებმა გუნდური თამაშით მე-14 წუთის ბოლოს 20 ქულით მოიტოვეს მასპინძლები. აქ „ბასკომ" ცოტა ჩათვლიმა და სამწუთიანი მონაკვეთი 0:10 დათმო. 30:20-ის შემდეგ ტომარაძის წუთშესვენებით გამოფხიზლებულმა ლიდერმა ტაიმი 13-ქულიანი უპირატესობით 39:26 დაასრულა.

„მაკაბი", რომელიც ძირითადად მდევრის როლში იყო, ყოველი ბურთისთვის ბოლომდე იბრძოდა და გააფთრებით ცდილობდა მატჩის გადარჩენას. ყველაზე უკეთესი, რაც მასპინძლებმა შეძლეს, მე-9 წუთის ბოლოს ანგარიშის 6 ქულამდე (48:54) შემცირება გახლდათ. 4 წუთის შემდეგ, როდესაც 5 ჯარიმის გამო ფერიაშვილმა სათადარიგოთა სკამზე გადაინაცვლა, აშკარა გახდა, რომ „მაკაბის" დამარცხებისაგან სასწაულიც კი ვერ იხსნიდა.

მასპინძლებმა საბოლოოდ იმით ინუგეშეს თავი, რომ შესვენების შემდეგ „ბასკოს" მიერ დაგროვებულ 47 ქულას თვითონაც იმდენითვე უპასუხეს. ზღვისპირელები კი ზედიზედ 15 მატჩის მოგების შემდეგ ჩემპიონატს კვლავაც დაუმარცხებლად აგრძელებენ.

„ვითა" — „შევარდენის" შეხვედრაში ჩემპიონებმა კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, რომ მოთამაშეთა უდიდესი დანაკარგის მიუხედავად, მეორე ეშელონში ადგილგანაღდებული გუნდები მათთვის ანგარიშგასაწევ ძალას არ წარმოადგენენ, თუ, რა თქმა უნდა, თავიანთ მოვალეობას სერიოზულად მოეკიდნენ. საქმისადმი არაპროფესიული მიდგომა და ექსპერიმენტების დრო მიმდინარე ჩემპიონატის პირველ წრესთან ერთად ისტორიას ჩააბარა „ვითამ", რადგან სდასუ-ს, თსუ-სა და „მაკაბის" სახით ექვსეულში მოხვედრისათვის სერიოზული კონკურენტები გამოუჩნდა და აღნიშნულიდან გამომდინარე, თითოეულ ქულასაც ოქროს ფასი დაედო.

ვითელთა წარმატებაში ლომის წილი დაიდო ეროვნული ნაკრების კანდიდატმა ირაკლი შანიძემ, რომელიც პირველ სეზონს ატარებს საქართველოს შვიდგზის ჩემპიონის რიგებში. ფლანგის მოთამაშე შანიძე ამჯერად ფარქვეშ გამოირჩა ოსტატობით და თითქმის ყველა ბრძოლა მოუგო მეტოქის ცენტრებს.

რაც შეეხებათ შევარდენელებს, ნებისმიერ მათგანს ბევრად უფრო მეტი შეუძლია, ვიდრე „ვითასთან" მატჩის დროს გააკეთა. სხვებზე ოდნავ უკეთ თამაშობდნენ მაჭავარიანი და აკოლაშვილი, რომლებიც რატომღაც სასტარტო ხუთეულში ვერ მოხვდნენ. მეორე ტაიმის დამთავრებამდე 4 წუთით ადრე, როდესაც ვითელთა სასარგებლოდ ანგარიშში სხვაობამ 18 ქულას — 78:60 მიაღწია, ჩემპიონმა მოედანზე მეორე შემადგენლობას უხმო, რომელმაც სასტარტო ხუთეულის მიერ დაწყებული საქმე იოლად მიიყვანა ბოლომდე.



ვითა — შევარდენი 84:69. ვითელი გულივერ ახალკაცი (თეთრ ფორმაში) დუდუ ორჯონიკიძის წინააღმდეგ

რეგულარული ჩემპიონატი

# თეთრი ლიდერები, შავი ლიდერები

4 თებერვალი

**სიეტლი 94:86 ფინიქსი**

სიეტლი: პეიტონი (23 ქულა, 13 მოხსნა, 7 პასი), ბერი (17), ბეიკერი (22), გრანტი; მაკკოი (10), დევისი (3), ლუისი (2), ფოსტერი, პერსონი

ფინიქსი: კიდი (8 ქულა, 12 მოხსნა), ჰარდევეი (17), რობინსონი (4), გულიოტა (10), ლონგლი (4); როჯერსი (26), ჩეპმენი (9), მილერი (6), ბლაუნტი (2)

6 თებერვალი

**ფინიქსი 105:93 სიეტლი**

ფინიქსი: კიდი (22 ქულა, 12 პასი, 7 მოხსნა), ჰარდევეი (19), რობინსონი (7), გულიოტა (16), ლონგლი (9); როჯერსი (22), ბლაუნტი (4), ჩეპმენი (4), ლივინგსტონი (2)

სიეტლი: პეიტონი (13), ბერი (14), პატერსონი (10), ბეიკერი (8), გრანტი (2); ლუისი (21), ვილიამსი (13), მაკკოი (6), სტეფანია (3), პერსონი (3), დევისი

ამ უქმეებზე ვოვა სტეფანიას გუნდ „სიეტლ სუპერსონიქსი" პრინციპულ მეტოქეს „ფინიქს სანზს" ორჯერ შეება. მეტოქეები თითო-თითო გამარჯვებით გაიყარნენ. საერთოდ ეს გუნდები ამ სეზონში ოთხჯერ შეხვდნენ ერთმანეთს და მოგება-წაგებები თანაბრად დაინაწილეს. სტეფანიას მოედანზე გამოჩენა ორივე შეხვედრაში მეტად საეჭვო გახლდათ, რადგან „სონიქსსა" და „სანზს" შორის მატჩები ყოველთვის დიდი დაძაბულობით გამოირჩეოდა. ასე შემთხვევაში კი, თუ მწვრთნელ ვესტფოლს უკიდურესი შემთხვევა არ უბიძგებს, იგი თავს იკავებს ქართველის მოედანზე გამოყვანისგან.

შინ გამარჯვების შემდეგ, „სიეტლმა" სტუმრად ვერაფერი მოუხერხა არიზონელებს და სტეფანიასაც თამაშის შანსი გაუჩნდა. შანსი რეალობად იქცა და თამაშს აგრერიგად მოწყურებული ვოვა მოედანზე შეიჭრა, მაგრამ კარგახნის უთამაშებლობამ, როგორც ჩანს, ქართველს თავისი კვალი დაატყო. ამ 2000 წელს სტეფანია მხოლოდ მეორედ თამაშობდა მაშინ, როცა მისმა გუნდმა მე-19 შეხვედრა ჩაატარა. წინა შვიდი შეხვედრა ქართველს სათადარიგოთა სკამზე გაეტარებინა. ასე რომ, უმალ წელში გამართვა გაუჭირდა და ერთბაშად ხუთი სროლა გააფუჭა. მიხვდა ვლადიმერი, რომ იმ დღეს სროლები არ წაუვიდა და ვესტფოლისთვის თავის შეხსენების ცდამაც ამაოდ ჩაუარა. მთლიანობაში სტეფანია ცუდად როდი გაისარჯა — ოთხი საჯარიმოდან სამი გამოიყენა და ქულებიც დააგროვა, რაც, თუ მის საჯარიმოების ჩაგდების პროცენტს გავითვალისწინებთ, ურიგო შედეგი არაა. ამასთანავე ქართველის ანგარიშზე მოდის ერთი მოხსნა (მეტოქის ფარზე) და ერთიც ჩაჭრა. როგორც ჩანს, არც ვესტფოლი მომდურებია მაშინ ქართველს, რადგან მოედანზე 15 წუთი გააჩერა. ამ მატჩის ჩათვლით სტეფანიას სეზონში ოცი თამაში მოუგროვდა მაშინ, როცა მისმა გუნდმა 49-ე თამაშში მე-19 მარცხი იწვნია.

სტეფანიას სიეტლში ჩატარებულ შეხვედრაში მონაწილეობის შესაძლებლობაც მიეცა. მისი გუნდი აქ ერთხანს 15 ქულითაც დაწინაურდა, მაგრამ ვესტფოლს მაშინ ვოვა არ გახსენებია. სამაგიეროდ, მან ქართველის გარდა ყველა ათამაშა სიეტლურ მატჩში.

ამ თამაშებზე კი იმის თქმა შეიძლება, რომ ორივე შემთხვევაში მატჩის ბედი მასპინძელთა ლიდერების ოსტატობამ გადაწყვიტა. სიეტლში 94:86 მოგებულ თამაშში „ზებგერითთა" ოლიმპიელმა შავკანიანმა ლიდერებმა — გამთამაშებელმა გერი პეიტონმა და თავდამსხმელმა ვინ ბეიკერმა აშკარად აჯობეს „დრიმ თიმში" მათი ამპლუის თეთრ თანაგუნდელებს, შესაბამისად ჯეისონ კიდს და ტომ გულიოტას. ფინიქსში გამართულ მატჩში კი თეთრმა მასპინძლებმა რევანში აიღეს და შავებს — ბეიკერსა და პეიტონს ალიყურიც აჭამეს. აღსანიშნავია აგრეთვე სტეფანას მეტოქე გუნდის სათადარიგო როდნი როჯერსის გარჯა. იგი ორივე თამაშში ყველაზე შედეგიანი იყო თავისიანებში. „სიეტლის" სათადარიგოები ახლოსაც ვერ მივლენ „ფინიქსის" შემცვლელებთან, მაგრამ სტეფანიას ერთმა თანაგუნდელმა და დრაფტში მასთან ერთად აყვანილმა ჯელანი მაკკოიმ მაინც ივაჟკაცა. 4 თებერვლის მატჩში ორი მნიშვნელოვანი ბურთი ჩაუგდო „ფინიქსს" ბოლო მეოთხედში და თავისიანებს გამარჯვება გაუნაღდა.



REUTERS

სიეტლი — ფინიქსი. სიეტლელი გერი პეიტონი (№20) და ჯეისონ კიდი

4 თებერვალი

**ლეიკერსი 113:67 იუტა**

ლეიკერსი: ონილი (25), რაისი (20)
იუტა: მელოუნი (14)

**გოლდენ სტეიტი 103:101 დენვერი**

გოლდენ სტეიტი: ჯემისონი (19 ქულა, 10 მოხსნა)
დენვერი: მაკდაიესი (30 ქულა, 11 მოხსნა)

**ვანკუვერი 101:76 ჩიკაგო**

ვანკუვერი: დიკერსონი (20)
ჩიკაგო: კუკოჩი (27), ბრენდი (22)

**მინესოტა 102:85 ჰიუსტონი**

მინესოტა: გარნეტი (23 ქულა, 18 მოხსნა, 9 პასი)
ჰიუსტონი: დრიუ (20)

**ინდიანა 104:94 საკრამენტო**

ინდიანა: როუზი (22)
საკრამენტო: ვებერი (26)

**დეტროიტი 105:96 კლივლენდი**

დეტროიტი: ჰანტერი (26 ქულა, 10 პასი), სტეკჰაუზი (22)
კლივლენდი: კემპი (22)

**მაიამი 99:92 ვაშინგტონი**

მაიამი: მურნინგი (32 ქულა, 7 დაფარება), მაშბურნი (24)
ვაშინგტონი: რიჩმონდი (21), სტრიკლენდი (20)

**ატლანტა 90:97 პორტლენდი**

ატლანტა: ჯეკსონი (25)
პორტლენდი: სმიტი (21), საბონისი (17 ქულა, 12 მოხსნა)

**ბოსტონი 100:95 ნიუ ჯერსი**

ბოსტონი: პირსი (19)
ნიუ ჯერსი: მარბერი (20 ქულა, 11 მოხსნა)

ოთხ თებერვალს ლოს ანჯელესში ჩასული „იუტა ჯაზი" არ დაინდო იქაურმა „ლეიკერსმა", ამერიკული ტორნადოსავით გადაუარა კორდილიერების მთებიდან ჩამოსულ სტუმარს და ზედიზედ მეექვსე მარცხიც აწვნია. „იუტა" გვარიანად შერცხვა. „ჯაზს" ზედიზედ ექვსი თამაში ბოლო 14 წელია, არ წაუგია. თან „ლეიკერსმა" იგი პირდაპირ გაანადგურა, 36 ქულის სხვაობით მოუგო. ამაზე დიდი სხვაობით „იუტას" სულ ორიოდეჯერ წაუგია, ისიც 80-იან ან 70-იან წლებში.

5 თებერვალი

**კლიპერსი 106:119 დალასი**

კლიპერსი: ტეილორი (17)
დალასი: სტრიკლენდი (24), ფინლი (19 ქულა, 10 მოხსნა, 9 პასი)

**დენვერი 97:105 მინესოტა**

(ძირითადი დრო 88:88)

დენვერი: პოუზი (23), მაკდაიესი (20)
მინესოტა: გარნეტი (30 ქულა, 14 მოხსნა), ჯეკსონი (20)

**მილუოკი 95:98 ტორონტო**

მილუოკი: რობინსონი (29), კასელი (25)
ტორონტო: კარტერი (30 ქულა, 11 მოხსნა, 5 პასი, 4 ჩაჭრა)

**ორლანდო 107:102 ინდიანა**

ორლანდო: ამაეჩი (19)
ინდიანა: როუზი (25)

**კლივლენდი 94:102 ატლანტა**

კლივლენდი: მილერი (28 ქულა, 12 პასი, 10 მოხსნა)
ატლანტა: რაიდერი (23)

**ვაშინგტონი 102:110 შარლოტი**

ვაშინგტონი: რიჩმონდი (22), სტრიკლენდი (20)
შარლოტი: კემპბელი (27), კოულმენი (20 ქულა, 10 მოხსნა), ჯონსი (20), ვესლი (20)

6 თებერვალი

**ვანკუვერი 99:103 დალასი**

(ძირითადი დრო 91:91)

ვანკუვერი: აბდურ-რაჰიმი (36 ქულა, 22 მოხსნა)
დალასი: ფინლი (34), ნეში (24)

**კლიპერსი 90:100 ჩიკაგო**

კლიპერსი: ტეილორი (23)
ჩიკაგო: ბრენდი (21), კუკოჩი (20 ქულა, 10 პასი, 7 მოხსნა)

**დეტროიტი 109:105 ჰიუსტონი**

დეტროიტი: ჰილი (36), სტეკჰაუზი (23)
ჰიუსტონი: კატო (23 ქულა, 12 მოხსნა), დრიუ (20)

**ბოსტონი 94:100 პორტლენდი**

ბოსტონი: პოტაპენკო (19)
პორტლენდი: სმიტი (23)

**ნიუ იორკი 94:80 მაიამი**

ნიუ იორკი: იუინგი (25 ქულა, 15 მოხსნა), ჰიუსტონი (25), სპრიუელი (24)
მაიამი: ჰარდევეი (23), მაშბურნი (21)

**ნიუ ჯერსი 110:90 გოლდენ სტეიტი**

ნიუ ჯერსი: გილი (25), ნიუმენი (23), კიტლზი (21)
გოლდენ სტეიტი: ჯემისონი (25)

**იუტა 93:90 სან ანტონიო**

იუტა: მელოუნი (25)
სან ანტონიო: დანკანი (32 ქულა, 10 მოხსნა)

**ფილადელფია 119:108 საკრამენტო**

ფილადელფია: აივერსონი (50)
საკრამენტო: ვებერი (32 ქულა, 15 მოხსნა, 7 პასი)

ძლიერი თუ სუსტი მეტოქეების მიერ აგრერიგად დაბეჩავებულმა „იუტა ჯაზმა" თავისი ექვსმატჩიანი წაგებების სერია შინ ჩემპიონ „სან ანტონიოს" ძლევით შეწყვიტა. „იუტა" იმ ექვს თამაშს კიდევ ერთს წაამატებდა, ვეტერან ჯონ სტოქტონს რომ არ ევაჟკაცა და ბოლო წუთში ორი უმნიშვნელოვანესი ბურთი არ ჩაეგდო.

ალენ აივერსონს, რომელიც მეორე სეზონია, ლიგის ბომბარდირებს ლიდერობს, ხშირად აკრიტიკებდნენ, ქულების ბლომად დაგროვება კი გეხერხება, მაგრამ 40-ზე მეტს რომ აგდებ, შენი გუნდი მაშინ აგებსო. „საკრამენტოსთან" თამაშით აივერსონმა ყველას გასცა პასუხი და 50 ქულის ჩაგდების შემდეგ თავის გუნდს 11 ქულის სხვაობით მოაგებინა. აივერსონმა ამ 50 ქულით თავისი კარიერის რეკორდიც დაიმყარა და მიმდინარე სეზონში ფინიქსელი კლიფ რობინსონის მიერ დამყარებული რეკორდიც გაიმეორა.

**ირაკლი ფირაშვილი**

ექვსი ერის პირველობა
SIX NATIONS

# იტალიამ მამაც გულებს ინფარქტი დამართა

**იტალია 34:20 შოტლანდია**
რომი, „ფლამინიო", მსაჯი: კეპლენი (სამხრეთ აფრიკა)

**იტალია** 1 ლ — დე კარლი (79); 6 ს. და 1 გ — დომინგესი (24, 33, 38, 40, 52, 65); 3 ა — დომინგესი (42, 47, 68)

15 პინი
14 დ. დალანი (რივარო, 45) 13 მ. დალანი 12 მარტინი 11 სტოიკა
10 დომინგესი 9 ტრონკონი (კაპ.) (მაზანტინი, 80)
7 ბერგამასკო (პერსიკო, 62) 8 ვისერი 6 ჯიოვანელი
5 გრიტი 4 ჩეკინატო
3 პაოლეტი (დი კარლი, 65) 2 მოსკარდი 1 კუტიტა

1 სმიტი 2 ბალოკი 3 სტიუარტი (ჰილტონი, 72)
4 მიურეი (ვეირი, 70) 5 გრიმზი
6 მ. ლესლი 8 სიმპსონი 7 პოუნტნი
10 თაუნსენდი 9 რედპეტი
11 ლოგენი 12 ლესლი (კაპ.) (მაკლარენი, 14) 13 მეიერი 14 ლონგსტაფი
15 მეტკალფი

2 ლ — ბალოკი (36), ლესლი (80); 2 გ — ლოგენი; 1 ს — თაუნსენდი (58); 1 ა — თაუნსენდი (20) **შოტლანდია**

ექვსი ერის პირველობის ახალბედამ ბოლო ჩემპიონი პირველივე ტურში დაამარცხა. იტალიას ჩრდილოეთ ნახევარსფეროს უმთავრესი ტურნირის უკეთესად დაწყებაზე ოცნებაც კი არ შეეძლო. თუ საფრანგეთი ამ შეჯიბრში პირველი გამარჯვების მოსაპოვებლად მთელი 10 წელი იცდიდა (1910-1920 წწ.), იტალიამ საწადელს პირველივე შეხვედრაში მიაღწია და პროგრამა-მინიმუმიც შეასრულა — ხის კოვზს გადაურჩა. შეგახსენებთ, რომ ამ პრიზით ყველა თამაშში დამარცხებული ნაკრები „ჯილდოვდება".

REUTERS რომიდან



იტალიური სასწაულის შემოქმედნი: დენის დალანმა (ბურთით) და მისმა თანაგუნდელებმა შოტლანდიელთა ძლევით არამხოლოდ სარაგბო სამყარო გააოცეს

შაბათს აპენინელებმა მართლაც ივაჟკაცეს. წინააღმდეგობა, გამართლება და ეიფორია — აი, სიტყვები, რომლითაც იტალიელთა თამაში შეიძლება დავახასიათოთ.

წინააღმდეგობა და თანაც მედგარი მათ პირველ ნახევარ საათში გაუწიეს შოტლანდიელებს, რომელთაც სურდათ, მასპინძლებისთვის სწრაფად მოეღოთ ბოლო და დიდი ძალებითაც შეუტიეს. იტალია დაცვაში კი ჩაჯდა, მაგრამ დანებებას სულაც არ აპირებდა. მართალია, მასპინძლები არც თუ იშვიათად ცდებოდნენ, მაგრამ ეს შეიძლება ნერვიულობას მიეწეროს. თუმცა სკოტებმა უამრავი საჯარიმო დარტყმით ვერ იხეირეს. კენი ლოგენს იმ დღეს საშინლად არ უმართლებდა. მისი ერთ-ერთი დარტყმის შემდეგ ბურთი ძელსაც კი მოხვდა... ეს თითქოს ნიშანი იყო იტალიელთათვის, ხელი გაანძრიეთ და გეშველებათო.

პირველი ტაიმის ბოლო ათი წუთის განმავლობაში მასპინძლები გაafთრებით უტევდნენ და მეტოქის ნახევარზე გადასვლისას საჯარიმოს შესრულების უფლება ეძლეოდათ. ტომით არგენტინელი დიეგო დომინგესიც ზუსტად ურტყამდა და ქულას ქულაზე აგროვებდა. მან ჯამში 29 ქულას მოუყარა თავი, რაც ტურნირის რეკორდია.

ანგარიში კი გრეგორ თაუნსენდმა გახსნა მე-18 წუთზე არეკნით. სწორედ ეს იყო ექვსი ერის პირველობის პირველი ქულები და პირველი არეკნი. პირველი საჯარიმო დომინგესისა გამოდგა, პირველი ლელო კი გორდონ ბალოკმა გაიტანა, რასაც კენი ლოგენის პირველი გარდასახვა მოჰყვა. ამდენი პირველი იმიტომ, რომ ეს თამაში პირველ ტურში ყველაზე ადრე დაიწყო.

პირველი ტაიმის ბოლოს იტალია 12:10 იგებდა, მაგრამ საბოლოო წარმატებაზე ფიქრი ჯერ ნაადრევი იყო. შესვენების შემდეგ ახალზელანდიელი ბრედ ჯონსტონისგან დამოძღვრილმა „სკუადრა აძურამ" ინიციატივა მეტოქეს არ დაუთმო. ნახევარმცველები დომინგესი და ტრონკონი ბრწყინვალედ წარმართავდნენ თამაშს და ანგარიშში სხვაობაც ნელ-ნელა იზრდებოდა. იტალიელები ბურთს მინდვრის პატარა მონაკვეთში ათამაშებდნენ და სკოტების შეცდომებს ელოდნენ. ეს უკანასკნელნიც ხშირად ჯარიმდებოდნენ და დომინგესსაც მეტი რა უნდოდა. დამთავრებამდე 10 წუთით ადრე შოტლანდია 13:27 აგებდა და მატჩის გადარჩენის შანსიც თითქმის არ ჰქონდა.

„ფლამინიოს" სტადიონზე შეკრებილი 22 ათასი მაყურებელი მსაჯის ნიშანს ელოდა, რათა თავისი ნაკრების პირველი, ისტორიული გამარჯვების აღსანიშნავად ეხუვლა. მაგრამ სანამ სამხრეთაფრიკელი ჯონათან კეპლენი ჩასტვენდა, მასპინძელთა მეორე ნომერმა დე კარლიმ ტურნირში იტალიელთა პირველი ლელო გაიტანა და თავის ქომაგებსაც „ზედმეტად" ჩაახლეჩინა ხმა. გარდასახვა დომინგესმა ზუსტად შეასრულა, შოტლანდიის ბოლო წუთზე გატანილ ლელოს აღარაფრის შეცვლა აღარ შეეძლო, გარდა მატჩის საბოლოო ანგარიშისა.

**ინგლისი 50:18 ირლანდია**
ლონდონი, „თვიქნემი", მსაჯი: უოლში (ახალი ზელანდია)

**ინგლისი** 6 ლ — კოჰენი (19, 80), ჰილეი (31, 39), ბეკი (43), ტინდელი (75); 4 გ — უილკინსონი (19, 31, 43, 80); 4 ს — უილკინსონი (11, 14, 53, 67)

15 პერი (ბოლშოუ, 70)
14 ჰილეი 13 ტინდელი 12 კეტი 11 კოჰენი
10 უილკინსონი 9 დეისონი (კაპ.)
7 ბეკი 8 დალალიო 6 ჰილი
5 შოუ (კორი, 77) 4 არჩერი
3 ვიკერი 2 გრინინგი 1 ლეონარდი (ვუდმენი, 70)

1 კლოჰესი 2 ვუდი (კაპ.) 3 უოლესი
4 კეისი (გელვი, 41) 5 ოკელი
6 ოკუინეგენი (ბრენენი, 47) 8 ფოლეი 7 დეისონი
10 ჰამფრიზი 9 ტირნეი
11 მეგზი 12 მალინზი 13 ოდრისკოლი 14 ბიშოპი
15 ოში (დემპსი, 47)

2 ლ — მეგზი (46), გელვი (73); 1 გ — ჰამფრიზი (73); 2 ს — ჰამფრიზი (33, 50) **ირლანდია**

# ალიყური სამყურებს

მსოფლიოს თასის უსახელოდ დამთავრების შემდეგ, არც ექვსი ერის პირველობას უჩანს ირლანდიისთვის უკეთესი პირი. ინგლისთან, „თვიქნემში" ბევრმა შეიძლება წააგოს, მაგრამ ასე უსახურად? თანაც არც მასპინძლები იყვნენ მაინცდამაინც ბრწყინვალე ფორმაში.

შეხვედრის დასაწყისში ორივე გუნდი ღელავდა, თუმცა მასპინძლები უპირატესობას მალევე დაეუფლნენ. მათ თავიდან ხელით თამაში არ გამოსდიოდათ, მაგრამ ეს არც იყო გასაკვირი, რადგან ინგლისელებს ფეხის გამოყენება უფრო ეხერხებათ. მიუხედავად ამისა, მასპინძლები უილკინსონის ორი, ზუსტად შესრულებული საჯარიმოს წყალობით დაწინაურდნენ. ტაიმის შუაწელში კი კოჰენმა მშვენიერი ლელო გაიტანა, რასაც მალე, მეორე ფრთის მოთამაშის ჰილეის ლელო მოჰყვა. კოჰენმა და უილკინსონმა ორივე გარდასახეს და მატჩის ბედიც, ფაქტობრივად, აქ გადაწყდა.

34-ე წუთზე ჰამფრიზმა კი შეამცირა ანგარიშში სხვაობა, მაგრამ ჰილეიმ ტაიმის მიწურულს კიდევ ერთი ლამაზი ლელო გაიტანა და შესვენებაზე გუნდები 25:3-ზე წავიდნენ. აქვე ისიც ვთქვათ, რომ პირველმა ტაიმმა ინგლისელთა ახალი ფრთის, ბენ კოჰენის მშვენიერი თვისებები წარმოაჩინა. თუმცა მხოლოდ თავდასხმაში, რადგან ირლანდია შეტევაზე არც კი გადასულა და კოჰენიც ვისგან დაიცავდა თავს?

მეორე ტაიმიც ინგლისელებისა იყო. „სამყურები" მეტოქეს თამაშის ყველა კომპონენტში ჩამოუვარდებოდნენ: მასპინძლებმა 43-ე წუთზე მეოთხე ლელო გაიტანეს და მერე თავს დასვენების უფლება მისცეს.

ირლანდიელებმა კი მეტოქის „ჩაძინებით" ისარგებლეს და ანგარიშში სხვაობა 20 ქულამდე შეამცირეს. თუმცა ეს წარმატება ისეთი ხმაურით აღნიშნეს, ინგლისელებს „გაეღვიძათ" და მსაჯის საფინალო სასტვენამდე დარჩენილ ხუთიოდ წუთში კიდევ ორჯერ დადეს ბურთი მეტოქის სალელოე მოედანზე.

მასპინძელთა ნაკრებმა საკმაოდ მიმზიდველად და ლამაზად ითამაშა, ხშირი იყო მარაოს გაშლა, სწრაფად გათამაშებული აუტები, შეტევათა მიმართულებების მონაცვლეობა. თუმცა ნაკლიც გამოჩნდა, კერძოდ, პასების დროს. ფეხით თამაში კი ინგლისს არ გასჭირვებია. ახალბედები ნამდვილად კარგად შეეწყვნენ გუნდს, რაც მათთან ერთად მთავარი მწვრთნელის კლაივ ვუდვორდის დამსახურებაცაა.

ერთი სიტყვით, ინგლისმა იოლად მოიგო, მაგრამ რისი შემძლეა 19 თებერვალს გამოჩნდება „სტად დე ფრანსზე" საფრანგეთის წინააღმდეგ. ირლანდია კი... ალბათ იტალიისთვის გამზადებული ხის კოვზი მას ხვდება წილად.

# ფრანგებმა ნავსი და უელსი გატეხეს

არ გასამდა. საფრანგეთმა არ წააგო ზედიზედ მესამე მატჩი კარდიფის „მილენიუმზე". „მამლებმა" საკმაოდ იოლად გაიმარჯვეს და დაამტკიცეს, რომ ტურნირის უმთავრესი ფავორიტები არიან.

არადა, მატჩის დებიუტი უელსელებისა იყო, თუმცა მისი ანგარიშში ასახვა ვერ შეძლეს. ამის მთავარი მიზეზი კი ის გახლდათ, რომ ფრანგები დერეფანში მძლავრობდნენ და მეტოქის მიერ მოწოდებულ აუტებსაც ხშირად იგებდნენ. მათ ტანმაღალ მორაგბეებთან გამკლავება უელსელებს ძალიან უჭირდათ. აქ გამოჩნდა, რომ ნილ ჯენკინსი მხოლოდ დარტყმებში არაა ძლიერი. მისი წამოწყებული იერიში კინაღამ ლელოთი დამთავრდა, რაც საფრანგეთის ნაკლებმობილური სამმეოთხედელების ბრალი იქნებოდა. ანგარიში მაინც ნილ ჯენკინსმა გახსნა, რომელმაც საჯარიმო შეასრულა ზუსტად.

საფრანგეთის ნაკრებში ამ დროს იძულებითი შეცვლა მოხდა — ფალარათშეყრილი რიშარ დურთი მასზე სწრაფმა და მოძრავმა დავიდ ვანდიტიმ შეცვალა და, როგორც მერე გამოჩნდა, ეს ცვლილება ფრანგებს ძალიან წაადგათ. კრისტოფ ლამეზონმა 24-ე წუთზე არეკნით გაათანაბრა ანგარიში, შესვენებამდე კიდევ ორი საჯარიმო გაიტანა და თავისიანები 9:3 დააწინაურა.

მეორე ტაიმიც მასპინძელთა იერიშებით დაიწყო, მაგრამ ისინი მეტოქის დაცვის გარღვევას ვერ ახერხებდნენ. სტუმრებმაც მალე გამოიღეს ხელი და... სკოტ ქუინელმა ლამეზონი სახიფათოდ შებოჭა და მატჩის არბიტრმა კრის უაიტმა ახალი წესების თანახმად იგი 10 წუთით გააძევა მინდვრიდან. როცა უელსელები უმცირესობაში იყვნენ, შეხვედრის ბედიც მაშინ გადაწყდა. ტომა კასტენიედმა კარგად ისარგებლა მეტოქის მიერ ბურთის დაკარგვით და ოლივიე მანს სალელოე პასი მისცა. მალე მანი-დომინისის კომბინაცია დააგვირგვინა კასტენიედმა, ლამეზონმა ორივე ლელო გადასახა, ზედ ერთი საჯარიმოც დაურთო და „წითლებისთვის" ანგარიში კატასტროფული გახდა — 3:26.

ამ აფეთქების მერე საფრანგეთი დაწყნარდა, მაგრამ უელსმა მაინც ვერ შეძლო ანგარიშში სხვაობის შემცირება. მაშინაც კი, როცა უკვე ვანდიტი გააძევეს დროებით ფრანგთა დაცვა შეუვალი აღმოჩნდა. 75-ე წუთზე კი ემილ ნტამაკმა მეტოქის პასი ჩაჭრა და მშვიდად დადო ბურთი უელსის სალელოე მოედანზე. ლამეზონმა ისევ გარდასახა, კიდევ ერთი საჯარიმოც გაიტანა და საბოლოო ანგარიშიც დააფიქსირა — 36:3.

ერთი სიტყვით, საფრანგეთმა იოლად მოუგო უელსს, რომელიც ასეთ განადგურებას ნამდვილად არ იმსახურებდა. „მამლების" ახალმა დამრიგებელმა ბერნარ ლაპორტმა ტრადიციული, ლაღი ბურთაობაც შეინარჩუნა და დაცვაც საკმაოდ გააძლიერა. ეს მხოლოდ ერთი შეხედვით ჩანს, თუ ნამდვილად ასეა, ამას 19 თებერვალს ინგლისთან მატჩში გაეცემა პასუხი.

**გაიოზ თალაკვაძე**

**უელსი 3:36 საფრანგეთი**
კარდიფი, „მილენიუმი", მსაჯი: ვაიტი (ინგლისი)

**უელსი** 1 ს — ნ. ჯენკინსი (13)

15 ჰოვარტი
14 ტომასი 13 ტეილორი 12 ჯონს-ჰიუგზი 11 ჯეიმსი (შ.უილიამსი, 72)
10 ნ. ჯენკინსი 9 ჰოული (სმიტი, 76)
7 სინკინსონი 8 ქუინელი 6 ჩარვისი (ლუისი, 61)
5 ვაიტი (ვოილი, 69) 4 გოუგი
3 იანგი (კაპ.) 2 გ. ჯენკინსი (ბ.უილიამსი, 78) 1 როჯერსი (ჯონი, 70)

1 კალიფანო 2 დალ მაზო (იბანესი, 73) 3 ტურნერი (დე ვილიე, 74)
4 მატიუ (ლიევრემონი, 44) 5 ბრუზე
6 ბენაზი 8 პელუ (კაპ.) 7 მანი (ბეტსანი, 75)
10 ლამეზონი (პენო, 80) 9 გალტიე
11 დომინისი 12 ლომბარი 13 დურთი (ვანდიტი, 21) 14 ნტამაკი
15 კასტენიედი

3 ლ — მანი (56), კასტენიედი (58), ნტამაკი (79); 3 გ. და 4 ს — ლამეზონი (26, 35, 48, 78); 1 ა — ლამეზონი (24) **საფრანგეთი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



პრეზიდენტი და პრეტენდენტები: ზურაბ აზმაიფარაშვილი, ნონა გაფრინდაშვილი და თამაზ გიორგაძე

# ერთი პლუს ორი

## აპრილში პრეზიდენტს მოჭადრაკეებიც აირჩევენ

5 თებერვალს ამოიწურა ის ვადა, რომლის განმავლობაშიც ქართული საჭადრაკო სამყაროს წარმომადგენლებს ჭადრაკის ფედერაციის რიგგარეშე ყრილობისთვის ფედერაციის პრეზიდენტობის კანდიდატები უნდა დაესახელებინათ. კანდიდატების ვინაობა შაბათს გახდა ცნობილი. ესენი არიან ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონი ქალთა შორის, ნონა გაფრინდაშვილი და დიდოსტატი თამაზ გიორგაძე. რაც შეეხება ზურაბ აზმაიფარაშვილს, იგი ფედერაციის მოქმედი პრეზიდენტია და რიგგარეშე ყრილობაზე პირველ რიგში ალბათ მისი დატოვება-გადარჩევის საკითხი დადგება.



# შავი ვიკინგი ათასად დაფასდა



უილსონ კიპკეტერი

კვირას, შტუტგარტის დახურული სამძლეოსნო არენის სარბენ ბილიკზე თავგანწირვით მიჰქროდა დეინ უილსონ კიპკეტერი და ზედ მხართან კენიელი მორბენლის, კენედი კიმვეტიჩის მხურვალე სუნთქვას გრძნობდა. კიმვეტიჩი იმის წინააღმდეგიც არ გახლდათ, რომ თავად გამხდარიყო დევნილი, მაგრამ ფინიშზე კიპკეტერმა იმარჯვა, მთელი კილომეტრის რბენით გასავათებული კიდევ უფრო სწრაფად გაიქცა და თავად ირგუნა პატივი, გამარჯვებულის საპატიო წრე დაერტყა. მას ხელთ დანიის დროშა ეპყრა და თუ იკითხავთ შავი დანიელი სად გინახავთო, განგიმარტავთ — კიპკეტერი კენიელია და დანიაში სამშობლოდან წასულ ემიგრანტთა ნაკადს მიჰყვა. მორბენალი აღფრთოვანებული იყო — მან ხომ შტუტგარტში მსოფლიოს რეკორდი გაიმეორა, ჯერ კიდევ 8 წლის წინ ალჟირელმა ნურედინ მორსელიმ რომ დაამყარა ბირმინჰემში. გავიდა რამდენიმე წამი და კიპკეტერს ახალი ამბავიც აახარეს, დროის დამთვლელი აპარატი ცოტათი შეცდა და შენს შედეგს უსამართლოდ წაუმატა წამის მეასედიო. შეცდომა გამოსწორდა და 1000 მეტრზე რბენაში ახალი მსოფლიოს რეკორდის დამყარებაც ემცნო მძლეოსნურ სამყაროს — 2 წუთი და 15,25 წამი. გადანიელებული კენიელი მხრებსლა იჩეჩდა. „ეს რა ხდება, კაცო! — გულახდილად უთხრა კიპკეტერმა ჟურნალისტებს — შობის წინ რომ საზარდული ამტკივდა, სირბილი კი არა, ფეხზე ვერ ვდგებოდი, სრულყოფილი ვარჯიშიც მხოლოდ იანვარში დავიწყე და ახლა კი, ასე უცებ...“.

საერთოდ შტუტგარტში არაერთმა პირველხარისხოვანმა მძლეოსანმა მოიყარა თავი. გათხოვებამ ვერაფრით იმოქმედა რუმინელ გაბრიელა საბოზე, რომელმაც სრული ერთი მილი ჭაკი ცხენის სისწრაფით გაიქროლა და უახლოესი მდევარი ნახევარ წამზე მეტით მოიტოვა.

რუსმა ნატალია ციგანოვამ 800 მეტრი ერთადერთი განზრახვით ირბინა, როგორმე მეორე ადგილზე გასულიყო და მიზანი აისრულა კიდეც, თორემ ისე აზრადაც არ მოსვლია, ჯიშიან მოზამბიკელ მარია მუტოლას პირველობაში შესცილებოდა. სულ 60 მეტრი დაფარა ბრიტანელმა ჯეისონ გარდნერმა, მაგრამ დიდებულად, 6,49 წამში ყველა როდი ჩაეტევა. ასეთივე სიტყვებით ვერ შევამკობთ კანადელ დონოვან ბეილის, რომელიც კუნთის ტრავმამ რა ხანია, რჩეულებს მოსწყვიტა და საწინააღმდეგოს ამაოდ ამტკიცებს. იმავე 60- მეტრიან დისტანციაზე ბეილის წარმატება ეწადა, მაგრამ სულ ვერ გავიდა სარბენ ბილიკზე.

**დავით გულუა**

ეს დღეებია, ქართველი მორაგბენი ჭირისუფლები არიან.



59 წლისა გარდაიცვალა ქართული რაგბის ერთ-ერთი მესაძირკვლე, ბატონი გია ჩეჩელაშვილი.

60-იანი წლების დამდეგს, ჩვენში რაგბის ფეხის ადგმისას, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ახალშექმნილ გუნდში 20 წლის ჭაბუკი მივიდა. მალე აულო ალლო იმხანად უცხო ამ სახეობას და მალევე გამოირჩა პირველთა თაობაში: სპორტული ჟინი და შემართება სანიმუშოდ ერწყმოდა თამაშის ლაღ და ელეგანტურ მანერას. ტრავმამ ნაადრევად კი შეაწყვეტინა სპორტული კარიერა, მაგრამ საყვარელ თამაშს ვერ დააშორა. რაგბის სამსახური მსაჯობით განაგრძო და აქაც თქვა თავისი: საბჭოთა კავშირში პირველს მიენიჭა საკავშირო კატეგორია. მისი სახელი, როგორც საბჭოთა კავშირში რაგბის ერთ-ერთი ფუძემდებლისა, შეტანილია დიდ საბჭოთა ენციკლოპედიაში. შემდგომ წლებში ხელმძღვანელობდა საქართველოს რაგბის ფედერაციას, ბოლო ხანს კი ბატონი გია, სამსახურით მოუცლელობის მიუხედავად, ქართველ ვეტერან მორაგბეთა კავშირს თავკაცობდა, ერთ ოჯახად კრავდა ამ დიდ საძმოს და ყველა მორაგბის ერთგული მეგობარი გახლდათ.

დღეს ქართული რაგბი ემშვიდობება გია ჩეჩელაშვილს.

ნათელი იყოს მისი ხსოვნა.

**საქართველოს რაგბის კავშირი**



ALL-STAR GEME 2000

# რუსულმა საძმომ ამერიკას ჭკუა ასწავლა

6 თებერვალი. ტორონტო

**მსოფლიო — ჩრდილო ამერიკა 9:4**

**3:2 2:2 4:0**

1:0 დემიტრა 3'12 (1); 2:0 იაგრი 10'50 (1); 2:1 საკიკი 13'56 (1); 3:1 იუშკევიჩი 14'35 (1); 3:2 რენიკი 19'30 (1); 4:2 პ. ბურე 20'33 (1); 5:2 პ. ბურე 28'38 (2); 5:3 ამონტე 32'14 (1); 6:4 უიტნი 37'08 (1); 6:4 დემიტრა 48'52 (2); 7:4 პ. ბურე 49'31 (3); 8:4 შატანი 50'51 (1); 9:4 ბონკი 59'28 (1)




პაველ და ვალერი ბურეები

კვირას, „ეირ კანადა სენტრში“, 19 300 მაყურებლის თვალწინ, საიუბილეო, 50-ე „ALL STAR“-ი ძმების — პაველ და ვალერი ბურეების ბენეფისად იქცა. სწორედ მათი დამსახურებაა, რომ მსოფლიოს ნაკრებმა, პირველად, იმ სამ სეზონში, რაც „ვარსკვლავთა“ შოუ ამ ფორმით ტარდება, ჩრდილოამერიკელ ვარსკვლავებს მოუგო და თან როგორ.

მსოფლიოს (ფაქტობრივა ევროპის) ნაკრების დამაჯერებელი გამარჯვება ღირსეული პასუხია იმ სკეპტიკოსებისადმი, რომელთაც ამგვარი წესით გამართული „ALL STAR“-ი არცთუ საინტერესოდ ეჩვენებოდათ. მათ მიაჩნდათ, რომ ძველ კონტინენტს არ ჰყავს ისეთი ვარსკვლავები, ჩრდილოამერიკელებს ღირსეულ მეტოქეობას რომ გაუწევდნენ.

„ჩვენ ყოველთვის მატჩისწინა კონკურსებს ვიგებდით, ჩრდილოამერიკელები კი თამაშს იგებდნენ. თუმც ამჯერად ყველაფერს გავაკეთებთ, რათა ეს ტრადიცია ისტორიას ჩაბარდეს“ — თქვა კვირას, ტორონტოელმა „ევროპელმა“ მათს სუნდინმა და, როგორც მომდევნო მოვლენებმა ცხადყო, ეს ცარიელი სიტყვები სულაც არ ყოფილა — მატჩის პირველი წუთებიდან ბოლომდე, თამაში სწორედ მათი კარნახით წარიმართა და ჩრდილოამერიკელთა ყოველგვარი მცდელობა ამაო გამოდგა.

მსოფლიოს ნაკრების ჰოკეისტებმა, რომელნიც აქამდეც არაფრით ჩამორჩებოდნენ მოწინააღმდეგეს გარდა ნებისყოფისა, ამჯერად ერთობ მოიწადინეს. ეტყობა იმ ფაქტმაც იქონია გავლენა, რომ ევროპელთა უმრავლესობა პირველად მონაწილეობდა შოუში და განსაკუთრებით სურდათ, თავი გამოეჩინათ. პირველად სლოვაკმა პაველ დემიტრამ გაიტანა. მერე იარომირ იაგრიც გამოირჩა. სუპერჩეხი ერთი პირობა არ აპირებდა შოუში მონაწილეობის მიღებას, მაგრამ მაინც იასპარეზა და გოლით და პასით ერთ-ერთი საუკეთესო იყო თავისიანთა შორის.

და მაინც სულ სხვანი იყვნენ ძმები ბურეები და ედმონტონის შვედი მეკარე ტომი სალო,. რომელმაც მეორე პერიოდში ზედიზედ სამჯერ იხსნა კარი, რითაც საბოლოოდ გატეხა ჩრდილოამერიკელები. ძმებს — პაველს და ვალერის (პირველად მონაწილეობდა „ოლ სტარში“) ერთ გუნდში გამოსვლამ დიდი სტიმული მისცა. მათ, სამეულში კიდევ ერთ რუს, ვიქტორ კოზლოვთან ერთად შეამხანაგებულებმა, ოთხი გოლი მოამზადეს.

„ეს ჩემთვის განსაკუთრებული ღამე იყო, რადგან ჩემს ძმასთან ერთად ვთამაშობდი“ — თქვა მატჩის შემდეგ პაველმა, რომელმაც ორი გოლი ვალერის უშუალო დახმარებით გაიტანა, ხოლო ჰეთ თრიქს (მე-11 „ოლ სტარის“ ისტორიაში) კოზლოვის დახმარებით მიაღწია. აღსანიშნავია, რომ ძმებს რუსეთშიც კი არ უთამაშიათ ერთ გუნდში. როცა პაველმა ცსკა დატოვა და ნჰლ-ში გადაბარგდა, ვალერი იმავე გუნდის ახალგაზრდულ შემადგენლობაში გამოდიოდა. სამ გოლს პაველმა პასიც დაამატა და თამაშის MVP (უძვირფასესი მოთამაშე) დამსახურებულად გახდა. ეს მეორე შემთხვევაა, რომ უძვირფასესის ტიტული ევროპელს ენიჭება (პირველი ტეემუ სელიანე იყო).

დამწუხრებულ და შერცხვენილ ჩრდილოამერიკელთა შორის ერთადერთი მოთამაშე იყო, ვისაც სიხარულის საბაბი ჰქონდა. ეს ფლორიდელი რეი უიტნი (1+1) გახლდათ, რომელმაც „ოლ სტარში“ მონაწილეობის უფლება სენტლუისელი პიერ ტარჯონის დაშავების მერე მოიპოვა და თავის გუნდში საუკეთესოც გახლდათ. ასე რომ, ტორონტოში გამართულ „ALL STAR“-ში ფლორიდელები ბრწყინავდნენ.

კვირის მატჩამდე, შაბათს, ტრადიციული კონკურსი გაიმართა. შაიბის კონტროლში მეტოქეებმა ქულები გაიყვეს, ინდივიდუალურად ყველაზე სხარტი ჩრიდლოამერიკელი პოლ კარია იყო, გუნდურ შეჯიბრში კი მსოფლიოს 3-კაციანმა გუნდმა იმძლავრა. სისწრაფეში ფინელ კაპანენს არ ჰყავდა ბადალი, ხოლო უძლიერესი დამრტყმელი ზედიზედ მეოთხედ ელ მაკინისი გახდა. მეკარეთა შეჯიბრში ჩრდილოამერიკელმა მაიკ რიხტერმა გაიბრწყინა, რომელმაც ათივე დარტყმა მოიგერია. დარტყმების სიზუსტეში ფლორიდელმა ვიქტორ კოზლოვმა იმარჯვა. ბულიტებიც 13:11 მსოფლიოს ნაკრებმა მოიგო და ამ კონკურსში ზედიზედ მესამედ გაიმარჯვა.

**სამველ ლარიბიანი**



# მაიერი მაგარია! მაგრამ სტენმარკი...



რაინერ შონფელდერი

ჰარმიშ-პარტენკირხენის გიგანტური სლალომის ტრასაზე კვლავ შეუდარებელი იყო მსოფლიო და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, მსოფლიოს თასის წლევანდელი გათამაშების ლიდერი ჰერმან მაიერი. ამ ტურნირის ეტაპებზე ეს მისი 27-ე გამარჯვება იყო, რამაც „ჰერმინატორი“ ავსტრიის რეკორდსმენად აქცია. ისე კი, მსოფლიოს თასის ეტაპებზე ყველაზე მეტი გამარჯვება სახელგანთქმული შვედის ინგემარ სტენმარკის ანგარიშზეა — 85!

პარტენკირხენიდან სპორტსმენებმა გერმანიის მეორე სამთოსათხილამურო კურორტ ტოტნაუში გადაინაცვლეს, სადაც სლალომში გაეჯიბრნენ ერთმანეთს. გაიმარჯვა ავსტრიელმა რაინერ შონფელდერმა. ნორვეგიელი კეტილ ამოდტი მეორე იყო. მესამე ადგილზეც ნორვეგიელი მოთხილამურეა — ოლე-კრისტიან ფურუსეტი. მსოფლიოს თასის გათამაშების ლიდერი, როგორც ვთქვით, უცვლელია — ჰერმან მაიერს 1510 ქულა აქვს, 1006 ქულა აქვს ამოდტს, რომელიც თავის მხრივ სლალომისტთა შეჯიბრებას ლიდერობს.

**ირაკლი ბერიაშვილი**

# გამარჯვებულს საავადმყოფოში მიაქანებენ

**გუსულ უქმეებზე გასრულებული მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატის — დევისის თასის პირველი წრის შეხვედრები უდიდესი დაძაბულობითა და ბეჩავთა თავგამოდებით გამოირჩეოდა: ზოგიერთმა წინასწარ განწირულმა ნაკრებმა გათამაშების ფავორიტებს შავი დღე აყარა**


REUTERS

ჯონ მაკინროი ჩვეულ ამპლუაში

**ზიმბაბვე 2:3 აშშ**

პარასკევი. ერთეულები: **ანდრე აგასი** (აშშ) — უეინ ბლექი (ზიმბაბვე) 7:5, 6:3, 7:5; **ბაირონ ბლექი** (ზიმბაბვე) — კრის ვუდრაფი (აშშ) 7:6 (7:2), 6:3, 6:2.
შაბათი. წყვილები: **უეინ ბლექი** და **კევინ ულიეტი** (ზიმბაბვე) — რიკ ლიჩი და ალექს ობრაიენი (აშშ) 7:6 (7:4), 5:7, 0:6, 7:5, 7:5.
კვირა. ერთეულები: **აგასი** — ბ. ბლექი 6:2, 6:3, 7:6 (7:4); **ვუდრაფი** — უ. ბლექი 6:3, 6:7 (2:7), 6:2, 6:4.

„ამ ერთ კვირაში 5 წლით დავბერდი. ვერც კი წარმოვიდგენდი, თუ ყველაფერი ასე გამიძნელდებოდა. ბევრისგან მსმენია, მწვრთნელობა რთული რამ არისო და ახლა მესმის მათი. მხოლოდ ის შეგიძლია, იჯდე და შენს ბიჭებს ჭკუა არიგო. ასე მეგონა თავში საათის მექანიზმიანი ყუმბარა მქონდა ჩამონტაჟებული და ის-ის იყო, აფეთქდებოდა" — განაცხადა დევისის თასის ფანატმა და აშშ-ის გუნდის კაპიტანმა ჯონ მაკინროიმ ამ თანამდებობაზე დანიშვნიდან პირველი მატჩის დასრულების შემდეგ.

მართლაც, თავის დროზე მსოფლიოს პირველ ჩოგანსა და აშშ-ის დევისის თასის ისტორიაში ყველაზე მეტი მატჩის მომგებ მაკინროის ნერვების წყვეტის მეტი არაფერი დარჩენოდა, საგმირო საქმეებით თავის გამოჩენა კი ამჯერად მის ხელქვეითებს ევალებოდათ — შაბათის წყვილების მატჩის შემდეგ სტუმრები 1:2-ს აგებდნენ და კატასტროფის პირას იმყოფებოდნენ.

კრის ვუდრაფი მთელმა მსოფლიომ პირველად როლან გაროსზე გაიცნო 4 წლის წინ, როდესაც ამერიკელმა მეორე წრეში ანდრე აგასი დაამარცხა. იმ მატჩის წინ კორტზე გასვლისას ხოტორა ლასვეგასელმა, თანამემამულის გაცნობა გადაწყვიტა.

„როგორ ხარ, მე ანდრე მქვია" — ხელი გაუწოდა აგასიმ მეტოქეს. „თითქოს არ ვიცოდე" — უპასუხა გაკვირვებულმა ვუდრაფმა.

კვირას აგასი და 27 წლის ვუდრაფი ვანაგუნდელები იყვნენ და საერთო მიზნით გაერთიანებულნი გულშემატკივრობდნენ ერთმანეთს.

პირველი კორტზე მსოფლიოს პირველი ჩოგანი გავიდა და როგორც მოსალოდნელი იყო, ბაირონ ბლექს სამ სეტში აჯობა, თუმცა ამ მოგებას იოლი ნამდვილად არ ეთქმის. 2000-მეტრიანმა სიმაღლემ, ნესტმა და სიცხემ აგასის თავისი დამართა და მატჩის დროს მან ზედ კორტზე, გვერდითი მსაჯის უკან მდგომ ბურთების ყუთში არწყია.

ანდრეს მატჩის დროს სუნთქვაც უჭირდა, ფეხის კუნთების კრუნჩხვა დაემართა და მეოთხე სეტს, ალბათ, ვეღარც გადაიტანდა. გასახდელშიც რომ გული აირია, ამერიკელი პირდაპირ სასტუმროში გააქანეს და გადამწყვეტ შეხვედრას ტელევიზორშიღა უცქირა.

ვუდრაფი ნაკრებში მხოლოდ იმიტომ მოხვდა, რომ პიტ სამპრასმა და ტოდ მარტინმა ზიმბაბვეში ჩასვლა ვერ მოახერხეს, ერთეულებში პირველი მატჩი ნერვიულობის გამო ჩააფლავა და მაკინროის მართლაც დიდი სადარდებელი გაუჩინა.

ამერიკელთა შარისთავობით ცნობილი კაპიტანი დიდი სიმშვიდით არც ახალ ამპლუაში გამორჩეულა: მსაჯებს ისევ გაცხარებით ეკამათებოდა, ვუდრაფის მოგებულ ქულებს მუშტების შეკვრითა და ხმამაღალი შეძახილით ხვდებოდა და უეინ ბლექსაც მოთმინება დააკარგვინა, უკანასკნელის თქმით, „სამარცხვინო ქცევით".

ერთხელ მსაჯთან კამათისას ბებერმა მაკმა გაფრთხილებაც კი მიიღო უხამსობისთვის: „იმედია, ეს ბოლო იქნება ჩემთვის, მაგრამ გირჩევთ, მთელ თქვენს დანაზოგს მაინც ნუ ჩამოხვალთ".

მეორე სეტის ტაი-ბრეიკზე წაგების მიუხედავად, მეტოქეზე ერთი თავით მაღალმა და მძლავრმა ვუდრაფმა უმცროსი ბლექი მაინც დაჯაბნა, მატჩპოინტზე მე-15 ეისით 4000, გამაყრუებლად მოღრიალე ზიმბაბველიც ჩააჩუმა, მერე კი პატარა ბავშვივით შეიკუნტრუშა და ჩოგანი მთელი ძალით ზევით აისროლა.


REUTERS

მარკ ფილიპუსისი სამშობლოს ჰიმნს აჰყვა

ვუდრაფის სამუშაო იარაღი კინაღამ მისკენ გამოვარდნილ, თვალცრემლიან მაკინროის მოხვდა თავში, თუმცა ბედნიერი კაპიტანი ამას, ალბათ, ვერც იგრძნობდა: „სწორედ ასეთ ემოციებზე ოცნებობს ყველა. მოგების სურნელის ბოლომდე შესაგრძნობად დიდი დრო დამჭირდება. დრო, რომელსაც შინისკენ მიმავალნი თვითმფრინავში გავატარებთ, ახლა ერთობ მოკლე მოგვეჩვენება".

**ჩეხეთი 4:1 ინგლისი**

პარასკევი. ერთეულები: **ტიმ ჰენმანი** (ინგლისი) — სლავა დოსედელი (ჩეხეთი) 6:7 (4:7), 5:7, 6:1, 7:5, 6:3; **ირჟი ნოვაკი** (ჩეხეთი) — ჯემი დელგადო (ინგლისი) 6:4, 7:6 (7:4), 6:3.
შაბათი. წყვილები: **ირჟი ნოვაკი** და **დევიდ რიკლი** — ტიმ ჰენმანი და ნილ ბროდი 7:6 (7:4), 6:4, 6:7 (4:7), 6:2.
კვირა. ერთეულები: **ნოვაკი** — ჰენმანი 6:4, 6:2, 6:2. **ბოგდან ულირახი** — დელგადო 5:7, 7:5, 6:4

**შვეიცარია 2:3 ავსტრალია**

პარასკევი. ერთეულები: **ლეიტონ ჰიუიტი** (ავსტრალია) — ჯორჯ ბასტლი (შვეიცარია) 4:6, 6:3, 6:2, 6:4; **როჯერ ფედერერი** (შვეიცარია) — მარკ ფილიპუსისი (ავსტრალია) 6:4, 7:6 (7:3), 4:6, 6:4.
შაბათი. წყვილები: **ფედერერი** და **ლორენცო მანტა** — სენდონ სტოლი და უეინ არტურსი 3:6, 6:3, 6:4, 7:6 (7:4).
კვირა. ერთეულები: **ჰიუიტი** — ფედერერი 6:2, 3:6, 7:6 (7:2), 6:1.

ამერიკელების არ იყოს, შარშანდელი ჩემპიონი ავსტრალიაც გავარდნის პირას იყო — ერთხანს 1:2-ს აგებდა. არადა, მასპინძლებმა მარკ როსეს გუნდიდან გაგდების გამო მოთამაშეთა ბოიკოტი ძლივს აიცილეს თავიდან და მაყურებელთა დაუინტერესებლობის შედეგად (პარასკევს 2200-დან მხოლოდ 500 ბილეთი გაიყიდა) გულშემატკივართა მხარდაჭერის უპირატესობაც კი არ ჰქონდათ.

ჯერ კიდევ ორი თვის წინ დევისის თასის ფინალის გმირმა მარკ ფილიპუსისმა ამჯერად კინაღამ დაღუპა თავისიანები — პარასკევს 18 წლის ამომავალ ვარსკვლავ როჯერ ფედერერთან წააგო, კვირას კი გამოუცდელ ჯორჯ ბასტლს დიდი გაჭირვებით, 5 სეტში აჯობა.

„არც ისე კარგად ვიყავი, მაგრამ დევისის თასზე მხოლოდ საკუთარი თავისთვის კი არა, თანაგუნდელებისთვისაც თამაშობ, კორტის პირას მყოფი ჩვენი ბიჭების შეხედვა დოპინგივით მოქმედებდა" — აღნიშნა „სკადმა".

**ესპანეთი 4:1 იტალია.**

პარასკევი. ერთეულები: **ალბერტ კოსტა** (ესპანეთი) — დავიდე სანგვინეტი (იტალია) 6:4, 6:4, 6:2; **ალექს კორეტხა** (ესპანეთი) — ანდრეა გაუდენცი (იტალია) 4:6, 6:1, 6:1, 6:1.
შაბათი. წყვილები: **კორეტხა** და **ხუან ბალსელსი** — გაუდენცი და დიეგო ნარგიზო 6:3, 6:4, 6:1.
კვირა. ერთეულები: **გაუდენცი** — კოსტა 5:7, 7:5, 6:4; **ფრანსისკო კლავეტი** — ვინჩენცო სანტოპადრე 6:7 (5:7), 6:1, 6:3

**რუსეთი 4:1 ბელგია**

პარასკევი. ერთეულები: **ევგენი კაფელნიკოვი** (რუსეთი) — ფილიპ დევულფი (ბელგია) 6:7 (3:7), 6:4, 7:5, 6:2; **მარატ საფინი** (რუსეთი) — კრისტოფ როშიუ (ბელგია) 7:5, 3:6, 6:2, 6:4.
შაბათი. წყვილები: **საფინი** და **ანდრეი ჩერკასოვი** — კ. როშიუ და ოლივიე როშიუ 4:6, 7:6 (7:2), 1:6, 6:1, 6:3.
კვირა. ერთეულები: **დევულფი** — ჩერკასოვი 6:0, 4:6, 6:1; **მიხაილ იუჟნი** — ო. როშიუ 7:6 (8:6), 6:2.

პარასკევს ერთეულების მატჩის მოგების შემდეგ, მსოფლიოს მეორე ჩოგანი ევგენი კაფელნიკოვი ისე ცუდად შეიქნა, გასავათებული საავადმყოფოში გააქანეს მოსასულიერებლად, თუმცა სუსტი ბელგიელების დამარცხება მასპინძლებს არც ლიდერის გარეშე გასჭირვებიათ.

კაპიტანმა შამილ ტარპიშჩევმა სოჭელის ტრავმის ხასიათი მეტოქეებს ჯერ დაუმალა, ბოლოს კი განაცხადა, ჟენიას კარგა ხანია, ზურგი სტკივა, რაც თავის მწვრთნელ ლარი სტეფანკისთან გოლფის ბევრი თამაშის ბრალიაო.

**სლოვაკეთი 3:2 ავსტრია.**

პარასკევი. ერთეულები: **კაროლ კუჩერა** (სლოვაკეთი) — მარკუს ჰიპფლი (ავსტრია) 6:2, 6:3, 6:3; **დომინიკ ჰრბატი** (სლოვაკეთი) — შტეფან კუბეკი (ავსტრია) 6:4, 6:4, 6:4.
შაბათი. წყვილები: **კუჩერა** და **ჰრბატი** — ალექსანდრ პეია და იულიან ნოული 6:4, 6:3, 6:4.
კვირა. ერთეულები: **კუბეკი** — კუჩერა 6:3, 6:2; **ჰიპფლი** — ლადისლავ შვარცი 6:4, 6:2.

**ბრაზილია 4:1 საფრანგეთი**

პარასკევი. ერთეულები: **ფერნანდო მელიგენი** (ბრაზილია) — სედრიკ პიოლინი (საფრანგეთი) 7:5, 5:7, 4:6, 6:1, 6:4; **გუსტავო კუერტენი** (ბრაზილია) — ჟერომ გოლმარი (საფრანგეთი) 6:3, 3:6, 6:3, 6:2.
შაბათი. წყვილები: **კუერტენი** და **ხაიმე ონსინსი** — პიოლინი და ნიკოლა ესკუდე 6:4, 6:4, 6:4.
კვირა. ერთეულები: **ესკუდე** — კუერტენი 6:2, 7:6 (7:3); **ფრანსისკო კოსტა** — არნო კლემანი 7:6 (7:5), 5:7, 6:2

**გერმანია 4:1 ჰოლანდია**

პარასკევი. ერთეულები: **ტომი ჰაასი** (გერმანია) — იონ ვან ლოტუმი (ჰოლანდია) 4:6, 7:6 (7:2), 6:3, 6:2; **სხენგ შალკენი** (ჰოლანდია) — რაინერ შუტლერი (გერმანია) 3:6, 7:6 (7:2), 6:1, 6:0.
შაბათი. წყვილები: **დევიდ პრინოშილი** და **მარკ-კევინ გელნერი** (გერმანია) — პოლ პაარჰიუსი და იან სიმერინკი (ჰოლანდია) 4:6, 6:3, 7:6 (7:3), 6:3.
კვირა. ერთეულები: **ჰაასი** — შალკენი 6:2, 6:2, 6:3; **პრინოშილი** — ვან ლოტუმი 6:3, 6:3.

ტოკიო. იაპონია.
**PAR PACIFIC OPEN.**
დარბაზი, ჰარდი.
საპრიზო 1,08 მილიონი $

ნახევარფინალი: **მარტინა ჰინგისი** (1, შვეიცარია) — ჩანდა რუბინი (7, აშშ) 7:6 (7:2), 6:4; **სანდრინ ტესტიუ** (6, საფრანგეთი) — კატარჟინა სრებოტნიკი (სლოვენია) 4:6, 7:5, 6:1.
ფინალი: **ჰინგისი** — ტესტიუ 6:3, 7:5.

თავისთვის ახალ ათასწლეულში პირველი, სულ კი კარიერის 27-ე ტიტულისთვის მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა მარტინა ჰინგისმა 166 ათასი დოლარი ჩაიჯიბა, რამდენიმე საათში კი ამას 25 ათასიც დაუმატა წყვილებში მარი პირსთან ერთად მოგებისთვის.

**ავთანდილ სვანიძე**

**გერმანია**

მეორე ბუნდესლიგა
გადადებული მატჩი
**ფიურტი 1:1 ალემანია**

**აფრიკის თასი**

მეოთხედფინალი
**ეგვიპტე 0:1 ტუნისი**
0:1 ბადრა (22 პ)
**ნიგერია 2:1 დ.დ. (1:1) სენეგალი**
0:1 ფადიგა (6), 1:1, 2:1 აგაოვა (84, 92)

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულისაშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე უცხოური განყოფილება გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ვანო ოქროპირიძე; ინფორმაციის რედაქცია ზაზა ბენიძე, ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის განყოფილება გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კაზურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.opentext.org.ge/sarbieli